

პრესომბუდსმენი A3



ვაგზალი ყველასთვის A5



იშვიათი სიყვარული A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 19 ივნისი, 2006 წელი. №134 (1286)

ფასი 50 თეთრი


# ბრძოლა ტერორიზმთან, ტერორისტების სასარგებლოდ

### იჩქერიის უკანასკნელი „ზომიერი“ პრეზიდენტიც მკვდარია

დიმიტრი ავალიანი

*მოკლულია იჩქერიის კიდევ ერთი პრეზიდენტი, აბდულ ხალიმ სადულაევი. ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ლიკვიდაციით რუსეთმა თავად ამ მოძრაობის კიდევ უფრო მეტად მარგინალიზაცია მოახერხა. ჩეჩენი მეამბოხეების „ზომიერი“ ლიდერების დრო დასრულდა - ამიერიდან ლიდერობა ტერორისტებად აღიარებული პირების ხელში გადავიდა.*

აბდულ ხალიმ სადულაევს და მის დაცვას რუსეთის სპეცსამსახურებმა შაბათს ქალაქ არღუნის გარეუბანში მიაგნეს. თავად ოპერაციის შესახებ წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ვრცელდება. ჩეჩნეთის პრემიერის, რამზან კადიროვის თქმით, ოპერაცია ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ახმად კადიროვის სახელობის სპეცდანიშნულების პოლკმა“ განახორციელა. ოფიციალური ცნობების თანახმად, ოპერაციას ერთი მილიციელის და უშიშროების ერთი თანამშრომლის სიცოცხლე შეეწირა. მეამბოხეთა მხრიდან, გავრცელებული ცნობების თანახმად, მხოლოდ იჩქერიის პრეზიდენტი დაიღუპა. მასთან ერთად მყოფმა მებრძოლებმა კი მიმალვა შეძლეს. ჩეჩნური ინტერნეტ-გამოცემების ინფორმაციით, მსხვერპლი ფედერალური ძალების მხრიდან დასახელებულზე გაცილებით დიდი იყო.

**„ჩვენ ვაპირებთ, ბოლო მოვუღოთ საერთაშორისო ტერორიზმს ჩრდილოეთ კავკასიაში,“** - განაცხადა ოპერაციის შემდეგ რამზან კადიროვმა. იჩქერიის პრეზიდენტის ცხედარი, ჟურნალისტებისათვის წარსადგენად, კადიროვის მშობლიურ სოფელში ცენტოროიში გადაასვენეს, რომელიც ბოლო პერიოდში ჩეჩნეთის არაოფიციალური დედაქალაქის როლს ასრულებს.

სადულაევი ქალაქ არღუნში დაიბადა, სწავლობდა ჩეჩნეთის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. თუმცა, სწავლის დასრულება ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყების გამო ვერ მოახერხა. 1994-96 წლებში იგი ფედერალური ძალების წინააღმდეგ იბრძოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შოტლანდიელები ინგლისს არ გულშემატკივრობენ

ეკა კვესიტაძე
*ედინბურგიდან*

„ტრინიდადი და ტობაგო ინგლისის წინააღმდეგ“ - მთელი კვირის მანძილზე ეს მატჩი აღელვებდა მთელ ბრიტანეთს, მაგრამ, როგორ გგონიათ, ვის გულშემატკივრობდნენ შოტლანდიელები - ინგლისს? რა თქმა უნდა, არა. ისინი ტრინიდად და ტობაგოს, კარიბიის ზღვის ამ ერთი ციცქნა სახელმწიფოს უჭერდნენ მხარს.

**„ჩვენ ერთობ უცნაური ხალხი ვართ. ინგლისისათვის რომ არ დაგვეჭირა მხარი, ისეთი ქვეყანაც კი აღმოვაჩინეთ, როგორიც ტრინიდადი და ტობაგოა,“** - ამბობს ლორდი რობერტსონი, ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი, რომელიც ახლა „ჯონ სმიტის მემორიალ თრასთ“-ს თავმჯდომარეობს და მსოფლიო გზების უსაფრთხოებაზე ზრუნავს. რობერტსონი ამ თემას იუმორით უდგება და ერთი კითხვა აწუხებს - თავად ტრინიდად და ტობაგოში თუ იციან, რომ მთელი შოტლანდია მათ უჭერს მხარს. პირადად მე, ერთადერთი ჯორჯ რობერტსონი აღმოვაჩინე, რომელიც, მიუხედავად შოტლანდიელობისა, მაინც ინგლისს გულშემატკივრობს. სხვა შოტლანდიელებმა ეს იმით ამიხსნეს, რომ ლორდი დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალურ ხელისუფლებაში მსახურობდა.



*შოტლანდიის პარლამენტის ახალი შენობა.*

კარიბიის ზღვის ამ პატარა ქვეყნის აღმოჩენამდე შოტლანდიელები მსოფლიო ჩემპიონატის დროს ამბობდნენ - ვინც გინდა გაიმარჯვოს, ოღონდ არა ინგლისმა. ხოლო მას შემდეგ, რაც შოტლანდიის საფეხბურთო კლუბებში „ტობაგოელი“ ფეხბურთელების მოზღვავება დაიწყო, ერთ-ერთი ფეხბურთელი კი გვარად სკოტმანია, მსოფლიო ჩემპიონატის დროს ედინბურგში, ისე როგორც დანარჩენ შოტლანდიაში, ამ უცნაური ქვეყნის დროშები აფრიალდა.

თუ ღმერთი გაგიწყრა და შოტლანდიელს ინლისელი დაუძახე, ან შოტლანდია რეგიონად მოიხსენიე, ზრდილობიანი გულისწყრომა არ აგცდება. მაშინვე შეგახსენებენ, რომ როცა ინგლისს მხოლოდ ორი უნივერსიტეტი - ოქსფორდი და კემბრიჯი - ჰქონდა, შოტლანდიაში უკვე არსებობდა ოთხი უნივერსიტეტი. რომ ინგლისს შოტლანდიელები მართავენ და ა. შ. (შოტლანდიელი იყო ჯონ სმიტი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, რომელიც, რომ არა გულის საბედისწერო შეტევა, დღეს პრემიერ-მინისტრი იქნებოდა; ნახევრად შოტლანდიელია ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი; შოტლანდიელია ახლანდელი ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნიც, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ კანდიდატურად განიხილება პრემიერ-მინისტრის პოსტზე).

გაგრძელება A3 გვერდზე

# როგორ ვხვდებით ინვესტორს

### ენერგეტიკული ბაზრის მიმოხილვა

B

*მაქსიმუმ ორი დღე დარჩა იმ მომენტამდე, როცა ეკონომიკური განვითარების მინისტრი საზეიმოდ გაუღებს კარს ახალ ინვესტორებს და ქვეყნის ენერგოობიექტების საკმაოდ სერიოზული ნაწილი კერძო მფლობელების ხელში გადავა. სანამ "24 საათი" პოტენციური ინვესტორების ვინაობის და საქმიანობის დადგენითაა დაკავებული, გთავაზობთ საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის მოკლე მიმოხილვას.*



# ვუღალატებთ თუ არა საქართველოს?

სიუზან რიჩარდსი
*„The Spectator“*
*(დიდი ბრიტანეთი)*

ქართული ღვინო რუსეთის ახალი საშუალო ფენის საყვარელი სასმელია. ვერც ერთი სუფრა ვერ ჩაივლის სურნელოვანი „ქინძმარაულის“ ან მშრალი „საფერავის გარეშე. პრობლემა ის არის, რომ ეს ბრენდები საკმარისი რაოდენობით არ არის. დეფიციტის შევსება ძველი, საბჭოური ხერხით - ფალსიფიცირებით გადაწყვიტეს. სავარაუდოდ, ფალსიფიცირებულია რუსეთის ბაზარზე არსებული ქართული ღვინის 80 პროცენტი. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ერთი თვის წინ რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა რუსეთში ქართული ღვინის იმპორტი აკრძალა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ფალსიფიკაციის პრობლემა უდავოდ ძალიან დიდია, ისევე როგორც ალკოჰოლიზმის პრობლემა რუსეთში. ალკოჰოლიზმი დემოგრაფიული კატასტროფის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფაქტორია. მხოლოდ გასულ წელს ალკოჰოლური სასმელით მოწამვლისგან რუსეთში 40 ათასი ადამიანი დაიღუპა. თუმცა, ზემოაღნიშნული აკრძალვა ვერ გადაწყვეტს ამ პრობლემას. მაშინ, როცა საქართველო აქტიურად იბრძვის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, რუსეთი იგივეს არ აკეთებს. გასულ წელს ქართულ რეგიონში - მუკუზანში 1,4 მილიონი ბოთლი ღვინის ჩამოსასხმელად სამყოფი ყურძენი მოვიდა; ამასთან, რუსეთში „მუკუზანის“ მარკით 10 მილიონი ბოთლი ღვინო გაიყიდა. ფალსიფიცირებული „მუკუზანის“ უმრავლესობა საზღვართან ჩამოასხეს, არყისა და თვითნახადი არყის („სამოგონის“) დახმარებით. სწორედ ეს ნაზავია ადამიანის ჯანმრთელობისთვის დამღუპველი.

მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთის მიერ ქართული ღვინის აკრძალვა იმ დრამის მორიგი სცენაა, რომელიც ერთი თვის წინ ვილნიუსში დიკ ჩეინიმ წამოიწყო, როდესაც რუსეთი დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევაში დაადანაშაულა. მე-19 საუკუნეში ჩემი წინაპრები ბრიტანეთის და რუსეთის იმპერიებს შორის წამოწყებულ „დიდ თამაშში“ მონაწილეობდნენ და ჩრდილო-დასავლეთის საზღვრთან იბრძოდნენ. დღეს მე გული მერევა, როცა თვალს ვადევნებ იმას, თუ როგორ ცდილობენ დასავლეთის დიდი სახელმწიფოები ამ „დიდი თამაშის“ მორიგი რაუნდის გათამაშებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქუთაისის საავიაციო ქარხანა „თბილავიამშენსა“ და „ავიატონს“ შორის იქყლიტება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

16 ივნისს, იმერეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ქუთაისის საავიაციო ტექნიკური ქარხნის დირექტორი ირაკლი კოხრეიძე დააკავეს. მას ბრალად საწარმოს ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებული საქმიანობა ედება. კოხრეიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ქუთაისის საავიაციო ქარხნის მიერ გამოშვებული თვითმფრინავის რუსული კომპანიისთვის მიყიდვის ფაქტს ეხება.

**„ქუთაისის საავიაციო ქარხანამ 2006 წლის 3 მაისს გააფორმა ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციაში არსებულ ფირმა „ავიატონთან“ „მერკური 002“-ის 150000 დოლარად მიყიდვის თაობაზე მაშინ, როცა ამ თვითმფრინავის საბალანსო ღირებულება 798381 ლარს შეადგენს,“** - აცხადებს იმერეთის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილე გელა მოწონელიძე.

ოთხადგილიანი თვითმფრინავი „მერკური“ საწარმოთა მართვის სააგენტომ აუქციონზე გასაყიდად ორი თვის წინ გაიტანა, მაგრამ აუქციონზე განაცხადების შეტანის ვადა 24 აპრილს ისე ამოიწურა, რომ ქუთაისურ თვითმფრინავს საქართველოში მყიდველი არ გამოუჩნდა. „მერკურის“ პირველ და უკანასკნელ მყიდველად ამ დრომდე საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი რჩება, რომელმაც ქუთაისური თვითმფრინავი ორი წლის წინ 350000 ამერიკულ დოლარად შეიძინა. „მერკურის“ მეორე გამოშვების საწყისი ფასი აუქციონზე 140000 დოლარით განისაზღვრა, მაგრამ მისი გაყიდვა მაინც გაჭირდა.

**„ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს „ავიატონთან“ და სწორედ იგი შეისყიდის ჩვენს ამ თვითმფრინავს 140000 დოლარად,“** - განაცხადა ირაკლი კოხრეიძემ აუქციონის უშედეგოდ დასრულების შემდეგ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ტერაქტის მცდელობა გამოაშკარავებულია

*„პარლამენტარ კობა დავითაშვილის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტი გახსნილია“, - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.*

**„კობა დავითაშვილზე თავდასხმის მცდელობაში ეჭვმიტანილი გიორგი კურტაევი პროფესიონალი და ცივსისხლიანია. საქმე გვაქვს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილ პროვოკაციასთან, რომელიც პარლამენტარის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტით ქვეყანაში ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციის გამოწვევას ისახავდა მიზნად“,** - ასეთია შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის დასკვნა. შსს-მ გიორგი კურტაევზე დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნა.

საუბარია რამდენიმე დღის წინ ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტზე, როცა ამ ქუჩის N73-ში მცხოვრებლებმა, კობა დავითაშვილის მეზობლებმა - კახა მაღლაკელიძემ და ლევან ქემოკლიძემ საცხოვრებელი სახლის ეზოში უცნობი პირი შენიშნეს. პარლამენტარის მეზობლებმა უცნობი პიროვნება საეჭვოდ მიიჩნიეს და სცადეს, გაერკვიათ მისი ვინაობა. უცნობი გაიქცა. მას დავითაშვილის მეზობლები დაედევნენ. ამ დროს უცნობმა პოლიეთილენის პარკიდან ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და ორჯერ გაისროლა. ადგილზე დარჩა პოლიეთილენის პარკი მამაკაცის ტანსაცმლით, ასევე - მობილური ტელეფონი და კობა დავითაშვილის მცირე ზომის ფოტოსურათი. ყველა ეს ნივთი კობა დავითაშვილმა გენერალურ პროკურატურაში წარადგინა. მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გაგრძელება A4 გვერდზე


"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი



C2

## სამართალი

### ქართველი ტურისტები ფინეთის სასამართლოში ჩივიან

საქართველოს სახალხო დამცველსა და საქართველოში ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ტერჰი ჰაკალას შორის გამართულ შეხვედრაზე ფინეთის მესაზღვრეების მხრიდან საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევის, პატივისა და ღირსების შემლახველი ფაქტების შესახებ ისაუბრეს.

A4


"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

**"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"**

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**



საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 19/06 | 20/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 34 |
| ყვიბული | 28 | 32 |
| სოხუმი | 27 | 30 |
| გორი | 27 | 30 |
| ონი | 25 | 27 |
| ზუგდიდი | 29 | 33 |
| ახმეტა | 32 | 33 |
| გაგრა | 26 | 28 |
| სამტრედია | 30 | 34 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7760 |
| ევრო | 2.2480 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2920 |
| რუბლი | 0.0658 |



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# ქუთაისის საავიაციო ქარხანა „თბილავიამშენსა" და „ავიატონს" შორის იჭყლიტება

პირველი გვერდიდან

**„მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის საავიაციო ქარხანას 250000 ლარი აქვს ვალი, ქარხნის დირექტორი არ დაინტერესდა თვითმფრინავის ფასის გაზრდით „ავიატონთან" ხელშეკრულების გაფორმების დროს,"** - აცხადებს ფინანსური პოლიციის გამომძიებელი გია გავაშელაშვილი.

გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვური ფირმა „ავიატონის" წარმომადგენელთა სპეცრეისი კოპიტნარის აეროპორტში 15 ივნისს უნდა განხორციელებულიყო ქუთაისური თვითმფრინავის რუსეთში გადასაყვანად. გადაყვანის ხარჯებს - 45000 დოლარს და თვითმფრინავის განბაჟების 45%-ს ფირმა „ავიატონი" იხდიდა. თუმცა, ამ პროცესს ფინანსური პოლიციის მიერ ქუთაისის საავიაციო ქარხანაში დაწყებულმა მოკვლევამ და აღმოჩენილმა დარღვევებმა შეუშალა ხელი. იმავე დღეს „24 საათი" ირაკლი კოხრეიძეს ტელეფონით დაუკავშირდა. **„ფინანსური პოლიცია ქარხანას ჩემივე მოთხოვნის საფუძველზე ამოწმებს,"** - განცხადა კოხრეიძემ ჩვენთან საუბარში. მეორე დღეს კი ქუთაისის საავიაციო ქარხნის დირექტორი სწორედ ფინანსურმა პოლიციამ დააკავა.

**„ამ ყველაფრის უკან დგას ქარხნის „საბოტაჟნიკების" ჯგუფი, რომლებიც ქარხნის დანგრევისა და მის „თბილავიამშენთან" მიერთების სურვილს არ მალავენ. ამ საქმით დაინტერესებულია „თბილავიამშენი", რადგან ამით ის თვითმფრინავების რემონტის უფლებას მოიპოვებს, რაც ჩვენს ქარხანას გააჩნია,"** - აცხადებს ირაკლი კოხრეიძე. მისივე თქმით, 150000 დოლარი 1,5-ჯერ აღემატება „მერკურის" თვითღირებულებას. **„მე მთელ საქართველოს დავუმტკიცებ, რომ ამ თვითმფრინავს „ავიატონის" გარდა მყიდველი არსად ეყოლება, რადგან მხოლოდ ამ ფირმას გააჩნია საჭირო ნახაზები, ტექნოლოგია, საავტორო უფლებები და შესაბამისად, მხოლოდ მას შეუძლია საფრენი აპარატისთვის ფრენის სერთიფიკატის მოპოვება,"** - აცხადებს კოხრეიძე. საქმე ის გახლავთ, რომ ქუთაისის საავიაციო ქარხნის საკონტროლო პაკეტის მფლობელი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე სწორედ „ავიატონი" და მისი დირექტორი ავთანდილ ხაჭაპურიძე იყო და ამავე პერიოდში შეიქმნა ქუთაისის ქარხანაში თვითმფრინავი „მერკური". „ავიატონს" ქუთაისის საავიაციო ტექნიკური ქარხნის აქციები რამდენიმე თვის წინ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოერთვა და ქარხანა ისევ სახელმწიფო მფლობელობაში გადავიდა.

ირაკლი კოხრეიძე ფინანსური პოლიციის მიერ წაყენებულ ბრალდებებს არ ცნობს და იმედი აქვს, რომ მის მიმართ გასულ წლებში აღძრული ორი სისხლის სამართლის საქმის (კოხრეიძეს ბრალს სამშობლოს ღალატში სდებდნენ) მსგავსად, ამჯერადაც შეძლებს თავის გამართლებას. თუმცა, 17 ივნისს მას ქუთაისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ქარხნის თანამშრომლები აცხადებენ, რომ დირექტორის დაჭერისა და „ავიატონთან" ჩაშლილი გარიგების შედეგად, ქარხანა დაიხურება. რამდენიმე თვეში კი „მერკური 002"-ის ღირებულება ჯართის ფასად - 360 დოლარით განისაზღვრება.

**„თუკი თვითმფრინავი გაიყიდებოდა 150 000 დოლარად, ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევდა, გაგვესტუმრებინა თანამშრომელთა სახელფასო დავალიანება, გავეკეთებინა მცირეოდენი რემონტი ქარხანაში და დაგვეწყო მუშაობა, მაგრამ უკვე ყველაფერი დამთავრდა,"** - აცხადებს ქარხნის მთავარი ინჟინერი მიხეილ პიკინი.

ირაკლი კოხრეიძე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციოში გასაჩივრებას გეგმავს.

# ფინანსური კრიზისის პალესტინაში და ამ ჩიხიდან გამოსავალი

ახლო აღმოსავლეთის „კვარტეტის" ქვეყნები პალესტინელებისთვის დახმარების აღდგენაზე შეთანხმდნენ. პალესტინის ავტონომიისთვის დახმარების აღმოჩენა „კვარტეტმა" ხელისუფლებაში რადიკალური დაჯგუფების „ჰამას"-ის მოსვლის შემდეგ შეწყვიტეს.

აშშ-მ, ევროკავშირმა, რუსეთმა და გაერო-მ გადაწყვიტეს, რომ პალესტინელები ევროკავშირის ფინანსურ დახმარებას, რაც 120 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრება, არასამთავრობო ხაზით მიიღებენ.

რადიკალური დაჯგუფება, რომელიც არ აღიარებს ისრაელს და არც ძალადობის შეწყვეტას აპირებს, პალესტინის ავტონომიის ხელისუფლებაში საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების გზით მოვიდა.

საგარეო დახმარების მიღების შეწყვეტისთანავე კი ავტონომია ღრმა ეკონომიკურ კრიზისში ჩაეფლო და ექსპერტებიც უფრო ხშირად ალაპარაკდნენ ჰუმანიტარული კრიზისის გარდუვალობაზე.

„კვარტეტმა" დაამტკიცა ევროკავშირის გეგმა, რომელიც პალესტინის ჯანდაცვის სისტემისთვის დახმარების დროებით აღდგენის მექანიზმს მოიცავს. გარდა ამისა, გეგმა სოციალურად დაუცველი პალესტინელებისთვის სათბობის გარანტირებულ მიწოდებასა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს. აქვე „კვარტეტმა" იმის იმედიც გამოთქვა, რომ ამ სქემას მალე ისრაელი და სხვა საერთაშორისო დონორებიც შეუერთდებიან.

თავდაპირველად, ევროკავშირი პალესტინას 100 მილიონ ევროს გამოუყოფს. ევროკავშირის წარმომადგენლების თქმით, საფინანსო მექანიზმმა მუშაობა ძალიან მალე, ივლისისთვის უნდა დაიწყოს.

ფინანსური დახმარების აღდგენის გადაწყვეტილების მიუხედავად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურები მყარ პოზიციებს არ იცვლიან და აცხადებენ, რომ რიგით პალესტინელთა დახმარების მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფ „ჰამას"-თან არ ითანამშრომლებენ მანამდე, ვიდრე რადიკალური დაჯგუფება ძალადობას არ შეწყვეტს, ისრაელს არ აღიარებს და ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის რეგულირების სამშვიდობო გეგმას მხარს არ დაუჭერს.

ფონდის მმართველი მსოფლიო ბანკი და ევროკავშირი იქნებიან, რომლებიც უშუალოდ ითანამშრომლებენ მაჰმუდ აბასის ადმინისტრაციასთან.

„ჰამას"-ის გვერდის ავლით პალესტინელებისთვის ფინანსური დახმარების აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება ევროკავშირმა პარასკევს მიიღო, რასაც პალესტინის პოლიტიკური უმრავლესობის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. „ჰამას"-ის წარმომადგენლებმა ევროპელების ეს ნაბიჯი „შეურაცხმყოფლად" შეაფასეს, რადგან ამით ევროპამ პალესტინის ავტონომიაში ჩატარებული დემოკრატიული არჩევნების შედეგები უარყო.

„ჰამას"-ის უკმაყოფილების მიუხედავად, გადაწყვეტილება მიღებულია და კვირის დასაწყისში ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების კომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი ახლო აღმოსავლეთის რეგიონსაც ეწვევა. ბენიტა ფერერო-ვალდნერი ისრაელის პრემიერ-მინისტრს ეჰუდ ოლმერტსა და პალესტინის ავტონომიის ლიდერს მაჰმუდ აბასს შეხვდება.

ევროკავშირი ავტონომიის უმსხვილეს დონორად მიიჩნევა, რადგან თანხები, რომელიც ამ ორგანიზაციიდან იგზავნება პალესტინაში ყოველწლიურად, დაახლოებით 500 მილიონ ევროს შეადგენს.

ფინანსური დახმარების შეწყვეტის შემდეგ პალესტინაში ყველაზე მეტად სამედიცინო სფერო დაზარალდა, თუმცა უკეთესი დღე არც რიგით პალესტინელებს დაადგა. საბიუჯეტო სექტორზე მყოფმა პალესტინელებმა სამთვიანი კრიზისის შემდეგ ხელფასი პირველად ივნისში აიღეს.

***ბი-ბი-სი***

# ბრძოლა ტერორიზმთან, ტერორისტების სასარგებლოდ

პირველი გვერდიდან

ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, სადულაევი რელიგიისა და ისლამური სამართლის ავტორიტეტულ მცოდნედ ითვლებოდა. პირველი ომის დასრულების შემდეგ, 1996-1999 წლებში, კითხულობდა ლექციებს ისლამის თემაზე ტელევიზიით და ჩეჩნეთის სხვადასხვა რეგიონებში. იგი არღუნის მეჩეთის იმამი და არღუნის ისლამური ჯამაათის მეთაური გახდა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებისთანავე სადულაევი სათავეში არღუნელ მოხალისეთა ფორმირებებს ჩაუდგა. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის ვერსიით, იგი უშუალოდ არ იბრძოდა და სულიერი მოძღვრის როლს ასრულებდა.

2002 წელს, „თავდაცვის კომიტეტის" სხდომაზე სადულაევი იჩქერიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე დაინიშნა. ექსპერტთა აზრით, სადულაევი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩეჩნეთში კონფლიქტების მოგვარების უნარის გამო. ჩეჩენ მეამბოხეთა სხვადასხვა ფრთას შორის შუამავლობა



*სადულაევის ლიკვიდაციით, რუსეთმა თავად წინააღმდეგობის მოძრაობის კიდევ უფრო მეტად მარგინალიზაცია მოახერხა.*

მას არაერთხელ მოუწია, რითაც მან ყველა საველე მეთაურის პატივისცემა დაიმსახურა.

2005 წლის მარტში, რუსეთის ფედერალური ძალების მიერ ჩეჩნეთის მეორე პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ლიკვიდაციის შემდეგ, სადულაევი იჩქერიის პრეზიდენტად გამოცხადდა.

**„ამ მკვლელობით მდგომარეობა უარეს ჩიხში შევიდა, რადგან სადულაევი ერთ-ერთი აბსოლუტურად გაწონასწორებული, ნორმალური პოლიტიკოსი იყო, ვისთანაც დიალოგის წარმოება შესაძლებელი იყო"**, - განაცხადა ამჟამად ლონდონში მყოფმა იჩქერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ ზაკაევმა. მისივე განცხადებით, პრეზიდენტის უფლებამოსილებას ვიცე-პრეზიდენტი, საველე მეთაური დოკუ უმაროვი ჩაიბარებს.

დოკუ უმაროვი ბუდიონოვსკის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორია. ზოგიერთი წყარო მას შამილ ბასაევის თანამებრძოლად ასახელებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ საველე მეთაურისაგან არანაირ „ზომიერებას" და დიალოგზე წასვლას არავინ ელის. ჯერ მასხადოვის (ჩეჩნეთის ბოლო ლეგიტიმური პრეზიდენტის), შემდეგ კი სადულაევის განადგურებით რუსეთმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მოლაპარაკება ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ლიდერებთან მას არ სჭირდება. სამაგიეროდ, მოსკოვს წინააღმდეგობის მოძრაობის საერთაშორისო არენაზე ტერორისტებთან გაიგივება აწყობს, რასაც დოკუ უმაროვის პერსონაც შეუწყობს ხელს.

# ვუღალატებთ თუ არა საქართველოს?

პირველი გვერდიდან

11 სექტემბრის შემდეგ პუტინმა მხარი დაუჭირა აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლაში და ამით ძალიან შეაშინა საკუთარი ქვეყნის პოლიტელიტა. რუსი ვეტერანების „ცივი ომის" მენტალობასთან დაპირისპირება პუტინის მხრიდან ძალიან გამბედავი ნაბიჯი იყო. თუმცა, რესპუბლიკურმა პარტიამ პუტინის ეს გამბედაობა სათანადოდ არ დააჯილდოვა. აშშ-მ რუსეთს დახმარება შეუმცირა და საკუთარ უსაფრთხოების გაძლიერებაზე ზრუნვა დაიწყო. აშშ ასევე ცალმხრივად გამოვიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან, რომელსაც აშშ-მ რუსეთთან ერთად 30 წლის წინ მოაწერა ხელი.

ბუში ამტკიცებდა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებას აზრი აღარ აქვს, რადგან იგი „ცივი ომის" ეპოქას განეკუთვნება. ეს არგუმენტი დამაჯერებლად გაიჟღერებდა, დასავლეთს რომ „ცივი ომის" სხვა რელიქტებზეც უარი ეთქვა. მაგრამ, აშშ ასე არ მოიქცა. სენატმა დაამტკიცა ჯექსონ-ვენიკის შესწორება, რამაც ამერიკულ-რუსული სავაჭრო ურთიერთობები ებრაელთა იმიგრაციის დონეზე დამოკიდებული გახადა.

შემდეგ იყო რუსეთის მხრიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილი. აშშ-მ თვალი დახუჭა ჩინეთის კანდიდატურასთან დაკავშირებით არსებულ წინააღმდეგობაზე. ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 2001 წლის ნოემბერში გახდა. არადა ეს ქვეყანა რუსეთზე არანაკლებ პრობლემატური იყო. რუსეთი ჯერ კიდევ ელის მსო-ს წევრობას.

ამ ყველაფრის ზემოთ იდგა ნატო-ს პრობლემა. თუ დასავლეთის ზე-სახელმწიფოები ალიანსს დაშლიდნენ, ეს იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ ჩვენ „ცივი ომის" აზროვნებისგან საბოლოოდ გავთავისუფლდით. ამ ყველაფრის ნაცვლად, აშშ-ში ჯერ ქართული „ვარდების რევოლუციის" სცენარი დაიწერა, შემდეგ კი ანალოგიურად მომზადდა ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში. რამდენიმე დღის წინ კი უკრაინა-ნატო-ს ერთობლივი სწავლების ფარგლებში ყირიმში, თითქმის შეპარვით, შევიდა ამერიკული სამხედრო ხომალდი. ამასთან გრძელდება დისკუსიები 2008 წლისთვის უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ყირიმში ჯერ კიდევ რუსეთის ფლოტია დისლოცირებული.

ახლა შეხედეთ რუკას. როგორ მოგეწონებოდათ ეს ყველაფერი, თქვენ რომ რუსეთი იყოთ? ბელარუსს და უკრაინას რუსეთი არა მარტო მეზობლებად მიიჩნევს, როგორც დსთ-ს სხვა ქვეყნებს. რუსეთი ამ ქვეყნებს განიხილავს, როგორც საერთო აღმოსავლეთსლავური ტერიტორიის ნაწილს. ამგვარი ხედვა განპირობებულია, როგორც ისტორიით, ასევე ამ სამი ქვეყნის ნაციონალური შემადგენლობით.

ვინაიდან რუსეთს არ შეუძლია, დასავლეთის ქმედებებს ძალით უპასუხოს, რუსეთი უფრო დახვეწილად მოქმედებს. საქართველოს ტერიტორიიდან ოთხი რუსული ბაზის გაყვანის შეთანხმება სრულდება - ორი ბაზა უკვე დახურულია და, როგორც ჩანს, უახლოეს ორ წელიწადში დანარჩენ ორ ბაზასაც იგივე ელის. ყველაზე მთავარი ისაა, რომ როგორც ჩანს, რუსეთი ემზადება იმისთვისაც, რომ 2017 წლისთვის საკუთარი სამხედრო-საზღვაო ბაზა ყირიმიდანაც გაიყვანოს. სწორედ ამ დროს იწურება რუსეთისა და უკრაინის შეთანხმების ვადა. ყოფილი ზე-სახელმწიფოსთვის ეს ყველაფერი ძალზე დამამცირებელია.

სანაცვლოდ ამისა, რუსეთი, რომელიც მოჭადრაკეების ქვეყნად ითვლება, ცდილობს საკუთარი ძლიერი მხარეების წარმოჩენას. რუსეთი აძლიერებს პოზიციებს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და უკრაინის სამხრეთ ნაწილში.

გარდა ამისა, რუსეთი შეახსენებს საკუთარ მეზობლებს, თუ რამდენად პირობითია მათი „დამოუკიდებლობა". საქართველოში მიმდინარე წელი მაგისტრალურ გაზსადენზე იდუმალებით მოცული აფეთქებებით დაიწყო, რამაც ქვეყანა შუა ზამთარში შუქისა და სითბოს გარეშე დატოვა. ღვინის იმპორტზე ემბარგოს დაწესების შემდეგ რუსეთმა ქართული მინერალური წყლების „ნაბეღლავისა" და „ბორჯომის" იმპორტიც აკრძალა. ეს მინერალური წყლები ქართული ექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

შედეგად კი საქართველო კრიზისშია. ძველი ქართული მრეწველობის დიდი ნაწილი შეჩერებულია საეჭვო საპრივატიზაციო გარიგებების წყალობით. ღვინო ქართული ექსპორტის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო, რომლის 70 პროცენტი რუსეთში იყიდებოდა. ამას დაუმატეთ კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რომელთა შედეგადაც საქართველოს საკუთარ ტერიტორიაზე 250 ათასი დევნილი ჰყავს. თუკი დღეს საქართველო არსებობას განაგრძობს, ეს აშშ-ს დახმარებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები მრავალრიცხოვანი ქართველების წყალობაა, რომლებიც საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს არჩენენ. დადის ხმები, რომ რუსეთი აპირებს გამოასახლოს რუსეთში სამუშაოდ წასული ორი მილიონი საქართველოს მოქალაქე. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ეკონომიკური კოლაფსი გარდაუვალია.

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მყარად ჩამოკიდა ქართული დროშა ამერიკულ ფლაგშტოკზე. ამ ურთიერთობებმა დასავლეთს ბევრი რამ მისცა. გასულ წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის, ევროპა კასპიის ზღვასთან დააკავშირა. მიმდინარე წლის ბოლოსთვის ამოქმედდება კიდევ ერთი მილსადენი, რომელიც ასევე საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის და შაჰ-დენიზის (აზერბაიჯანი) გაზს თურქულ ერზრუმში ჩაიტანს.

უფრო ნაკლებად გასაგებია, რა მისცა საქართველოს დასავლეთის მიმართ სააკაშვილის ასეთმა ერთგულებამ. ქვეყანას არ სთავაზობენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას. თუმცა, საქართველოს აიმედებენ ნატო-ში შესაძლო გაწევრიანებით. ერთი ცხადია: თუ რუსეთი კიდევ უფრო გაამკაცრებს საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედებულ ემბარგოს, დასავლეთი არ იჩქარებს საკუთარი მოკავშირის დაცვას.

გასაკვირი არ არის, რომ საშუალო ფენა საქართველოში სულ უფრო და უფრო ღელავს. მათ იციან თავიანთი ისტორია. ქვეყანამ, რომელმაც ქრისტიანობა 17 საუკუნის წინ მიიღო, შეძლო საკუთარი იდენტურობის შენარჩუნება მიუხედავად იმისა, რომ დამპყრობელი საქართველოს ბევრი ახსოვს. და ეს მოხდა სრულიად განსხვავებული ფილოსოფიის წყალობით. გაიხსენეთ, რა უთხრა მუხამ ლერწამს ეზოპეს ზღაპარში: „შტორმის დროს სჯობს დაიხარო, ვიდრე გადატყდე."

თუ ჩვენ კვლავინდებურად მოვუწოდებთ ხალხს, არ დაიხარონ რუსეთის წინაშე, შემდეგ კი მივატოვებთ მათ, როგორც ეს 1956 წელს უნგრეთში მოხდა, მაშინ ვინ გვენდობა ჩვენ?

Georgian National airlines

CLUB Class -
როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს
ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების„ ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისათვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის გამ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | რეისი თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | რეისი ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

## მოკლედ

### სერგეი შამბა: ირაკლი ალასანია, რეზო ადამიასგან განსხვავებით, პოლიტკორექტული და კონსტრუქციული იქნება

გაერო-ში საქართველოს ელჩად ირაკლი ალასანიას დანიშვნას სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა „საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ" მიღებულ გადაწყვეტილებად აფასებს.

შამბას განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მხარისთვის „აბსოლუტურად სულერთია", ვინ იქნება საქართველოს ელჩი გაეროში. იგი და მისი თანამოაზრები მიიჩნევენ, რომ ალასანია, მისი წინამორბედი რეზო ადამიასგან განსხვავებით, „პოლიტკორექტული და კონსტრუქციული იქნება".

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მან ირაკლი ალასანიასთან მხოლოდ ხანმოკლე „კონსტრუქციული საუბარი მოასწრო", რომლის ფარგლებშიც მხარეებს „რაიმე რეალური შედეგისთვის არ მიუღწევიათ", იგი იმედოვნებს, რომ ალასანია როგორც აფხაზეთის პრობლემატიკაში „უფრო ჩახედული პიროვნება", ადამიას შეცდომებს არ გაიმეორებს და გაეროში აფხაზეთთან დაკავშირებით „სოხუმის მისამართით შეთხზულ ბრალდებებს არ გაახმოვანებს".

„ელჩი ქვეყნის სახეა და ალასანიას გაეროში საქართველოს ელჩად დანიშვნას საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებად ვაფასებ", -აღნიშნა შამბამ „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას. **ინტერპრესნიუსი**

### ელჩებს სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გააცნეს

16 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ევროკავშირის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის რესპუბლიკის, რუმინეთისა და თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის საკითხები, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმის იმპლემენტაციის შემდგომი ნაბიჯები და შეაფასეს 2006 წლის 14 ივნისს ბრიუსელში გამართული დონორთა კონფერენციის შედეგები. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა უცხოელ დიპლომატებს გააცნო ინფორმაცია 2006 წლის 13 ივნისს სანკტ-პეტერბურგში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის შეხვედრის შესახებ. **მედიანიუსი**

### კობა დავითაშვილის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტის შეფასებები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დეპუტატ კობა დავითაშვილის წინააღმდეგ დაგეგმილ თავდასხმას „სახელმწიფოსა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ტერაქტად" აფასებს.

როგორც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ეს არ იყო მხოლოდ კობა დავითაშვილის წინააღმდეგ მიმართული ტერაქტი, არამედ ის, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ იყო დაგეგმილი.

„საგანგებო ზომები იქნება მიღებული იმისათვის, რომ ნებისმიერი მსგავსი ფაქტის გამოვლენა უსწრაფესად მოხდეს და საგანგებო ზომები იყოს მიღებული იმისათვის, რომ ნებისმიერი ადამიანი, პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ჩვენი ოპონენტები მაქსიმალურად დაცულად გრძნობდნენ თავს ქვეყანაში", - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

როგორც მთავრობის კანცელარიაში სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი არველაძემ განაცხადა, საქართველოს კონტრდაზვერვამ და სხვა უწყებებმა გახსნეს საქმე, რომლის შესახებაც პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა განცხადება და სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა.

არველაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელით კობა დავითაშვილზე თავდასხმა იგეგმებოდა. **ინტერპრესნიუსი"**

### იტალიელი პრინცი დააკავეს

იტალიელმა სამართალდამცველებმა იტალიის მეფის ვაჟი, პრინცი ემანუელი კორუფციისა და პროსტიტუციის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დააკავეს.

69 წლის პრინცი იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ლეკოში დააპატიმრეს. მას ბრალად ერთ-ერთი კაზინოს მეძავეებით უზრუნველყოფა ედება. პრინცის ოჯახი დანაშაულს უარყოფს. ვიქტორ ემანუელი იტალიაში 2003 წელს დაბრუნდა.

იტალიური ტელევიზიით გამოსვლისას, პრინცის ვაჟმა ემანუელ ფილიბერტომ განაცხადა, რომ მამის დაკავებით გაოცებულია და გამოთქვა მოსაზრება, რომ მომხდარი ყურადღების მიპყრობისთვის იყო ინსპირირებული.

„იმედი მაქვს, რომ პროკურორმა იცის, რასაც ამბობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება მის მიერ მიღებული უკანასკნელი გადაწყვეტილება", - განაცხადა ფილიბერტომ.

მისივე თქმით, სამართალდამცველებმა პრინცს მობილური ჩამოართვეს და მას როგორც ბანდიტს, ისე ეპყრობიან.

სავოურმა დინასტიამ დევნილობაში 56 წელი იმის გამო გაატარა, რომ მისმა მამამ ვიქტორ ემანუელ მესამემ დიქტატორ ბენიტო მუსოლინის მხარი დაუჭირა. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

## მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

რაც არ უნდა თქვა, გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა **სააკაშვილისა** და **პუტინის** შეხვედრა იყო. პოლიტიკური წინსვლა აშკარაა: თუ სულხან საბა ორბელიანი ლუი XIV-მ მეთოთხმეტე კაცად მიიღო (ზუსტად არ მახსოვს, მეთოთხმეტე იყო თუ მეთექვსმეტე, მაგრამ შვიდპროცენტიანი ცდომილება მაინც არ უნდა იყოს ცუდი შედეგი — თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია, რომელი ოქმებით სარგებლობდა ცნობილი ლექსის ავტორი), მიხეილ სააკაშვილს მესამე კაცად მოუწია რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა. თანაც, როგორც „24 საათი" გვამცნობს, საქართველოს პრეზიდენტი მესამე იყო „ნისანისა" და „ჯენერალ მოტორსის" შემდეგ. ამ უკანასკნელ გარემოებას მრავალგვარი შეფასება შეიძლება მიეცეს, მაგრამ ერთი რამ, ჩემი აზრით, უცვლელი რჩება — თავისთავად მოვლენა უფრო პუტინის პრობლემაა, ვიდრე სააკაშვილისა, ყოველი შეფასება კი უფრო შემფასებელს აღწერს, ვიდრე თვით მოვლენას.

ერთი სიტყვით, არცთუ უმნიშვნელო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ დავეთანხმოთ **გიგა ბოკერიას**, რომლის გამონათქვამს „24 საათის" 15 ივნისის ნომერი გვაწვდის: „**საქართველო დიდი ხანია ელოდა ისეთ პრეზიდენტს, რომელიც ყველგან, ყველა დონეზე და ყველა გარემოებაში მის (საქართველოს) სათქმელს დამაჯერებლად იტყოდა.**" სხვათა შორის, ეს გამონათქვამი შეფარვით იმ კრიტიკასაც პასუხობს, რომელიც ყველაზე ხშირად ისმოდა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან. ეს შეფარული პასუხი შემდეგ სიტყვებშია მოცემული: „**ყველგან, ყველა დონეზე და ყველა გარემოებაში.**" ბოკერიას მოწოდება გასაგებია: დაანებეთ თავი ფორმაზე კამათს, დაუკვირდით შინაარსს.

ვნახოთ, როგორ განაწილდა ორი პრეზიდენტის ხანმოკლე შეხვედრის შეფასებები დროსა და სივრცეში.

რაც შეეხება დროს, აქ სულ ორი კატეგორია გვაქვს: მანამდე და მერე. მანამდე გამოთქმული თვალსაზრისებიდან ყველაზე სერიოზულად მეჩვენა ერთი, რომლის ტექსტი ელექტრონული ფოსტით მივიღე და რომელიც საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს. მოკლედ ამ თვალსაზრისის შინაარსი შემდეგია: რახან ტერიტორიული მთლიანობა საქართველოს შინაგანი საქმეა, უმჯობესი იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტი ჯერ ბაგაფშს შეხვდეს, შემდეგ კი პუტინს. ვერ ვიტყვი, რომ ეს თვალსაზრისი ცუდად იყო არგუმენტირებული — პირიქით, შინაგანად მეც ვეთანხმები მას. თუმცა არ შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში ერთი მომენტი, რომელიც შეიძლება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ მოცემულ ისტორიულ კონტექსტში შეიძლება გადამწყვეტიც იქნეს: პუტინთან შეხვედრა და საუბარი (თუნდაც დამაჯერებელი და კატეგორიული) გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ბაგაფშთან.

ბაგაფში იქით იყოს — ჯერ გასარკვევია, რა აქვს სათქმელი საქართველოს ხელისუფლებას აფხაზებისთვის. როცა საქმე რუსეთს ეხება, აქ საკითხი ნათელია, თუნდაც იმიტომ, რომ პუტინის პიროვნებაში სრულად მოიპოვება ყველაფერი ის, რასთანაც საქართველოს საგარეო პოლიტიკას აქვს საქმე. საკმარისია ელაპარაკო პუტინს, რადგან რუსებთან საქმე არა გაქვს. აი, ბაგაფში კი სულ სხვა რეალობას აპიროვნებს, ამ რეალობასთან შეხვედრას კი ორი მნიშვნელოვანი დაბრკოლება გვიშლის: 1) ჩვენ მას არ ვიცნობთ ისე, როგორც უნდა ვიცნობდეთ; 2) მისი უგულებელყოფა არ შეგვიძლია, რადგან აფხაზებისთვის, რუსებისაგან განსხვავებით, განსახილველი საკითხი სავსებით ფუნდამენტურია — აქ საქმე რომელიმე თუნდაც დიდი სახელმწიფოს გენერალური შტაბის უმაღლესი ოფიცრების პირად ინტერესებს კი არ ეხება, არამედ მთელ ეთნოსს, თუნდაც მცირერიცხოვანს.

არ ვიცი, იცოდა თუ არა სააკაშვილმა რამე არასამთავრობოთა ამ თვალსაზრისის შესახებ. მაგრამ თუ იცოდა და მაინც ის გზა აირჩია, რომლის შედეგი 13 ივნისს ვიხილეთ, მსურს ვიფიქრო, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მის მიერ საკუთარი ძალებისა და ისტორიული ვითარების უფრო მკაცრი და ფრთხილი შეფასების დასაწყისზე მეტყველებს.

ახლა კი ვნახოთ პრეზიდენტების შეხვედრამდე გამოთქმული შეფასებები, რომლებიც „24 საათში" გამოქვეყნდა. 13 ივნისის ნომერში ყველა ეს მასალა საერთო სათაურის ქვეშ შეჯამდა: *შეხვედრა ოპტიმისტური მოლოდინის გარეშე.* თუმცა აქ სიტყვა „ოპტიმისტური" განმარტებას მოითხოვს. ჩვენი პოლიტიკის ყველა მოქმედი პირი და ყველა ის პიროვნებაც, ვინც ექსპერტის თავისთავად ბუნდოვანი სახელით მოიხსენიება თითქმის ერთხმად ადასტურებდა ისედაც ცხად ჭეშმარიტებას: **პრეზიდენტების შეხვედრისაგან გლობალური საკითხების გადაწყვეტას არ უნდა ველოდოთ**. რაზე მეტყველებს ამგვარი შეფასება? — ჯერ ერთი იმას, რომ სიტყვა „გლობალური" ნამდვილად არაა გამოყენებული თავისი ნამდვილი მნიშვნელობით: ჩანს, რომ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა შინაგანი „გლობუსი" ძალზე პატარაა. მაგრამ სიტყვებზე ნუ გამოვეკიდებით. აქ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გარემოება იმალება: პოლიტიკოსთა და ექსპერტთა უმრავლესობას ვითარებისადმი მეტად მაღალი მოთხოვნები ახასიათებთ: ისინი შეფასების ისეთი კრიტერიუმით სარგებლობენ, რომელსაც სულ ორი მაჩვენებელი აქვს: 1) სრული წარმატება; 2) წარუმატებლობა. ანუ წარუმატებელია ყველაფერი, რაც ჩვენი სურვილების 100 პროცენტზე ნაკლებს აკმაყოფილებს. ამგვარი ოპტიმიზმი კი უფრო პრიმიტივიზმს ჰგავს.

აი, მაგალითად, რას ამბობს **მამუკა არეშიძე**, ექსპერტი კავკასიის საკითხებში: „**მსურს, ამ შეხვედრის შედეგად ცხინვალის რეგიონში არსებული დაძაბულობა შემცირდეს და იმედი მაქვს, რომ ეს ასე იქნება**". ამის შემდეგ კი აცხადებს, რომ „**დიდი იმედი არა აქვს**", რომ სანქტ-პეტერბურგში მოხერხდება პრობლემების გადასაჭრელი საფუძვლის ჩაყრა. მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, რისი იმედი აქვს და რისი არა. მაგრამ მეორე მომენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია: როგორ ჰგონია ექსპერტს, არსებობს კი პრინციპული შესაძლებლობა იმისა, რომ რომელიღაც რეგიონში დაძაბულობა შემცირდება, როგორც არ უნდა დამთავრდეს ქვეყნების პრეზიდენტებს შორის შეხვედრა?

თუმცა აქვე უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემთვის ადვილია ანალიზი მას შემდეგ, რაც შეხვედრა მოხდა და მეტ-ნაკლებად ყველამ ვადევნეთ თვალი მის შედეგს — ორი პრეზიდენტის პრესკონფერენციას. თუმცა მე მხოლოდ წარსულს განვიხილავ — რას იზამ, ყველას თავისი ვალი აკისრია და არა მგონია ჩემი საქმიდან რაიმე სარგებლობა ვერ გამოიტანოს მსურველმა. აქ კი მნიშვნელოვანია მოვისმინოთ ორი შეფასება.

1)**ლევან ბერძენიშვილი** (შეხვედრამდე): „**თუ სააკაშვილს ეყოფა ძალა, რათა უთხრას რუსეთის პრეზიდენტს, რომ საქართველო დსთ-ს ტოვებს და საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე არავითარი დათმობა არ იქნება, მაშინ ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იქნება**" („24 საათი", 13 ივნისი). როგორც ვხედავთ, დეპუტატის მოთხოვნები შინაარსს ეხება: სააკაშვილმა რაღაცის თქმა უნდა მოახერხოს. უფრო ზუსტად კი რაღაც ისეთისა, რასაც მანამდე ვერავინ ახერხებდა.

2) **დავით ბერძენიშვილი** (შეხვედრის შემდეგ): „**როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი თხოვს პრეზიდენტ პუტინს, ძალიან მინდა რომ მიმიღოო, პუტინიც ადეკვატურად იქცევა: მან სააკაშვილი რაღაც ეკონომიკური ფორუმის ფორმატში მიიღო, თანაც სამი საათის დაგვიანებით და არა იქ, სადაც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი**". აჰა, სააკაშვილმა მოახერხა ზუსტად იმის თქმა, რასაც მას ლევან ბერძენიშვილი სთხოვდა ერთი დღით ადრე, აქედან კი გასაგებია, რატომ ეტევა დავით ბერძენიშვილის საყვედურები ფორმალურ ფარგლებში. როგორ უნდა მოვიშორო ეჭვი, რომ რუსეთთან პირდაპირი საუბარი კი არ სურდათ, უბრალოდ, ძველებურად ელოდნენ, რომ პრეზიდენტი თავისი წინამორბედების მსგავსად ვერც ახლა შეძლებდა საკითხის გამწვავებას. მაშინაც კი, როცა სააკაშვილის გამოსვლის შინაარსს ეხება საქმე, დავით ბერძენიშვილი ვერ სცდება ფორმალური შეფასებების ზღვარს: „**დაუშვებელია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და რაც დასაკარგი ჰქონდა, მან უკვე დაკარგა. არ შეიძლება, საქართველოს ხელისუფალი ცრემლნარევი ტონით ლაპარაკობდეს სანქტ-პეტერბურგში, რომელიც დღეს რუსული შავბნელი იდეოლოგიის ცენტრია**". მომკალით და ვერ გავიგე, რა იყო აქ მაინცდამაინც „დაუშვებელი". აბა, იმას ხომ არ იტყოდა, საქართველო მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი ზესახელმწიფოაო, ან იქნებ ის უნდა ეთქვა, დასაკარგი კიდევ ბევრი გვაქვს და რატომ არ აქტიურობთო? ისიც ვერ წარმომიდგენია, სააკაშვილი ცრემლნარევი ტონით ამბობდეს რამეს. როგორც ეტყობა, დეპუტატი აქ ერთ რუსულ გამოთქმას უფართოვებს განსაზღვრის არეს და გვეუბნება, რომ სანქტ-პეტერბურგს ცრემლების არ სჯერა.

შესაძლოა, ყოველივე ამას თავისი მუშტარი ჰყავს — ბოლოს და ბოლოს, ადამიანები ამაზე გაცილებით უარესსაც ყიდულობენ და ყლაპავენ — მაგრამ პრეზიდენტთა შეხვედრის რეალური მნიშვნელობის შეფასებას ნამდვილად არა ჰგავს ეს სიტყვები. უფრო მეტიც, აქ დავით ბერძენიშვილი ერთ სახიფათო ორმოში ვარდება, სადაც ჩავარდნაზე რესპუბლიკურმა პარტიამ საჯაროდ განაცხადა უარი ლევან ბერძენიშვილის პირით გაზეთში „კვირის პალიტრა". საქმე კი ასე იყო:

გახსოვთ კინოთეატრ „რუსთაველთან" გამართული აქციები „და ვინჩის კოდის" წინააღმდეგ? მაშინ „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში ლევან ბერძენიშვილს დაუფარავი პოლიტიკური შანტაჟი მოუწყვეს: ასე თუ განაგრძე, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ხმებს არ მოგცემენო. მეორე დღეს ლევან ბერძენიშვილმა „კვირის პალიტრისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალში მსგავს დისკუსიებში მონაწილეობისაგან თავს შეიკავებს, რადგან რესპუბლიკურ პარტიას არ სურს ეკლესიასთან ურთიერთობის გაფუჭება.

ახლა კი დავით ბერძენიშვილი დაფიქრდეს: რაზეა დამყარებული ის, რასაც მან „**რუსეთის შავბნელი იდეოლოგია**" უწოდა? ან როგორ მოხერხდება ამ შავბნელი იდეოლოგიის მხილება ისე, რომ ეკლესიასთან ურთიერთობა არ გაფუჭდეს? ისე ვატყობ, რომ ძმებმა ბერძენიშვილებმა ისევ უნდა განაგრძონ წვრილმანი პოლიტიკური პროთევსის ამპლუაში მოღვაწეობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ნამდვილად გაუწყრებათ **ქსენია პეტერბურგელის** სული.

ჩვენ კი ერთი რამ დაგვრჩა: ვუპასუხოთ ერთ თითქმის საყოველთაოდ გაზიარებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად ორივე პრეზიდენტის პოზიცია საკუთარი აუდიტორიის წინაშე თავის მოწონებაზე იყო გათვლილი. ნუ დავიწყებთ კამათს, უბრალოდ, განვსაზღვროთ ეს აუდიტორიები. პუტინი ამ შემთხვევაში გამოდიოდა საკუთარი სახელმწიფოს მმართველი ელიტის ინტერესების დამცველად: არა მგონია, რუსი ხალხის (ისედაც საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა) სასიცოცხლო ინტერესებს პასუხობდეს მთელი ეს დავიდარაბა ღვინისა და მინერალური წყლის აკრძალვიდან ინდოეთის ოკეანის წყალში ჩექმების დასველებამდე. სააკაშვილის პოზიცია კი გაცილებით უფრო ადეკვატური იყო საქართველოს მოსახლეობის ფართო მასების სურვილებისა და მისწრაფებების მიმართ. აქ აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს მცირე ელიტარული ჯგუფის ანგარებიანი წადილი და მთელი ხალხის ერთიანი ნება.

მეც ვეთანხმები გიგა ბოკერიას: აქამდე საქართველოს ვერც ერთმა პრეზიდენტმა ვერ მოახერხა ამის ცხადად და არაორაზროვნად გამოთქმა: ჯერ იყო და სიმხდალე და უუნარობა უშლიდა ხელს, მერე კიდევ, როგორც საქართველოში იტყვიან, ერთი ადგილის თამაშისკენ ბუნებრივი მიდრეკილება. ახლა კი, რაოდენ პატარა არ უნდა იყოს, დიდი ხნის სასურველი შედეგი მიღწეულია — ის, რაც ჩვენს ინტერესებად მიგვაჩნია, საჯაროდ და ქარაგმების გარეშე გამოვთქვით. ახლა უკვე ვერაფრით გავიმართლებთ თავს: უნდა დავსხდეთ და იმაზე დავიწყოთ ფიქრი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რომ მართლა გვსურს და შეგვიძლია ის, რასაც პრეზიდენტს ამდენი ხნის განმავლობაში ვთხოვდით.



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

# შოტლანდიელები ინგლისს არ გულშემატკივრობენ

პირველი გვერდიდან

თვითიდენტიფიცირების ისეთი ცნება, როგორიც ბრიტანელია, სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას მოიცავს. ბრიტანეთი, თავის მხრივ, ინგლისის, უელსისა და შოტლანდიისაგან შედგება. მაგრამ ტენდენცია, რომ ბრიტანეთის მცხოვრებლები თავის თავს ინგლისელად, უელსელად და შოტლანდიელად მოიხსენიებენ და არა ბრიტანელად, ძალზე მზარდი და თვალშისაცემია.

როდესაც ორი წლის წინ ვესტმინსტერში შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს შევხვდი, მისი მოწოდებები დამოუკიდებლობაზე სრულიად არასერიოზულად მომეჩვენა. მაგრამ შოტლანდიიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანს. ნაციონალურ პარტიას შოტლანდიის პარლამენტში პოზიციები და გავლენა უმყარდება.

შოტლანდიის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ვესტმინსტერმა რამდენიმე წლის წინ ძალაუფლების გაყოფით უპასუხა. რეფერენდუმის შედეგად შოტლანდიას დღეს უკვე ჰყავს პარლამენტი, ისევე როგორც უელსს, თუმცა უფრო გაზრდილი უფლებებით. თუ არ ჩავთვლით თავდაცვას, მაკროეკონომიკას და საგარეო პოლიტიკას, პარლამენტს თითქმის ყველაფრის შეცვლის უფლება აქვს, მათ შორის გადასახადებისაც კი, ოღონდ სამი პროცენტის ფარგლებში.

ასე რომ, დღეს პარლამენტი შოტლანდიის შედარებითი თავისუფლების სიმბოლოა. კელტების შთამომავლები თვითონ პარლამენტის შენობითაც უზომოდ ამაყობენ. ძალიან ძველ და ძალიან ლამაზ ედინბურგში, სადაც მთებზე შეფენილი ციხესიმაგრეები და სასახლეები მისტიურ იერს ატარებენ, განსაკუთრებით კი - ჩვეულ ნისლსა და ღრუბელში, სადაც ვიწრო ქუჩებზე გაშავებულ ძველ შენობებს შორის თავი შუა საუკუნეებში გგონია და სადაც ზოგიერთ სახლში მოჩვენებებისა და სულების არსებობაზე ცოცხალი ლეგენდები დადის, საოცრად თანამედროვე და უცნაური პარლამენტის შენობა მართლაც განსაკუთრებულია და, რაც მთავარია, ძველისძველი, გრანდიოზული ვესტმინსტერისგან - სრულიად განსხვავებული.

კასტილიელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებულმა შენობამ, რომელიც 2004 წელს გაიხსნა, უკვე მოიპოვა გამარჯვება 8 საერთაშორისო კონკურსში და 2005 წლის შენობის წოდებაც მიიღო. შოტლანდიელები ამბობენ, რომ ეს შენობა თავისი კონცეფციით ძალიან კარგად ერგება დემოკრატიის არსს - აქ ყოველდღე უამრავი მნახველი დადის. აქ სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე ლექციებს ისმენენ, ესწრებიან საპარლამენტო სესიებს, ხოლო სპეციალურ ოთახებში, რომელიც დეპუტატების სამუშაო სივრცეს საჯარო სივრცესთან აერთებს, ამომრჩეველს თავის რჩეულთან შეხვედრა და ნებისმიერ თემაზე საუბარი შეუძლია.

ეს შენობა დაახლოებით 400 ათასი ფუნტი სტერლინგი დაჯდა. ზუსტად ამდენი და არა იმდენი, რამდენსაც ინგლისელები ამბობენ - ამ კომენტარს აუცილებლად დააყოლებენ ედინბურგში.

შოტლანდიელები ბევრი რამით ამაყობენ, მათ შორის, რა თქმა უნდა, მსოფლიოში სახელგანთქმული ვისკით და, სხვათა შორის, ედინბურგის ციხითაც. ამ ადგილისთვის რეაბილიტაციის ცენტრი, შესაძლოა, უფრო შესაფერისი სახელი ყოფილიყო. თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილ კაბინეტებში პატიმრებს სამედიცინო მომსახურება უტარდებათ. კომპიუტერებიან საწავლო ოთახებში კი სწავლის შესაძლებლობა აქვთ. ციხეში პატიმრები თავის სურვილის მიხედვით ირჩევენ სფეროს, სადაც სპეცილიზაციას გადიან, სარემონტო სამუშაოებით და ბაღის გამწვანებით დაწყებული, მუსიკის შესწავლით დამთავრებული. კარგად სწავლის შემთხვევაში კოლეჯის სერტიფიკატის მიღებაც შეუძლიათ. ასე რომ, შოტლანდიაში ციხე კიდევ ერთ შანსს აძლევთ მათ, ვინც ცხოვრების არასწორი გზა აირჩია.

სხვათა შორის, ციხე ერთადერთი ადგილი იყო შოტლანდიაში, სადაც პატიმრების ერთი ჯგუფი ინგლისის გუნდს გულშემატკივრობს, თუმცა მიზეზი, ამ შემთხვევში, პოლიტიკასთან კავშირში არ არის - უბრალოდ, მათ შორის ერთ-ერთი ინგლისელია.

იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის გულშემატკივრობენ შოტლანდიელები მსოფლიო ჩემპიონატზე, მთავარი კითხვა - რითი დამთავრდება შოტლანდიის „დევოლუციის" ანუ ცენტრალური ხელისუფლებისაგან ედინბურგისათვის ძალაუფლების გადაცემის პროცესი - სრული დამოუკიდებლობით თუ დღევანდელი სტატუს-კვოს შენარჩუნებით - ჯერ კიდევ ღიად რჩება. თუმცა, აქ ერთი რამ მაინც იციან: რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი ისევ ცივილიზებული გზით, მშვიდობიანად გადაწყდება.

# უკრაინის პრეზიდენტის მოწოდება

ვიქტორ იუშჩენკო უკრაინის უმაღლეს რადას უმოკლეს ვადაში კოალიციის ფორმირებისა და ახალი მთავრობის შექმნისაკენ მოუწოდებს. იუშჩენკოს განცხადებით, პირველ რიგში, აუცილებელია უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ „არ შეარცხვინოს უკრაინის იმიჯი" მსოფლიოში და აუცილებლად აღადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობა. მან ასევე მოუწოდა დეპუტატებს, დაასრულონ კოალიციის ფორმირებისა და ახალი მთავრობის შექმნის პროცესი. უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, ამის „პოლიტიკური საფუძველი არსებობს".

მისივე თქმით, კოალიციის ფორმირებაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ადამიანმა, რომელსაც პრეტენზია აქვს პრემიერ-მინისტრობაზე. შემდეგ ნაბიჯად კი, იუშჩენკოს უმაღლესი რადას ხელმძღვანელობის არჩევა და მისი ორგანოების ფორმირება მიაჩნია.

უმაღლესი რადას დეპუტატებს რჩებათ კიდევ ერთი კვირა საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებისათვის. თუ კანონმდებლები 21 ივნისამდე ამას ვერ შეძლებენ, ქვეყნის პრეზიდენტს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ხელახალი არჩევნები.

უკრაინაში უმაღლესი რადას დეპუტატთა არჩევნები 2006 წლის 26 მარტს ჩატარდა. რადას შემადგენლობაში ხუთი პარტია და ბლოკი შევიდა: რეგიონების პარტია (186 მანდატი), იულია ტიმოშენკოს ბლოკი (129), ბლოკი „ნაშა უკრაინა" (81), სოციალისტური პარტია (33) და კომუნისტური პარტია (21).

*ინტერპრესნიუსი*




## მოკლედ

### პასუხისგება ჟურნალისტების შეურაცხყოფისთვის

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ, ხვიჩა კიკილაშვილის თავმჯდომარეობით, სოფელ ანაგაში მიმდინარე აქციის დროს ჟურნალისტების შეურაცხყოფაში ბრალდებულებს აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. სოფელ ვაქირის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ სოსო ნანობაშვილს და ვაქირში მცხოვრებ ბაჩო მუნჯიშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ, ხოლო ჯემალ დემეტრაშვილს, გირაოს სახით, ათი დღის ვადაში ხუთი ათასი ლარის გადახდა დაეკისრა. ნანობაშვილს, დემეტრაშვილს და მუნჯიშვილს ბრალი ედებათ 15 ივნისს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი თეატრალური საპროტესტო აქციის დარბევისას ჟურნალისტების ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში. მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით, რომელიც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

### პირის ამოკერვა პროტესტის ნიშნად

ბათუმის მესამე საპყრობილის პატიმარმა პირი ამოიკერა. გიორგი ახალაია ამ ფორმით გამოძიებას პროტესტს უცხადებს.

ახალაია ძარცვა-ყაჩაღობის ბრალდებით მესამე საპყრობილეში 17 თებერვალს მოათავსეს, რის შემდეგაც ორი სასამართლო პროცესი შედგა. გამოძიების მტკიცებით, იგი ექვს ჯგუფურ ძარცვაში მონაწილეობდა.

პატიმარი თავს უდანაშაულოდ ცნობს და გამოძიების ბრალდებებს არ აღიარებს. ციხის ადმინისტრაციის განცხადებით, რვადღიანი შიმშილობის მიუხედავად, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ახალაია დანარჩენი პატიმრებისგან იზოლირებულია. **ინტერპრესნიუსი**

### ქუთაისის საავიაციო ქარხნის დირექტორი დააკავეს

იმერეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ქუთაისის საავიაციო ქარხნის დირექტორი ირაკლი კოხრეიძე დააკავეს.

ირაკლი კოხრეიძეს სამართალდამცველები ქარხნისთვის მიყენებული ზიანისა და პროდუქციის გაყიდვისას 500 ათასი ლარის მითვისების მცდელობას ედავებიან.

საქმე ეხება ოთხადგილიან ქუთაისურ თვითმფრინავ „მერკურს", რომლის ღირებულება 800 ათას ლარს შეადგენს. პოლიციის ინფორმაციით, საწარმოს ხელმძღვანელმა მოსკოვურ ფირმა „ავიატორთან" „მერკურის" გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. „ავიატორმა" „მერკური", ხელშეკრულების მიხედვით, 150 ათას დოლარად შეიძინა, რითაც საწარმოს, დაახლოებით, ნახევარ მილიონამდე ლარი აკლდებოდა.

სამართალდაცველებმა დირექტორის დაკავებასთან ერთად ხელშეკრულებაც გააუქმეს. ირაკლი კოხრეიძე წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 220-ე მუხლით არის აღძრული, რაც თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

### გამოძიება მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა დმანისის სატყეო მეურნეობის მოლარე, 55 წლის თამარ დევნოზაშვილი დააკავეს.

როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს უფროსის მოადგილე ლექსო დალაქიშვილი აცხადებს, თამარ დევნოზაშვილს 2000-2005 წლებში დმანისის სატყეო მეურნეობაში მოლარედ მუშაობის პერიოდში ბრალად ედება 18 ათასი ლარის მითვისება-გაფლანგვა.

„თამარ დევნოზაშვილი მეურნეობაში ხე-ტყის რეალიზაციის დროს ე.წ. ორდერს ხელით ადგენდა და შემდეგ ქვემო ქართლის ხაზინაში აგზავნიდა. დოკუმენტის შედგენის დროს ის თანხას ხელით აფიქსირებდა, ხშირ შემთხვევაში - შეგნებულად ნაკლებს", - განაცხადა ლექსო დალაქიშვილმა.

თამარ დევნოზაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 182-ე მუხლის მეორე ნაწილით აღიძრა და მას ორიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. **ინტერპრესნიუსი**

## განცხადება

1. ორგანიზაციას სარეალიზაციოდ გამოაქვს გზების, ბაღების, ქუჩების სანათების მაღალი ხარისხის, 2006 წლის აპრილის თვეში იმპორტირებული სარანსკის (რუსეთის) წარმოების ნათურები:

- ДРЛ 250 ვატი
- ДРЛ 400 ვატი
- ДРЛ 700 ვატი
- ДРЛ 1000 ვატი
- ვარვარა 220X500 ვატი
- ლუმინისცირებული ld 40-1

2. ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას ტენდერში კვოტირების მეთოდით შემდეგი ნაწარმის შესყიდვისათვის:

- ნათურები სხვადასხვა
- ელექტრო და კავშირის სადენები, კაბელები
- ელძრავის დასახვევი ემალსადენი
- სხვადასხვა სანათები

საკონტაქტო ტელ.: 22-15-93
შპს "ნეონი" ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74 ა IV სართული

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით 2006 წლის 19 ივლისს ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდა დაინიშნა.

გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში მიიღება 20 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით (11.00.-დან 17.00 საათამდე, შესვენება 13.00.-დან - 14.00.-მდე საათამდე), ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს: საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გავლილი აქვს სტაჟირება. აგრეთვე ის პირები, რომელთაც აქვთ ნოტარიუსად, ნოტარიუსის მდივნად, ან კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველებმა უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

a) განცხადება გამოცდაზე დაშვების შესახებ (განცხადება შეივსება ადგილზე);

b) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი - სანოტარო წესით დამოწმებული დიპლომის ასლი და ჩაბარებული საგნების ჩამონათვალი - დანართი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) სტაჟირების გავლის დამადასტურებელი საბუთი - იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანების ასლი (ხოლო სტაჟირების ვადის შემცირების შემთხვევაში, აგრეთვე - იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანების ასლი);

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ვ) ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3/4-ზე;

ზ) სანოტარო წესით დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

საგამოცდო ფურცელი გაიცემა 2006 წლის 17-18 ივლისს.

გამოცდაზე დასწრების მსურველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები აკრედიტაციისათვის დაგვიკავშირდნენ 13 ივლისამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ იუსიტიციის სამინისტროს შემდეგ ტელეფონებზე: 758275; 758293.

ნოტარიუსობის კანდიდატთა საკვალიფიკაციო პროგრამა და საგამოცდო ტესტები იხილეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე:

www.justice.gov.ge

# ტერაქტის მცდელობა გამოაშკარავებულია

პირველი გვერდიდან

როგორც შსს-ში ირწმუნებიან, არშემდგარი ტერაქტის მცდელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა დადგენილია. იგი 1981 წელს რუსთავში დაბადებული გიორგი ალიკას ძე კურტაევია, რომელიც ამჟამად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და ვლადიკავკაზში ცხოვრობს.

შსს-ს ინფორმაციით, კურტაევი 16 მაისს ჩრდილოეთ ოსეთიდან ჯერ ცხინვალში, შემდეგ კი რუსთავში ჩავიდა, სადაც ერთ-ერთი ფირმის კუთვნილი ავტომანქანა ხანგრძლივი პერიოდით მომსახურებისთვის დაიქირავა. პოლიციის თქმით, კურტაევმა შეიძინა სიმბარათი, ნომრით 895 59 38 50. მას ჰქონდა მობილური ტელეფონის რამდენიმე ნომერი, ერთს იყენებდა კობა დავითაშვილის ბინის ტელეფონზე დასარეკად, სხვა ნომრებით კი ახორციელებდა ზარებს ცხინვალსა და ვლადიკავკაზში.

პოლიციის ინფორმაციით, კურტაევი დავითაშვილის საცხოვრებელ სახლს 7 ივნისამდე უთვალთვალებდა, აღრიცხულია მისი სამი სატელეფონო ზარიც, რომლებიც მან პარლამენტარის ბინის ტელეფონზე განახორციელა. ძიებით დადგინდა ისიც, რომ 7 ივნისის ინციდენტის შემდეგ კურტაევი სასწრაფოდ გაემგზავრა ცხინვალში.

**„ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე კურტაევმა შეიძინა „მაგთის" მეორე ბარათიც, ნომრით 895 53 74 30, რის შემდეგაც დაიწყო კობა დავითაშვილის საცხოვრებელი კორპუსის თვალთვალი. კურტაევმა სამჯერ დარეკა ნომრიდან 895 53 74 30 კობა დვითაშვილის ბინის ტელეფონზე. 18-დან 23 მაისამდე, აგრეთვე, 28 მაისიდან 7 ივნისის ჩათვლით კურტაევი პარლამენტის წევრის საცხოვრებელ სახლს, ეზოს და მის მიმდებარე ტერიტორიას უთვალთვალებდა, ხოლო 2 და 3 ივნისს დავითაშვილის კუთვნილ ავტომანქანას დასდევდა.**

**აღსანიშნავია, რომ კურტაევი მაქსიმალურად იცავდა კონსპირაციის წესებს, რისთვისაც მძღოლისგან მოითხოვდა მანქანა გაეჩერებინა დავითაშვილის საცხოვრებელი სახლის მახლობლად მდებარე სხვადასხვა ქუჩაზე; ლოდინის დროს მძღოლი უნდა ყოფილიყო ყურადღებით და არ ჩასძინებოდა. კურტაევი მძღოლს პერიოდულად უკავშირდებოდა მობილური ტელეფონით. ქალაქში დავითაშვილის ავტომანქანის დევნისას მოითხოვდა, მძღოლს დაეცვა დისტანცია და არ მიახლოებოდა ობიექტს ისეთ მანძილზე, რაც შესაძლებელს გახდიდა თვალთვალის გამოვლენას,"** - აცხადებენ შსს-ში.

პოლიციაში ირწმუნებიან, რომ გიორგი კურტაევი ამ ხნის მანძილზე საცხოვრებლად გაჩერდა არა რუსთავში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა 16 წლის ასაკამდე, არამედ მამის, ალიკ კურტაევის შორეული ნათესავის, გ. ბ.-ს სახლში. მის საცხოვრებელ ადგილს სამართალდამცველები არ ასახელებენ. ამასთან, მძღოლისთვის გზა-კვალის აბნევის მიზნით, კურტაევს იგი მხოლოდ სოფელ წეროვანამდე მიჰყავდა და გზას მხოლოდ მას შემდეგ აგრძელებდა, რაც უკან, თბილისისკენ გამობრუნებული მძღოლი თვალს მიეფარებოდა; ძიებით დადგენილია, რომ 23-27 მაისის შუალედში კურტაევმა ცხინვალის გავლით დატოვა საქართველოს ტერიტორია და იმყოფებოდა ვლადიკავკაზში. 28 მაისს ვლადიკავკაზიდან დაბრუნებულ კურტაევს გვერდიდან აღარ მოუცილებია მუქი ლურჯი ფერის პოლიეთილენის პარკი, რომელიც შემდგომში დანაშაულის ადგილზე იპოვეს.

**„გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გამოვლენილია კურტაევის კავშირები თბილისში, რუსთავში, აგრეთვე - ცხინვალის რეგიონსა და ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა ალანიაში. დადგენილია იმ პირთა მონაცემები, რომელთაც ძიებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოწმეთა დაკითხვა, ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები კურტაევის ამჟამინდელი ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავებისათვის, მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მიზნით,"** - აცხადებენ შსს-ში.

*24 საათი*

# ქართველი ტურისტები ფინეთის სასამართლოში ჩივიან

*საქართველოს სახალხო დამცველსა და საქართველოში ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ტერპი ჰაკალას შორის გამართულ შეხვედრაზე ფინეთის მესაზღვრეების მხრიდან საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევის, პატივისა და ღირსების შემლახველი ფაქტების შესახებ ისაუბრეს.*

საქართველოს ომბუდსმენსა და ფინელ დიპლომატს შორის გამართულ შეხვედრას ვაალამას სასაზღვრო გამშვებ-პუნქტთან დაკავებული ტურისტული ჯგუფის წევრი ქალბატონებიც ესწრებოდნენ. დაზარალებულებმა ელჩს შეატყობინეს, რომ ფინელ მესაზღვრეთა შეურაცხმყოფელი ქმედების გამო, მათ გასულ წელს, ფინეთის ქალაქ ვუკლას სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანეს. თუმცა, საქმე დღემდე არ განხილულა. ელჩის განცხადებით, ფინეთის სასამართლოები გადატვირთულია ადმინისტრაციული სარჩელებით, ქართველი დეპორტირებულების სარჩელიც განსახილველად თავის რიგს ელოდება და მისი დაჩქარება შეუძლებელია, ვინაიდან, რიგითობის პრინციპი ფინეთის სასამართლოებში ძალზე მკაცრად არის დაცული.

ქართველ ტურისტთა ადმინისტრაციული სარჩელის განხილვის შემდეგ, მესაზღვრეთა დანაშაულებრივი ქმედების დადასტურების შემთხვევაში, ფინეთის სასამართლო ქართველი ქალბატონების მეორე - სამოქალაქო ხასიათის სარჩელსაც განიხილავს, რომელშიც დაზარალებულები მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაციას ითხოვენ.

საქართველოს სახალხო დამცველთან გამართულ შეხვედრაზე ტერპი ჰაკალა საქართველოს მოქალაქეებს და სახალხო დამცველს ხსენებული საქმისადმი ყურადღების გამოჩენასა და ფინეთის ომბუდსმენთან და ქართველების ფინელ ადვოკატთან ერთად პრობლემის ზედმიწევნით შესწავლას დაჰპირდა.

ფინეთის ომბუდსმენი სოზარ სუბარის თხოვნის საფუძველზე, პირველივე დღიდან არის ჩართული პრობლემის გარკვევაში. თუმცა, საქმე საკმაოდ შრომატევადია, თვითმხილველთა და მონაწილეთა დიდი რაოდენობა გამოსაკითხია და, შესაბამისად, ფინეთის ომბუდსმენს ამ მიმართულებით თავისი სამუშაო ჯერ არ დაუსრულებია.

სოზარ სუბარმა ფინეთის ელჩს კოლეგა ომბუდსმენისთვის კიდევ ერთი წერილი გაატანა, სადაც საქართველოს სახალხო დამცველი ფინელ კოლეგას თავისი კომპეტენციის ფარგლებში კიდევ უფრო მეტი აქტიურობის გამოჩენას და დასახელებული საქმის სრული მონიტორინგის ჩატარებას სთხოვს.

საუბარია, 2005 წლის 15 მარტს მომხდარ ფაქტზე, როცა ფინეთის ვაალამას სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ფინელმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქეები დააკავეს და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით აიძულებდნენ ეღიარებინათ, რომ ისინი ნამდვილად ტრეფიკინგის მსხვერპლნი იყვნენ. ფინელი მესაზღვრეები მათ გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. ტურისტების დაკითხვა 20 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, რითაც უხეშად დაირღვა მათი უფლებები და შეილახა პატივი და ღირსება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები ლეგალური საბუთებით მიემგზავრებოდნენ შვედეთში და გზად ფინეთში გავლისას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ, მოხდა მათი ვიზების ანულირება და საქართველოში დეპორტაცია.

*24 საათი*

# მოლაშვილის საქმის განხილვა სრულდება

უზენაეს სასამართლოში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის საქმის განხილვა დასასრულს უახლოვდება. მომდევნო სასამართლო სხდომაზე პროკურატურა საკუთარ პოზიციას წარმოადგენს, რის შემდეგაც საქმის განხილვა მხარეთა შორის კამათის ეტაპზე გადავა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კი საბოლოო იქნება და აღარ გასაჩივრდება. გასულ სასამართლო პროცესზე პროკურატურას საკუთარი სიტყვა უნდა წარმოედგინა, თუმცა მოსამართლეთა კოლეგიამ ბრალდების მხარეს პოზიციის საფუძვლიანად მომზადებისთვის გარკვეული დრო მისცა. დაკავებულის ადვოკატების საკასაციო სარჩელი 47 გვერდისგან შედგება. ადვოკატები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6 მარტის გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, რომლითაც მოლაშვილს 8 წლით პატიმრობა მიესაჯა. გარდა ამისა, დამცველები სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვენ. ისინი სარჩელს ევროპის ადამიანის უფლებათა (სტრასბურგის) სასამართლოში შეიტანენ, სადაც საქმის მოგების იმედი აქვთ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს 8 წლით პატიმრობა მიესაჯა. მოსამართლეთა კოლეგიას ამავე სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე ზაზა მეიშვილი ხელმძღვანელობდა. მან ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაკავებულის ადვოკატების მოთხოვნა და ცვლილებები შეიტანა საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. სულხან მოლაშვილს რამდენიმე ეპიზოდში მოეხსნა ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი, თუმცა მას საბოლოო ჯამში 8 წლით პატიმრობა მიესაჯა; აქედან მას 2 წელი უკვე მოხდილი აქვს.

*ინტერპრესნიუსი*



# ვაგზალი ყველასთვის

შემოიხედეთ, გენაცვალე - ბორჯომში ჯი ემ სი ჯგუფის ახალ რესტორანში

ია ვექუა

რამდენი ნაოჭი უნდა ჰქონდეს ხინკალს, მოხევური სჯობია თუ ქალაქური, პილპილით უნდა მიირთვათ თუ ჩანგლით - ეს კითხვები მეორე პლანზე გადადის მაშინ, როდესაც საქმე კონკურსს ეხება და ხინკლის კუჭების რაოდენობა გუნდის გამარჯვების განმსაზღვრელია. ჯი ემ სი ჯგუფის მიერ ბორჯომში, რკინიგზის ძველი ვაგზლის შენობაში გახსნილი რესტორნის „შემოიხედე გენაცვალეს" პრეზენტაცია სწორედ ამ უჩვეულო კონკურსით დაიწყო, „ქუჩის ბიჭებისა" და ნეკა სებისკვერაძის კონცერტით გაგრძელდა და ფოიერვერკით დასრულდა.

ხინკალი ქართული ეროვნული კერძია, მისი მომზადებისთვის მინიმალური რაოდენობის პროდუქტი, მირთმევისთვის კი მაქსიმალური ძალისხმევაა საჭირო. ჯერ უნდა ჩაკბიჩო, სული შეუბერო, წვენი შეხვრიპო და ხინკალი ნელ-ნელა კუჭამდე დაიყვანო. ეს ხინკლის ჭამის იდეალური ვარიანტია, თუმცა თუ დრო მხოლოდ ხუთი წუთი გაქვს, მაშინ ყველანაირი ესთეტიკა უნდა დაივიწყო და წამზომზე იფიქრო.



შეჯიბრში გამარჯვებული.

გაზეთებისა და ტელეჟურნალისტების ორი გუნდის შეჯიბრი (უთანასწორო შეჯიბრი, რადგან ტელეჟურნალისტებს ოპერატორებიც ეხმარებოდნენ) ტელეჟურნალისტების გამარჯვებით დასრულდა - 46 კუჭი 32-ის წინააღმდეგ. გამარჯვებული გუნდის ლიდერად კი ტელეკომპანია „მაესტროს" თანამშრომელი გიორგი ნაზღაიძე დაასახელეს, რომელმაც ხუთ წუთში 19 (!) ხინკალს გაავლო მუსრი. „წარმოშობით მთიული ვარ და ხინკალი ჩემი საყვარელი კერძია, ამიტომ ამ შეჯიბრში თავს ყველაზე კარგად ვგრძნობდი. მეტის შეჭმაც შემეძლო, უბრალოდ, დრო იყო ძალიან ცოტა", - განაცხადა გამარჯვებულმა.

ეს სწორედ ის გიორგი ნაზღაიძეა „მაესტროს" რეალითი შოუ „მდიდრები და ღარიბების" პირველი გამოშვების საუკეთესო ხუთეულში რომ მოხვდა და ანტალიის საგზურიც მოიგო. როგორც თავად ამბობს, პროექტში ყოფნისას, როდესაც „ღარიბი" იყო, ლობიოსა და კარტოფილის მეტს არაფერს მიირთმევდა, პროექტის დატოვების შემდეგ კი დანაკარგის ანაზღაურებას ცდილობს. მისმა მცდელობამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ თანაგუნდელებს თბილისის „შემოიხედე გენაცვალეში" უფასოდ აქეიფებს.

ჯი ემ სი ჯგუფის რესტორანი „შემოიხედე გენაცვალე" ხინკლის რესტორანია. ამ ჯგუფის სხვა რესტორნებისგან მენიუთი განსხვავდება, რადგან მომხმარებელს მხოლოდ ქართულ ტრადიციულ კერძებს სთავაზობს, თუმცა მსგავსება იმაშია, რომ ჯი ემ სის დანარჩენი რესტორნების მსგავსი მომსახურებისა და სერვისის მაღალი დონით ხასიათდება. საინტერესოა ისიც, რომ კერძები პირდაპირ მომხარებლის თვალწინ მზადდება, რაც ამ ყველაფერს სანახაობრივ მხარესაც მატებს.

„ხინკლის კონკურსი თბილისის „შემოიხედე გენაცვალეს" გახსნის დროსაც ჩავატარეთ. როგორც მოგეხსენებათ, მთაში ხინკლის მოხვევისა და მირთმევის შეჯიბრის ტრადიცია არსებობდა. ყურადღება ექცეოდა არა მხოლოდ რაოდენობას, არამედ ნაოჭების სიმრავლეს და ხინკლის სილამაზესაც. ამ ტრადიციის გამეორებას ჩვენც ვცდილობთ. რაც შეეხება ბორჯომში გახსნილ რესტორანს, ცხელი ზაფხულის სეზონის დაწყებას ჩვენ ამ სახით გამოვეხმაურეთ", - განაცხადა ჯი ემ სი ჯგუფის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მაკო ჯაოშვილმა.

# "ავერსის" საჩუქარი პატრულს და მოსახლეობას

თამარ ციბალაშვილი



"ავერსი-ფარმა" სოციალური პროექტების განხორციელებას განაგრძობს.

"ავერსი" არც დედაქალაქის ფარგლებს გარეთ მოღვაწე სამართალდამცავებს ივიწყებს - მათთვის განკუთვნილი საჭირო მედიკამენტებითა და ნივთებით დაკომპლექტებული 300 აფთიაქი მფლობელს ელის. ასე რომ, სულ მალე რეგიონებში მომუშავე საპატრულო პოლიციასაც შეეძლება, დაშავებულებს პირველადი სამედიცინო დახმარება დროულად აღმოუჩინოს.

არცთუ დიდი ხნის წინ ავტომობილის მფლობელს პირველადი დახმარების აფთიაქი უთუოდ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ბოლო დროს ეს სავალდებულო მოთხოვნა ყველამ დაივიწყა. ტრადიციის განახლებას "ავერსი-ფარმამ" ჩაუყარა საფუძველი. მისი ინიციატივით საპატრულო ეკიპაჟის მთელ შემადგენლობას პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტებითა და ნივთებით აღჭურვილი აფთიაქები გადაეცა. ურიგო არ იქნება, თუ ამ ინიციატივას განვაზოგადებთ და არა მარტო სამართალდამცავები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც იზრუნებენ საკუთარი აფთიაქების დაკომპლექტებაზე. ამ გზით ავტოავარიათა მძიმე გართულებების რისკი საგრძნობლად შემცირდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პატრული ყოველთვის პირველი მიდის შემთხვევის ადგილას, "ავერსის" ახალი ინიციატივის მნიშვნელობასაც სათანადოდ შევაფასებთ.

13 ივნისს საპატრულო პოლიციის შენობის წინ მწყობრში მდგარ სამართალდამცავებს "ავერსის" ახალი პროექტი გააცნეს. ფარმაცევტული კომპანიის გენერალურმა დირექტორმა პაატა კურტანიძემ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ეს წარმატებული წამოწყება საზოგადოებაშიც დიდი ნდობით სარგებლობს. "სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და უბედური შემთხვევების დროს პატრულის დაზარალებული თანამშრომლები თუ ჩვეულებრივი მოქალაქეები სასწრაფო დახმარების მოსვლამდე სიცოცხლისათვის ძვირფას წუთებს კარგავენ. "ავერსი-ფარმას" პროექტის მიზანია, საპატრულო პოლიციის ყველა თანამშრომელს შეეძლოს საკუთარი თავისა თუ დაზარალებული მოქალაქისათვის გადაუდებელი დახმარების გაწევა", - ბრძანა პაატა კურტანიძემ და დასძინა, რომ ამ აქციას ერთჯერადი ხასიათი არ ექნება - პროექტის მიხედვით, პირველი დახმარების აფთიაქი ყოველთვე მედიკამენტების აუცილებელი მარაგით შეივსება. გადაუდებელი დახმარების აფთიაქის აღჭურვილობაში კი შედის ისეთი აუცილებელი მედიკამენტები, როგორიც არის ტკივილგამაყუჩებელი, სტრესის მომხსნელი და საგულე პრეპარატები. აქვე ნახავთ ანტისეპტიკურ ხსნარსა და შესახვევ მასალებს, მოტეხილობისა და დაჟეჟილობის დროს სისხლჩაქცევებისა და შემდგომ გართულებათა საწინააღმდეგო საშუალებებსაც.

პატრულის თანამშრომლების თქმით, "ავერსი-ფარმას" ახალი პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტიმულს მისცემს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კი მადლიერება გამოთქვა ფარმაცევტული კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ.

"მინდა, მადლობა გადაგიხადოთ პატრულის მიმართ გამოჩენილი სულგრძელობისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შემთხვევის ადგილას საპატრულო პოლიცია ყოველთვის პირველი მიდის, დავრწმუნდებით, რომ კომპანიის ეს საქველმოქმედო ნაბიჯი მართლაც მნიშვნელოვანია", - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

პირველადი დახმარების კომპლექტში შემავალი მედიკამენტებისა და ნივთების გამოყენება სპეციალიზებულ სამედიცინო ცოდნას არ მოითხოვს, მიუხედავად ამისა, კომპანია "ავერსს" დაგეგმილი აქვს, პატრულის თითოეულ თანამშრომელს მაინც ჩაუტაროს საგანგებო ტრეინინგი. მცირე სამედიცინო სასწავლო კურსი კანონის დამცველებს გადაუდებელი დახმარების აფთიაქში არსებული საშუალებების გამოყენებას გაუადვილებს.







ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI Drive your way™ იარე შენი გზით

www.hyundai.ge



არსი

არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი 1989 წლიდან


# "არსის" რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

გამოიჩინეთ ცნობისმოყვარეობა, გაანალიზეთ თქვენი არჩევანი და დასვით უამრავი შეკითხვა

**დედაქალაქში არსებული მშენებლობების ფონზე, მომხმარებელს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება. ხშირია ობიექტის ჩაბარების დაგვიანების, ბინის რამდენიმე მფლობელზე გაყიდვის, ფაქტები, ძალიან ბევრი კი პროექტის გაცნობის გარეშე ყიდულობს უძრავ ქონებას, საბოლოოდ მომხმარებელი მოტყუებული და უკმაყოფილო რჩება. ამიტომ თუ გადაწყვიტეთ ბინა ახალ აშენებულ სახლში შეიძინოთ, სჯობს ამის განსახორციელებლად სამშენებლო კომპანიას მიაკითხოთ, სადაც ურთიერთობის ფორმები გაცილებით ცივილურია. მაგრამ თუ თქვენთვის ბინის შერჩევა პრობლემას აღარ წარმოადგენს და უკვე გადაწყვიტეთ სად სჯობს ბინის შეძენა ძველ თუ მშენებარე სახლში, უფრო მეტიც, მოგწონთ და გაკმაყოფილებთ სახლის გარშემო არსებული გარემო, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტაბელურობა, და მიგაჩნიათ რომ თქვენი გადაწყვეტილება მყარი და წარმატებულია, გადაწყვეტილების მიღებას მაინც ნუ იჩქარებთ, გაანალიზეთ თქვენი არჩევანი და ყურადღება სხვა ფაქტორებზე გაამახვილეთ. დარწმუნდით, რომ ეს 5 ეტაპი უკვე გავლილი გაქვთ:**

**1. გაეცანით კომპანიის ისტორიას -** ბინის შეძენისას სასურველია გაეცნოთ სამშენებლო კომპანიის გამოცდილებას. მოინახულეთ მის მიერ აშენებული ობიექტები, გამოიჩინეთ ცნობისმოყვარეობა, დაათვლიერეთ სახლის მიმდებარე ტერიტორია, თუ რამდენად მოწესრიგებულია სადარბაზო, ეზო. დარწმუნდით კომპანიის პროფესიონალიზმში, გაესაუბრეთ მის კლიენტებს ან უბრალოდ მიიღეთ მათგან რეკომენდაციები.

სახლის მშენებლობა ბევრი დეტალისგან შედგება, რომელიც გაანალიზებასა და დაფიქრებას საჭიროებს და რაც მხოლოდ გამოცდილებით მკვიდრდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კომპანიის სტაჟი.

ჩვენი რჩევაა, არ შეიძინოთ ბინა თუ ოდნავ მაინც გეპარებათ ეჭვი კომპანიის გამოცდილებაში და უნარში წარმატებით განახორციელოს პროექტი.

**2. მოითხოვეთ მშნებარე სახლის პროექტი და გაეცანით მას** - ძალიან ბევრი ბინას პროექტის გაცნობის გარეშე ყიდულობს. თუ სამშენებლო კომპანია თავს არიდებს ან უარს გეუბნებათ პროექტის გაცნობაზე, მაშინ უკვე ეჭვის ქვეშ უნდა დააყენოთ მისი საქმიანობა და საიმედოობა. პროექტის გაცნობის დროს კი გასათვალისიწნებელია, რომ ბინის საერთო მოცულობა ან ფართი არ განსაზღვრავს მის ხარისხს. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს, თუ რამდენად კომპაქტურად არის დაგეგმარებული და ათვისებული არსებული მოცულობა, რადგან ბინის ღირებულებას ოპტიმალური დაგეგმარება და მისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა განსაზღვრავს, ამასთან, არის თუ არა ბინა გამჭოლი, რამდენად ნათელია და რამდენად კარგად ნიავდება.

ბინა ფეხსაცმელივით არის, ანუ მისი ფართი მაქსიმალურად მორგებული უნდა იყოს მომხმარებელზე. თუმცა აქვე გასათავლისწინებელია, რომ დიდი ფართი ფანტაზიის უკეთ რეალიზების შესაძლებლობებს იძლევა. სასურველია სამშენებლო ობიექტიც მოინახულოთ, რათა უკეთესად შეაფასოთ ბინიდან გადაშლილი ხედი, საძინებლის თუ მისაღების სამომავლო ადგილმდებარება. შესაბამისად, ბინის ღირებულების შეფასებაც მის ორიენტაციაზეა დამოკიდებული. კერძოდ, ბინისთვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარეობა საუკეთესოა, რადგან ამ შემთხვევაში ბინას მზე ყველაზე კარგად ადგება. სასურველია ბინა იყოს გამჭოლი, ანუ მისი ფანჯრები სახლის ორივე ფასადაზე გამოდიოდეს, რაც განიავების საუკეთესო საშუალებას იძლევა.

მოითხოვეთ ფასადის ხელშეკრულება, რადგან მისი არსებობის შემთხვევაში მეზობლებს ეკრძალებათ ლოჯების მიშენება, შესაბამისად დაცული იქნებით სახლის ფასადის დამახინჯებისგან და მშენებლობის თანმხლები დამახასიათებელი დაბინძურებისგან.

ხელშეკრულების პაკეტში აუცილებლად უნდა არსებობდეს მომსახურების ხელშეკრულკებაც. ვინ იზრუნებს მომავალში საერთო ფართის მოვლა-პატრონობაზე? - ახალაშენებული ბინის შეძენისას სასურველია დაგებადოთ ეს კითხვა, რადგან სახლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სხვადასხვა პრობლემა იჩენს თავს. სახლი უსულო საგანი არ არის, ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც ყოველდღიური პატრონი სჭირდება.

გახსოვდეთ რომ თქვენ არა მხოლოდ სახლს, არამედ გარემოს, სადარბაზოსა და ფასადსაც ყიდულობთ, დასვით უამრავი შეკითხვა, ჩადის თუ არა ლიფტი მიწისქვეშა გარაჟის სართულზე, რა მასალით მოპირკეთდება სადარბაზოს იატაკი, სახლის ფასადი, კიბეები. გაანალიზეთ სხვადასხვა კომპანიის შემოთავაზება და შეადარეთ ალტერნატივები ერთმანეთს.

მიუდექით ბინის შეძენას როგორც ინვესტიციას, გააკეთეთ პროგნოზი - რა ეღირება თქვენს მიერ შერჩეული ბინა 6-7 წლის შემდეგ.

**3. არ დაიზაროთ მშენებლობის ადგილზე მისვლა** - პროექტის მოწონების შემდეგ სასურველია მოინახულოთ ბინის ადგილმდებარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. აქ გასათვალისწინებელია სახლის გარშემო არსებული ინფრასტრუქტურა, კერძოდ, რა მდგომარეობაშია გზები, არის თუ არა ადგილი ხმაურიანი, რამდენად ადვილი მისადგომია ტრანსპორტისთვის, ხომ არ არსებობს ხედის ჩაბნელების ან დამახინჯების საფრთხე.

**4. გაეცანით პირობებს** -ყურადღებით წაიკითხეთ ხელშეკრულების ყველა პუნქტი, დარწმუნდით რომ ბინის ჩაბარების კონდიცია, ვადები, გადახდის პირობები და საჯარიმო სანქციები ცხადადაა განმარტებული. **ჩვენი რჩევაა - ერიდეთ "შავ კარკასს"!** დღეს გაკეთებული ეკონომიით ეფექტს ვერ მიაღწევთ.

"შავ კარკასზე" შეაჩერეთ არჩევანი? მაშინ უნდა შეეგუოთ შექმნილ დისკომფორტს. კორპუსში მოსახლეობის შესახლება 3-5 წელი გაიწელება, რაც თავის მხრივ პრობლემებს შექმნის სადარბაზოში. კერძოდ, სამშენებლო მასალების გადაზიდვების გამო დაზიანდება და სარემონტო ნარჩენებით დაბინძურდება საერთო სარგებლობის ფართი, ხშირად გადაიწვება ლიფტი. ამის გარდა, შესაძლოა თქვენს ზემოთ მაცხოვრებელმა რემონტი დაიწყოს და თქვენთან წყალი ჩამოუშვას.

დააკვირდით იღებს თუ არა კომპანია თავის თავზე გაზისა და დენის მრიცხველების დაყენებას. რადგან თუ ეს ესე არაა, შემდგომ თქვენ თვითონ მოგიწევთ თელასში და თბილგაზში ამ პრობლემის მოგვარება. ამის გარდა უნდა შეეგუოთ იმ ფაქტს, რომ სახლის ჩაბარების შემდეგ გაზი საკმაოდ დიდ ხანს არ გექნებათ და თუ ვინმემ ამ პრობლემის დარეგულირებაზე იზრუნა, ჩათვალეთ, რომ ეს უკანონო იქნება. ადრე თუ გვიან მას აუცილებლად ჩაგიჭრიან და ჯარიმის გადახდაც დაგეკისრებათ. ვიდრე მოსახლეობის შესახლება არ დასრულდება, საერთო ხარჯები რამდენიმე ოჯახზე გადანაწილდება, რაც თავისთავად მომგებიანი არ იქნება და დაზარლდებით.

გახსოვდეთ, რომ ყველა შეთანხმება უნდა იყოს წერილობითი, კონტრაქტში გათვალისწინებული და დამოწმებული ნოტარიუსით, რადგან ნებისმიერი ზეპირი შეთანხმება ბათილია.

**5. დარწმუნდით მშენებლობის კანონიერებაში** - მოითხოვეთ კომპანიის მშენებლობის უფლება და საჯარო რეესტრის ამონაწერი, რადგან დარწმუნდეთ, რომ ტერიტორია რომელზეც სახლი შენდება, ნამდვილად კომპანიის საკუთრებაშია. ამის გარდა, ნოტარიულად დაამოწმეთ ხელშეკრულება, რადგან მის გარეშე იგი ბათილია.

და ბოლოს, თანხის ყოველი გადახდისას მოითხოვეთ ქვითარი, გახსოვდეთ, თუ კომპანია სალარო აპარატით არ სარგებლობს, თანხა ბანკში უნდა შეიტანოთ.

ჩვენი შეხვედრები დასრულდა, იმედია ჩვენი რჩევები დაგეხმარებათ სასურველი ბინის სწორად შერჩევაში.

*გემშვიდობებით, მომავალ შეხვედრამდე!*

*"არსის" აღმსარულებელი დირექტორი* ***თორნიკე აბულაძე***


არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის
კომპანია "არსი" ტელ: 25-19-04
info@arci.ge, www.arci.ge


**კომპანია "არსი" ატარებს უფასო კონსულტაციებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ პირების შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველ შაბათ-კვირას, 11.00-დან 16.00 საათამდე, კომპანია "არსის" ოფისში თ.აბულაძის 21 (ვაკის ეკლესიის უკან)**

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ქართული ფილმი-უძრავი ქონება” აცხადებს კომერციულ კონკურსს უძრავი ქონების გასხვისების მიზნით

კონკურსზე გამოტანილი იქნება:

დიღმის ბაზაზე ახმეტელის ქ.№ 10ა-ლუბლიანას ქუჩასა და სანაპიროს შორის მდებარე მიწის ფართი. 4,7 ჰა, საწყისი გასაყიდი ფასით 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში “ბე” საწყისი გასაყიდი ფასი 10 %.

მყიდველი ვალდებულია:

ჩაენაცვლოს გამყიდველს გასაყიდ ქონებაზე არსებულ საიჯარო ურთიერთობებში.

გაწიოს ხარჯები გამყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე გასაყიდ მიწის ფართზე არსებული შენობა-ნაგებობების (თავლა) ასაშენებლად.

მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და გადაიხდის მაქსიმალურ თანხას.

კონკურსში მონაწილეების მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

-დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც აისახება დოკუმენტში მონაწილის თანხმობა კონკურსის პირობების შესრულებაზე;

-მონაწილის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ.

-გამყიდველის საანგარიშსწორებო ანგარიშზე “ბე”-ს შემოტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი. საბანკო რეკვიზიტები: შპს “ქართული ფილმი-უძრავი ქონება”,ს/ს “საქართველოს ბანკი”, ა/ა 000446208, კოდი 220101502,ს / კოდი 201945262.

-პირადობის დამადასტურებელი ოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

-ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

-იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში ანაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება 2006 წლის 19 ივნისიდან 3 ივლისის ცათვლით, ყოველ სამუშაო დღეს, 10 სთ-დან 15 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 4 ივლისს 15 საათზე.

გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 6 თვის ვადაში დაფაროს საბოლოო ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და შეტანილი “ბე” არ უბრუნდება. შეტანილი “ბე” მყიდველს ეთვლება ნგარიშსწორების დროს, ყველა დანარჩენ მონაწილეს კი კენჭისყრის შედეგების გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში “ბე” უბრუნდება მონაწილის მოთხოვნით,”ბე”-ს ქვითრის წარდგენის შემდეგ.

საკონკურსო კომისიის მისამართია: 380059, ქ.თბილისი, დიღმის მასივი, ახმეტელის 10ა, შპს “ქართული ფილმი-უძრავი ქონება”. ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ტელ:46-30-74.

შპს “ქართული ფილმი-უძრავი ქონება” .

## პროექტი "ილია ჭავჭავაძე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი აცხდებს კონკურსს ვაკანსიაზე



**განათლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების კომპონენტის კოორდინატორი**

(ადგილობრივი ინდივიდუალური კონსულტანტი)

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „ილია ჭავჭავაძე (შემდგომში - პროექტი)". პროექტის საკოორდინაციო ცენტრი დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ზოგადი მართვის პროცესში, კერძოდ, კი პროექტის კოორდინაციაში, ადმინისტრირებაში, ანგარიშგებაში, შესყიდვებსა და ფინანსებში.

ამჟამად დასასრულს უახლოვდება პროექტის პირველი ფაზა და მიმდინარეობს მეორე ფაზის მოსამზადებელი სამუშაო.

პროექტის პირველი ფაზის მიზანია განათლების სისტემის მიზნების ეფექტური გარდაქმნისათვის ინსტიტუციონალური ბაზის ჩამოყალიბებას.

პროექტის მეორე ფაზა ითვალისწინებს განათლების სისტემის გარემოს გაუმჯობესებას და შედგება ორი კომპონენტისაგან: I - პედაგოგიური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; II - ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება.

კომპონენტი II - ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება (შემდგომში - კომპონენტი)

**მოკლე აღწერილობა**

კომპონენტის ძირითადი მიზანია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება. საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით თანამედროვე სასკოლო სტანდარტების შესაბამისად ათამდე ახალი სასკოლო შენობის აგება და მათი სრული აღჭურვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელია ფიზიკური სასწავლო გარემოს გაუმჯობესების კომპონენტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, მის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მუნიციპალური განვითარების ფონდი კი - კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებაზე.

**განათლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესების კომპონენტის კოორდინატორი**

**ძირითადი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები**

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდს, განვითარების საერთაშორისო ასოციაციასა და სხვა დარგობრივ სამინისტროებს შორის კომპონენტის ფარგლებში განსახორცელებელი საქმიანობის კოორდინირება;
- კომპონენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მომზადება ინგლისურ და ქართულ ენებზე;
- კომპონენტის აქტივობებთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების შეგროვება;
- საბაზისო მონაცემების პერიოდული განახლება;
- შედეგების მონიტორინგი;
- კომპონენტის საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის რეგულარული ინფორმირება კომპონენტის საქმიანობის შესახებ;
- კომპონენტთან დაკავშირებულ სხვა პროექტებთან, დეპარტამენტებთან, საგანმანათლებლო რესურს ცენტრებთან და შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- საქმიანი შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება;
- საოფისე და საველე საქმიანობა (მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი);
- ფინანსების დარგში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის უშუალო მითითებებით კომპონენტის მიზნების განსახორციელებლად სხვა საქმიანობის შესრულება.

**სავალდებულო კვალიფიკაცია**

- უმაღლესი განათლების დიპლომი ტექნიკურ სფეროში;
- სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურაში მუშაობის მინიმუმ ხუთი წლის გამოცდილება (სასურველია საინჟინრო/არქიტექტურულ სფეროში);
- ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაბელურობა;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

**ანგარიშვალდებულება:**

კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება ფინანსურ დარგში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

ხელშეკრულების ვადა იქნება ერთი წელიწადი. აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**

0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.

ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F

ელ-ფოსტა: GEP@mes.gov.ge

საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:

**www.reform.edu.ge**

ვაკანსიები და განცხადებები

განაცხადის ფორმა

**განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 30 ივნისი.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, ანგარიშის N000134601, კოდი 220501102) აცხადებს **ღია ტენდერს აჭარის ა.რ. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ასფალტ-ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, კერძოდ:**

**Lლოტი N1: ხელვაჩაურის რაიონის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის "სარფი-ზედა სარფი" კმ.0+000-კმ. 0+750 საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოებზე.**

**ლოტი N2: ხელვაჩაურის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის "ბარცხანა-ყოროლისთავი" კმ 0+000-კმ 5+800 მონაკვეთების საგზაო საფარის მოწყობის სამუშაოებზე.**

**ლოტი N3: ხელვაჩაურის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის "ხელვაჩაური-ზანაქიძეები" კმ 0+480-კმ 0+914 მონაკვეთების საგზაო საფარის მოწყობის სამუშაოებზე.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 31 აგვისტომდე პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 ივლისიდან 2006 წლის 13 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ ბათუმი რუსთაველის ქ. N6.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით):

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებომის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა :

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის, ფაქსის, საბანკო რეკვიზიტები):

ბ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი):

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

დ) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე. (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით):

ე) ინფორმაცია ანალოგიური სახის სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ):

ვ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

ზ) ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

თ) ცნობა სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოს შესახებ.

5. ა) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

ბ) მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებელის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო დოკმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2006 წლის 19 ივნისიდან 2006 წლის 12 ივნისის 17 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (დეპარტამენტის სპეც. ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი:

ანგარიში N 000142101, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ,შეეძლებათ მისამართზე; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, პირველი სართული ოთახი N16.

9. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებას კომისია არ განიხილავს.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი: კობა ხინიკაძე ტ. 7-20-87; ქ.ბათუმი,

რუსთაველის ქ. N6.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, ანგარიშის N000134601, კოდი 220501102) აცხადებს **ღია ტენდერს აჭარის ა.რ. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, კერძოდ:**

**Lლოტი N1: ქობულეთის რაიონში განფენილი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები.**

**ლოტი N2: ხელვაჩაურის რაიონში განფენილი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები.**

**ლოტი N3: ქედის რაიონში განფენილი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები.**

**ლოტი N4: შუახევის რაიონში განფენილი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები.**

**ლოტი N5: ხულოს რაიონში განფენილი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 31 დეკემბრის პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, ორეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 ივლისიდან 2006 წლის 12 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ ბათუმი რუსთაველის ქ. N6.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით):

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებომის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა :

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის, ფაქსის, საბანკო რეკვიზიტები):

ბ) ცნობა იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი):

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

დ) ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე. (შესაბამისი ჩამონათვალი სამუშაოების მიხედვით):

ე) ინფორმაცია ანალოგიური სახის სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ, (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ):

ვ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

ზ) ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

თ) ცნობა სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი სამუშაოს შესახებ.

5. ა) ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

ბ) მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

6. ქართულ ენაზე შედგენილ განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად უნდა ახლდეს განმცხადებელის მიერ ხელმოწერილი წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო დოკმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 2006 წლის 19 ივნისიდან 2006 წლის 11 ივნისის 17 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (დეპარტამენტის სპეც. ანგარიშზე საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი:

ანგარიში N 000142101, ბანკის კოდი 220501102, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ,შეეძლებათ მისამართზე; ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N6, პირველი სართული ოთახი N16.

9. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებას კომისია არ განიხილავს.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის წევრი: კობა ხინიკაძე ტ. 7-20-87; ქ.ბათუმი,

რუსთაველის ქ. N6.

**სატენდერო კომისია**

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი — ტყიბულის რაიონში, ტყიბული შაორის ქვანახშირის საბადოს დასავლეთი უბნის მიმდებარედ ქვანახშირის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 028 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 006 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვანახშირის ჯამური მოცულობა | 7 500 ტონა |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| **სალიცენზიო მოსაკრებელი I ობიექტისათვის შეადგენს 1 300 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

**II ობიექტი — გარდაბნის რაიონში, სოფ. სოღანლუღის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 007 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**III ობიექტი — ქარელის რაიონში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 017 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 403 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოს აპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 90 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**IV ობიექტი — მცხეთის რაიონში, გლდანის-ხევის (მამკოდა-1 და მამკოდა-2) და ცხვარიჭამიას (თეზამის) უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 007 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**V ობიექტი —ახმეტის რაიონში, ქვაჩადალის ლავაბრექჩიების ლოდნარის ზედაპირული მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 31 297 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>6 259 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ლავაბრექჩიების ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**VI ობიექტი — სოფ. მამკოდას მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. გლდანულას ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 321 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 664 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 70 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 7 წელი |

**VII ობიექტი — მცხეთის რაიონში, სოფ. ძეგვის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 019 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 004 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VIII ობიექტი — მცხეთის რაიონში, სოფ. ძეგვის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ჭალის ტერასაზე არმაზის ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 023 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>805 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**IX ობიექტი —წალენჯიხის რაიონში მდ. ოჩხამურის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 011 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>602 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**X ობიექტი — ასპინძის რაიონში, სოფ. ხიზაბავრას მიმდებარე ტერიტორიაზე ბაზალტის ბლოკების მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 087 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 217 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ბლოკების ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**XI ობიექტი — ხონის რაიონში, სოფ. მათხოჯის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარეების ოკაცესა და ცხენისწყლის შესართავთან კირქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 27 312 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>5 462 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 48 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |

**XII ობიექტი — ხობის რაიონში, სოფ. გურიფულში მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 405 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>281 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 14 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XIII ობიექტი —მარნეულის რაიონის სოფ. პირველი ქესალოს მიმდებარე ტერიტორიებზე მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 11 695 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 339 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 150 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XIV ობიექტი — მცხეთის რაიონში სოფ. ქსნის ტერიტორიაზე ციხისძირის საბადოს სამხრეთ ნაწილის მეორე უბანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 11 826 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 365 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 88 200 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XV ობიექტი — ყვარლის რაიონში მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 402 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>80 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 3 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XVI ობიექტი — ჭიათურის რაიონში, სოფ. მღვიმევის მიმდებარე ტერიტორიაზე კვარცის ქვიშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 704 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 341 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კვარცის ქვიშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XVII ობიექტი — ქ. რუსთავში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ტაზაკენდის ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 517 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>903 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 45 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XVIII ობიექტი — ადიგენის რაიონში მდ. ფოცხოვის მარჯვენა და მარცხენა ჭალის ტერასაზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 509 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>502 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 25 000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XIX ობიექტი — ადიგენის რაიონში, მდ. ქობლიანის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 847 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 169 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 75 000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**XX ობიექტი — წყალტუბოს რაიონში, სოფ. ოფურჩხეთისა და სოფ. ჟონეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ტეშენიტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 12 519 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 504 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ტეშენიტის ჯამური მოცულობა | 20 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XXI ობიექტი — ხობის რაიონში, სოფ. პირველი მაისის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მუნჩიას მარჯვენა ნაპირზე კირქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 087 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1217 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო მოსაკრებელი II ობიექტიდან XXIV ობიექტის ჩათვლით შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

**წ ყ ა ლ ი**

**XXII ობიექტი — ტყიბულის რაიონში, სოფ. ლელევას ტერიტორიაზე მდ. წყალწითელას ხეობაში „ლელევას“ მინერალური წყლის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 31 028 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>6 206 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი მინერალური წყლის ჯამური მოცულობა | 40 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| სალიცენზიო მოსაკრებელი<br>XX ობიექტისათვის შეადგენს 600 ლარს | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 19 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 18 ივლისს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე“-ს** შემოტანის ქვითარი | **„ბე“-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13) აცხადებს ტენდერს **ბათუმის ზღვისპირა პარკისათვის ავტოსატრანსპორტო (ძირითადი) საშუალებების შეძენა - შესყიდვაზე:**

| N | შესყიდვის ობიექტი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ნაგვის მანქანა | 2 ც |
| 2 | სატვირთო მინი ავტომანქანა | 1 ც. |
| 3 | სატვირთო ავტომანქანა | 1 ც |
| 4 | საცელავი მანქანა (ბენზინზე) | 5 ც. |
| 6 | ფეხით სავალი ბილიკების სარეცხი მანქანა | 1 ც. |

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ტენდერის შედეგად გამოვლინებული მხოლოდ ერთი გამარჯვებული ვალდებული იქნება მოაწოდოს საქონელი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის მე-5 დღიდან 2006 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დახურული კონვერტებით, უნდა **წარმოადგინონ 2006 წლის 19 ივნისიდან 2006 წლის 28 ივნისის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, სსიპ "ზღვისპირა პარკის" ოფისი. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის **10** ივლისს **18** საათზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენდენტის დასახელებას (სახელსა და გვარს), მის იურიდიულ მისამართსა და ფაქტიურ ადგილმდებარეობას (ადგილსამყოფელს), საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართებს, ტელეფონებისა და ფაქსის ნომრებს, საბანკო რეკვიზიტებს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელსა და გვარს;

ბ) შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ცნობას ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;

გ) ინფორმაციას ამ განცხადებაში მითითებულის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, კონკრეტული მაგალითების და მოცულობების მითითებით. სასურველია, სათანადო სარეკომენდაციო წერილების წარმოდგენა;

დ) ცნობას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრებაში არსებობის ან იჯარაში აღების შესახებ და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, დადასტურებულს დამოუკიდებელი აუდიტური ფირმის მიერ;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობას იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირები (ფიზიკური პირის შემთხვევაში - თვით ეს პირი) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და ამჟამად მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

***იურიდიული პირის შემთხვევაში:***

ვ) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან ცნობას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

თ) რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციიდან ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ი) მის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საჯარო რეესტრის ადგილობრივი სააგენტოს ცნობას ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

კ) მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების პირადობის მოწმობის ასლს;

***ფიზიკური პირის შემთხვევაში:***

ლ) პირადობის მოწმობის ასლს;

მ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობას მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

ნ) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

არარეზიდენტმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსა და საქართველოში დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ამ პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებსაც, თუ პრეტენდენტი მათთან ერთად ადგენს სატენდერო წინადადებას.

5. სატენდერო დოკუმენტაცია, ქართულ ენაზე, მსურველებს შეუძლიათ **2006 წლის 5 ივლისამდე, დილის 10 საათიდან 17 საათამდე**, მიიღონ სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში. დოკუმენტაცია გაიცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშზე N000142101, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, კოდი 220501102, 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალის წარმოდგენისთანავე. ჩარიცხვის დოკუმენტში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, **ბათუმის ზღვისპირა პარკისათვის ავტოსატრანსპორტო (ძირითადი) საშუალებების შეძენა - შესყიდვაზე**.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელო დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა იქნეს წარმოდგენილი 2006 წლის 5 ივლისიდან 2006 წლის 10 ივლისის 17 საათამდე.

7. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქალბატონ თამარ თავართქილაძესთან, სსიპ - "ზღვისპირა პარკის" ოფისში ან საქალაქო ტელეფონით (995222) 74721 ან მობილური ტელეფონით 8(77) 467777.

**სატენდერო კომისია**



# აფიშა

## 19 ივნისი

### კინო

**„ამირანი“**
„ტყის საძმო“
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00
„ქაოსი“
დასაწყისი: 20.00; 22.00

**„რუსთაველი“**
„X ადამიანი: გადამწყვეტი ბრძოლა“
დასაწყისი: 13:00; 15:15; 17:30; 19:45; 22:00

### გალერეა

**„კოპალა“**
გამოფენა „ჩემს სიზმრებში“
პარიზელი მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის სკულპტურა

**TMS**
ქართველ ქალთა ნაქარგობის გამოფენა

**სამხატვრო აკადემიის გალერეა**
ფერწერა
საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა

### „თბილისი“ ბაქოში

ბაქოს წლევანდელ ჯაზ-ფესტივალში ქართული ჯაზ-კოლექტივი ტრიო „თბილისი“ მიიღებს მონაწილეობას.

ქართული კოლექტივის გარდა, ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ისრაელის, იტალიის, აშშ-ს, კანადის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, რუსეთის, პორტუგალიის და თავად მასპინძელი ქვეყნის - აზერბაიჯანის ჯაზ-კოლექტივები. ბაქოს ჯაზ-ფესტივალი 19-27 ივლისს გაიმართება.

*ინტერპრესნიუსი*

### ლიტერატურის მუზეუმის რეკონსტრუქცია იწყება

ლიტერატურის მუზეუმის შენობის სარეკონსტრუქციოდ მზადება დაიწყო. სამუშაოები წელიწადნახევრის განმავლობაში გაგრძელდება. როგორც მუზეუმის დირექტორის მოადგილემ თეა თვალაშვილმა განაცხადა, ჩატარდება მხოლოდ ფასადის რეკონსტრუქცია და კოსმეტიკური რემონტი, რადგან შენობა უნიკალურ კულტურულ ძეგლს წარმოადგენს და მისი სახეცვლილება დაუშვებელია.

„შენობა ყოფილი სასახლეა, რომელიც ალექსანდრე ბამატისკის ეკუთვნოდა. ამის გამო ნაგებობის სახეცვლილება არ მოხდება. მხოლოდ ფასადის რეკონსტრუქცია ჩატარდება და შენობა თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება“. მისივე თქმით, რემონტის პირობებში მუზეუმი მუშაობას არ შეწყვეტს, შენობიდან არც ექსპონატების გატანის საჭიროება გახდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*







# ავიაკომპანია "არკია ისრაელის ავიახაზები"

აგრძელებს რეგულარულ რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს

## თბილისი - თელ-ავივი

**თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40**
**თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25**
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე. გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

**ბილეთის ფასია:**
**275 აშშ დოლარი (ერთი გზა)**
**349 აშშდოლარი (ორი გზა)**
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.

ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.

აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.

ქ. თბილისი. კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99
e-mail: mail@arkia.ge

**მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი**


# იშვიათი სიყვარული



*სცენა სპექტაკლიდან.*

მზევინარ ხუციშვილი

არ ვიცი ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის 16 ივნისი ცოტა უჩვეულო და განსხვავებული დღე აღმოჩნდა. განსხვავებული და ამავე დროს ემოციებით დატვირთული. ვფიქრობ, ეს დღე ზუსტად ასეთივე იყო იმ მრავალრიცხოვანი საზოგადოებისთვის, ვინც „ათონელის თეატრში“ იმყოფებოდა და ისინი კი, ვინც ეს წარმოდგენა გამოტოვა, იმ სიყვარულის თანაზიარი ვერ გახდა, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის მცირე დარბაზი მეტ მსურველს ვერც დაიტევდა, რადგან საზოგადოება ისედაც კულისებიდან ადევნებდა თვალს სპექტაკლის მსვლელობას.

„თეატრმა ათონელზე“ სარეაბილიტაციო და სოციალური ცენტრის „აისის“ აღსაზრდელების მიერ ერთმოქმედებიან წარმოდგენას, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწულს“ უმასპინძლა, რომლის რეჟისორია ლაშა როსტობაია; მუსიკალური გაფორმება სოფო ბარამიძეს ეკუთვნოდა, მხატვრული გაფორმება კი ლაშა როსტობაიას და თამუნა გრძელიძეს. სპექტაკლის მომზადებაში მონაწილეობდნენ: ოკუპაციური თერაპევტები მაიკო წულაძე და თამარ ლორია, ფსიქოლოგი ნინუ კიკნაველიძე, სპეციალური პედაგოგები: ეკა ჯანგველაძე, სოფო გოცირიძე, მაკა ბარბაქაძე, ნათია ნიური და ფისო გაგნიძე. პატარა უფლისწულის როლს გიგო შიუკაშვილი ასრულებდა და ამასთან სპექტაკლში ცენტრის 40-მდე აღსაზრდელი თამაშობდა. ბავშვებთან ერთად წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: სოხუმის თეატრის მსახიობი (ავიატორი) ნიკა წერედიანი და თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის დიპლომატი მაკა ჩხაიძე (მელა).

ბავშვების გარდა, რომლებიც აბსოლუტურად გულწრფელად, დიდი სიყვარულით და მონდომებით თამაშობდნენ, რაც ნაკლებ წარმოდგენას ქმნიდა, რომ მათ გონებრივი პრობლემები ჰქონდათ, ყველაზე დიდი ემოცია სწორედ ნიკა წერედიანმა გამოიწვია. მას ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ქართული სერიალებიდან და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმებიდან. თუმცა, ვფიქრობ, მსახიობის ეს ყველაზე დიდი და დადებითი როლი იყო. ნიკა 4 თვის განმავლობაში მუშაობდა ბავშვებთან ერთად და მათი სამყაროს თანაზიარი გახდა. იმ სამყაროსი, რომელსაც ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ და მხოლოდ შორიდან გვაქვს წარმოდგენა, რომელიც ჩვენში ხშირად სიბრალულის გრძნობასაც იწვევს. ეს სწორედ იმას მიანიშნებს, რომ იგი არა მარტო კარგი მსახიობია, არამედ კარგი ადამიანიც, რომელმაც ოთხი თვე ამ ბავშვებს აჩუქა და მათი სიხარული გაიზიარა.

**- ნიკა როგორი იყო ბავშვებთან მუშაობა?**

- იოლი არ იყო, მაგრამ არც ისეთი დაუძლეველი. ფანტასტიური პედაგოგები მუშაობენ თვითონ ცენტრში, მე ვისთანაც მქონდა ურთიერთობა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ არ ხდება ამ ბავშვებით სპეკულირება მათი მდგომარეობის ხარჯზე. ყველა ისე უდგებოდა თავის საქმეს, როგორც ჩვეულებრივ დასში. ეს არის პატარა საბავშვო თეატრი. არა აქვს მნიშვნელობა, როგორები არიან ეს ბავშვები; მთავარია, რომ ერთმანეთის გვესმის. პარტნიორის აღქმის უნარი აქვთ და მათ მიმართებაში აბსოლუტურად სწორად არის გეზი აღებული, რომ არ იგრძნონ მარტო თავი.

**- პირველად რომ შემოგთავაზეს, რა გრძნობა დაგეუფლა?**

- რომ შემომთავაზეს, არ ვიტყვი იმას, რომ დიდი სიხარულით მივიღე, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. რომ დავფიქრდი, დღევანდელი გადასახედიდან აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

**- ეს როლი შენთვის განსხვავებული იყო...**

- არა მარტო განსხვავებული. ვფიქრობ, ყველაზე დადებითიც, რადგან მე არაფრით განვსხვავდებოდი სცენაზე ამ ბავშვებისგან.

**- თავს რატომ იკავებდი შემოთავაზებისგან?**

- აქ უბრალოდ ადამიანური, ფსიქოლოგიური მომენტია. უბრალოდ ვფიქრობდი, რომ არ ვიყავი მზად მათთან ურთიერთობისთვის. ისევე, როგორც ყველა, მეც შორიდან ვიცნობდი ამ ადამიანებს. ამასთან ემოციურიც ვარ და ვფიქრობდი, ცოტა დამთგრუნველი იქნებოდა ჩემთვის. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ბედნიერი ვარ, რომ ასე ვთქვათ, პატარა კენჭი დავდე, რაღაც გავაკეთე ამ ბავშვებისთვის.

როგორც ოკუპაციური თერაპიის წარმომადგენელმა მაიკო წულაძემ აღნიშნა: „ცენტრი, რომელიც შექმნილია უნარშეზღუდული ბავშვების მშობლების კავშირით და მათი პრეზიდენტი ერთ-ერთი მშობელი გივი ჩიქობავაა, ორი წლის წინ დაარსდა. გარკვეული ცვლილება ცენტრში ერთი წლის წინ მოხდა, როდესაც პერსონალი შეიცვალა და დაიწერა ახალი პროექტი, რომელიც მიმართული იყო ამ ბავშვების სოციალურ ინტეგრაციაზე. ეს არ არის ბავშვებისთვის აკადემიური განათლების მიღებისთვის გათვლილი, ეს არის რეალურად სოციალური ადაპტაციის ცენტრი. ეს დრამის წრე კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად იყო წარმოდგენილი პროექტში. მთავარი ის არის, რომ სპექტაკლის დადგმით ბავშვების შესაძლებლობები და პოტენციალი მაქსიმალურად გამოვლინდეს. ჩვენი მიზანია გამოვიყვანოთ ეს ბავშვები ფართო საზოგადოებაში და ყველამ ნახოს, რომ მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. თვითონ ბავშვები, როდესაც ადამიანებისგან დადებით მუხტს იღებენ, უფრო თვითდაჯერებულები ხდებიან. ამასთან გვაქვს სახელოსნო სტამბის სახით, სამომავლოდ ამ ბავშვების დასაქმებისთვის. გვინდა, რომ მათ რაღაც აკეთონ და არ დასხდნენ შინ, როგორც ძალიან ბევრი ასეთი ბავშვი. გვინდა ცოტა ცხოვრება გავუხალისოთ. გვყავს ფიზიკურად შეზღუდული ბავშვებიც, მაგრამ ძირითადად გონებაზეა აქცენტი გამახვილებული. ცენტრში ბავშვები დილის 10 საათიდან 7 საათამდე არიან“.

**- ცოტა რთულია ასეთ ბავშვებში ნდობის მოპოვება...**

- იცით რა არის, თუ შენ თვითონ გაიხსნები მათთან ურთიერთობაში, ასეთი უპრობლემო ბავშვები არ არსებობენ. პირადად მე, საკუთარი გამოცდილებიდან, მათი ასაკის ნორმალურ ბავშვებთან უფრო მიჭირს ურთიერთობა. ესენი აბსოლუტურად ღიები არიან, უშუალოები. ჩვენთან ხშირად მოდიან სტუმრები ცენტრში და არავითარი პრობლემა არა აქვთ მათთან ურთიერთობაში. თავიდან მეც მეშინოდა, სულ ვფიქრობდი რას, როგორ გავაკეთებდი, მაგრამ ვიგრძენი, რომ მათთან მუშაობის პროცეში ყოველგვარი შიში ქრება. დაკვირვება უფრო რთულია, მუშაობის პროცესი შედარებით ადვილი.

სპექტაკლის დაწყებამდე თეატრის ფოიეში ბავშვების მიერ გაკეთებული ბუკლეტების, სახატავი ალბომების, ბლოკნოტების, სანიშნეების გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა, რაც თემატურად იყო დაკავშირებული სპექტაკლთან.

**P.S.** სპექტაკლის დასრულების შემდეგ საზოგადოება დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში უკრავდა ტაშს, რამაც ემოცია ბავშვებში კიდევ უფრო გააღვიძა. და კიდევ, თუ ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, ვიტყვი, რომ როდესაც სცენაზე სამუშაოდ ავედი, ერთ-ერთი მათგანი, სალომე უბილავა, რომელიც ვარდის როლს ასრულებდა, მოვიდა, ჩამეხუტა და მაკოცა. მაშინ პირველად ვინანე, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, რომელმაც ძალიან ცოტა ვიცოდი ამ პატარა ადამიანების დიდი სიყვარულის შესახებ.


# "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

# გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge







# სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### ჯორჯ სოროსი საავტომობილო ბიზნესში 200 მილიონ დოლარს დებს

ცნობილი ამერიკელი მილიარდელი ჯორჯ სოროსი 200 მილიონ დოლარს ჩინურ მარკა Chery-ს წარმოებაში დააბანდებს. ამის შესახებ Autoweek-ს ჩინური კომპანიის წარმომადგენლებმა შეატყობინეს. აღნიშნული მარკა სამომავლოდ ავტომობილებს სპეციალურად ჩრდილო ამერიკის ბაზრისთვის გამოუშვებს, შემდეგ კი მთლიანად ამერიკულ ბაზარზე იფიქრებს. გავრცელებული ინფორმაციით, სოროსს ჩინელებთან მოლაპარაკებებში პარტნიორობას ასევე ცნობილი ბიზნესმენი მალკოლმ ბრიკლინი გაუწევს. მან ამერიკულ ბაზარზე გასვლის სურვილი ჯერ კიდევ 2004 წელს გამოთქვა. ამ მომენტისთვის ბრიკლინი თავისი საქმეებით არის დაკავებული და ჯორჯ სოროსთან სამომავლო პარტნიორობის შესახებ ოფიციალური კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, სოროსის პარტნიორებს შორის კანადელ ბიზნესმენს მორის სტრონგსაც ასახელებენ. წლების მანძილზე ის ცრდილოეთ კორეაში OON-ის გენერალური მრჩევლის პოსტზე მოღვაწეობდა. ეს თანამდებობა სტრონგმა მას შემდეგ დატოვა, რაც ჩათრეულ იქნა გახმაურებულ სკანდალში - "ნავთობი წარმოების სანაცვლოდ". 2005 წლის 18 აპრილს მან აღიარა, რომ სამხრეთკორეელ ლობისტ ტონგსუნ პარკომთან გარკვეული ურთიერთობები აკავშირებდა.

აღნიშნული ფაქტორები სოროსის ახალ გატაცებაზე დიდად არ იმოქმედებს, აქ გადამწყვეტი სიტყვა ჩინეთის ხელისუფლებას ეკუთვნის. სპეციალისტების აზრით, სოროსი არც აქ წააწყდება პრობლემებს. მათი განცხადებით, ადგილობრივი ძალები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ჩინური ავრომობილების საექსპორტო ბაზარზე გატანით.

შეგახსენებთ, რომ მარკა Chery ჩინეთში ერთ-ერთი სერიოზული ავტომწარმოებელია. გასულ წელს კომპანიამ 189 ათასი ავტომობილი გაყიდა. ამ ეტაპზე, კომპანია Chery ირანის ბაზარზე დამკვიდრებას აპირებს. ცოტა ხნის წინ კი ჩინური საავტომობილო კომპანიის ხელმძღვანელებმა რუსული მხარისგანაც მიიღეს თანხმობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში ჩინეთი თავისი ავტომობილების წარმოებას რუსეთის ტერიტორიაზე დაიწყებს.

### აპრილ-მაისში 51873.4 ტონა ბენზინის იმპორტი განხორციელდა

2006 წლის აპრილ-მაისში საქართველოში 51873.4 ტონა ბენზინია იმპორტირებული. აქედან აპრილში შემოსულია 25 187,9 ტონა საწვავი, მაისში კი - 26 685,5 ტონა ბენზინი. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, დიზელის იმპორტის ოდენობა აპრილში 26 400,0 ტონას უდრის, მაისში - 34 740,1 ტონას. ამავე პერიოდშია შემოსული 1 392,0 ტონა ნავთი (აპრილი). ხოლო მაისში საქართველოში ნავთის იმპორტმა 4 420,3 ტონა შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3190 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9815 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4835 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7760 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8286 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1495 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3016 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3086 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2480 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4370 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3415 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1194 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1548 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2920 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1940 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2368 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,4012 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5971 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1828 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4941 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3323 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2862 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5573 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5967 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1185 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4219 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5465 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4524 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5506 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8257 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1432 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1482 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4390 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2426 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4453 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0795 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2221 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2288 |




# როგორ ვხვდებით ინვესტორს

## ენერგეტიკული ბაზრის მიმოხილვა

დიანა ჩაჩუა

*მაქსიმუმ ორი დღე დარჩა იმ მომენტამდე, როცა ეკონომიკური განვითარების მინისტრი საზეიმოდ გაუღებს კარს ახალ ინვესტორებს და ქვეყნის ენერგოობიექტების საკმაოდ სერიოზული ნაწილი კერძო მფლობელების ხელში გადავა. სანამ "24 საათი" პოტენციური ინვესტორების ვინაობის და საქმიანობის დადგენითაა დაკავებული, გთავაზობთ საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის მოკლე მიმოხილვას.*

### ელექტროსადგურების დადგმული და დღევანდელი სიმძლავრეები

2006 მაისის მდგომარეობით საქართველოში შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები ფუნქციონირებს:

დღელამური რეგულირების წყალსაცავები: ენგურჰესი - დადგმული სიმძლავრე 1300 მვტ, დამონტაჟებულია 5 აგრეგატი თითოეული 260 მვტ. დღეისათვის N3 აგრეგატი რეაბილიტირებულია, ხოლო N2 აგრეგატზე დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც 2007 წლის აპრილში დასრულდება.

ვარდნილჰესი - დადგმული სიმძლავრე 220 მვტ, დამონტაჟებულია 3 აგრეგატი თითოეული 75 მვტ. დღეისათვის N2 აგრეგატის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ხოლო N1 აგრეგატზე რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ბოლოს დაიწყება და იგი 2007 წლის ნოემბერში დამთავრდება.

შაორჰესი - დადგმული სიმძლავრე 38 მვტ, დამონტაჟებულია 4 აგრეგატი თითოეული 9,5 მვტ. დღეისათვის მიმდინარეობს N2 და N3 აგრეგატების რეაბილიტაცია, რომელიც 2006 წლის ოქტომბერში დამთავრდება.

ძევრულჰესი - დადგმული სიმძლავრე 80 მვტ, დამონტაჟებულია 4 აგრეგატი თითოეული 20 მვტ. 2004-2005 წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ძევრულჰესში ოთხივე აგრეგატი მუშა მდგომარეობაშია. ამჟამად მიმდინარეობს ჰიდროაგრეგატების გაციებისა და შეზეთვის სისტემების რეაბილიტაცია.

ჟინვალჰესი - დადგმული სიმძლავრე 120 მვტ, დამონტაჟებულია 4 აგრეგატი თითოეული 30 მვტ. დღეისათვის, გამყვანი გვირაბის დაზიანების გამო ელექტროსადგურის სიმძლავრე შეზღუდულია 80 მვტ-მდე. ამჟამად გამოცხადებულია ტენდერი გამყვანი გვირაბის დაზიანებული უბნების აღსადგენად.

ხრამჰესი-1 - დადგმული სიმძლავრე 105 მვტ, დამონტაჟებულია 3 აგრეგატი თითოეული 35 მვტ. დღეისათვის სამივე აგრეგატი მუშა მდგომარეობაშია.

ხრამჰესი-2 - დადგმული სიმძლავრე 110 მვტ, დამონტაჟებულია 2 აგრეგატი, თითოეული - 55 მვტ. დღეისათვის მიმდინარეობს N2 აგრეგატის რეაბილიტაცია, რომლის დამთავრება 2006 წლის ივლისშია დაგეგმილი, ხოლო N1 აგრეგატზე რეაბილიტაცია დამთავრდა და ამჟამად გაწყობითი სამუშაოები მიმდინარეობს.

სეზონური რეგულირების წყალსაცავებით:

ვარციხეჰესების კასკადი - დადგმული სიმძლავრე 184 მვტ, კასკადში შედის 4 ელექტროსადგური 2 აგრეგატით, თითოეული - 23 მვტ სიმძლავრით. დღეისათვის 7 აგრეგატი მუშა მდგომარეობაშია.

გაგრძელება B4 გვერდზე



B4

# მთავრობა ახალ დონორებს ეძებს

## ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალზე აშშ უარს აცხადებს

მარიამ ჭაჭვაძე

*ამერიკელ კონგრესმენთა ერთი ნაწილი ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაში შეერთებული შტატების მონაწილეობაზე უარს აცხადებს. კონგრესის მიერ ამ ორი დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება ამერიკულ კომპანიებს ხსენებული მაგისტრალის ნებისმიერი სახით დაფინანსებას ცალსახად უკრძალავს.*

**ირაკლი ჩოგოვაძე ამბობს, რომ შეერთებული შტატების უარი აღნიშნული პროექტის განხორციელებას ხელს ვერ შეუშლის - "თუ ამერიკამ პროექტის დაფინანსებაზე უარი თქვა, ეს პრობლემა არ არის. არსებობს სხვა ქვეყნები და საფინანსო ინსტიტუტები, რომლებმაც შეიძლება პროექტში მონაწილეობა მიიღონ," - აცხადებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.**

B2

# "ღარიბების ნატო"

## და მიმავალი მილიარდერი

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

*ოდესღაც ბრიტანელმა გეოგრაფმა სერ ჰელფორდ მაკინდერმა ევრაზიას მსოფლიო კუნძული უწოდა. ამ მსოფლიო კუნძულზე მან "ჰართლენდი" (heartland - შუაგული მიწა) გამოყო, რომელსაც მსოფლიო ჰეგემონიისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი მიანიჭა: "ის ვინც აკონტროლებს ჰართლენდს, აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ხოლო ვინც მსოფლიო კუნძულს აკონტროლებს, ის აკონტროლებს მთელ მსოფლიოს." მაკინდერისეული ჰართლენდი ძირითადად აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთის დასავლეთ ნაწილს მოიცავს.*

- **ჰართლენდი და შანხაიური თამაშები**
- **გეიტსი მიდის, ვის გაუმარჯოს?**



B3

## საბანკო სისტემაში ახალი წესები ამოქმედდა

ამიერიდან საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, ფინანსური ანგარიშგებები ყოველკვარტალურად გამოაქვეყნონ. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, ამ ნორმას ითვალისწინებს "კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი", რომელიც ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა. ახალი წესები ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით შემუშავდა. ახალი წესის მიღებამდე, "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, კომერციული ბანკები წელიწადში ერთხელ აქვეყნებდნენ გარეაუდიტორულ დასკვნას და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ბანკების ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად მიიჩნია, კომერციულ ბანკებს წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ბეჭდვით ორგანოში განთავსების პარალელურად მოეხდინათ ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებაც. "კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი" განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის. აღნიშნული წესის თანახმად, ბანკის ფინანსური ანგარიშგებები ექვემდებარება როგორც ბეჭდვით ორგანოში, ასევე ბანკის საკუთარ ვებ-გვერდსა (თუ ბანკს აქვს) და ეროვნული ბანკის ვებ-გვერდებზე განთავსებას.

"კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის" ამოქმედება და მის საფუძველზე მიღწეული კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებების საჯაროობა ხელს შეუწყობს თითოეული ბანკის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას, რაც მათ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. **ინტერპრესნიუსი**

## 50-პროცენტიანი ფასდაკლება სწრაფ მატარებელზე

"საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას გადაწყვეტილებით, 20 ივნისიდან კვირაში ერთ დღეს, ოთხშაბათს, მგზავრებს ყველა მაგისტრალური სწრაფი მატარებელი ნებისმიერი მიმართულებით 50-პროცენტიანი ფასდაკლებით მოემსახურება. რაც შეეხება ზოგიერთ მიმართულებაზე მატარებლის მოძრაობის სიხშირეების შემცირებას, ეს ფაქტი ეზუგბაიამ მატარებლების გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებით ახსნა. მისივე თქმით, ინტენსიურად განხორციელდება ვაგონების რემონტი, რაზეც დაახლოებით 100 მილიონი ლარი დაიხარჯება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთიდან ნავთობის ექსპორტი შემცირდა

2006 წლის იანვარ-მაისში რუსეთიდან ნავთობის ექსპორტი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 0,3 პროცენტით შემცირდა და 81,2 მლნ ტონა შეადგინა. რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის ინფორმაციით, 2006 წლის იანვარ-მაისში ნავთობის ექსპორტმა შეადგინა 19,9 მლნ ტონა. ეს მაჩვენებელი 4,3 პროცენტით დაბალია 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საფონდო ბირჟაზე 2715 46 აქცია გასხვისდა

გასულ კვირას საქართველოს საფონდო ბირჟაზე 12 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციაზე 84 გარიგება დაიდო. გასხვისდა 271546 აქცია, რომელთაგან ყველაზე მსხვილი წილი სააქციო საზოგადოება "თბილაბრეშუმი-ცისარტყელას" აქციებზე მოდის. გასხვისდა "თბილაბრეშუმი-ცისარტყელას" 54261 აქცია, თითო - 0,12 ლარში, ანუ ყიდვა-გაყიდვა 2,8 პროცენტზე ჩატარდა. სხვა სააქციო საზოგადოებაში არსებით გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია. ბანკის ჯამურმა ბრუნვამ კვირის განმავლობაში 311008,54 ლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბირჟაზე სატელეკომუნიკაციო კომპანიის აქციის ფასი დაეცა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე კლების ტენდენცია აღინიშნა სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის"აქციაზე. ერთი აქციის მიმდინარე ფასმა 0,64 ლარიდან 0,50-0,55 ლარამდე დაიწია. როგორც ბირჟის ანალიტიკოსები აცხადებენ, საფონდო ბირჟის ბოლო სავაჭრო სესიაზე ფასების მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის სხვაობა საკმაოდ მცირე იყო. მომავალი კვირიდან დაგეგმილია "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციაზე ე.წ. ფასის დერეფნის შემოღება, რაც შესაძლებელს გახდის აქციაზე რეალობასთან მიახლოებული ღირებულების განსაზღვრას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბქბ-ს აქციების ფასმა მოიმატა

საქართველოს საფონდო ბირჟის 12-19 ივნისს სავაჭრო გარიგებებში 3 კომერციული ბანკი - "სახალხო ბანკი", "საქართველოს ბანკი" და "გაერთიანებული ქართული ბანკი" მონაწილეობდა. ვაჭრობების მიმდინარეობისას "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციის ფასის მატება დაფიქსირდა - ის 2,5 ლარს გაუტოლდა. უცვლელია "სახალხო ბანკისა" და "საქართველოს ბანკის" აქციები. "სახალხო ბანკის" ერთი აქციის 0.9-1 ლარის ფარგლებში, ხოლო "საქართველოს ბანკის" 12,83-12,87 ლარის ფარგლებშია. ბირჟის ანალიტიკოსების თქმით, კომერციული ბანკების აქციების ბრუნვა და აქტივობა მცირე იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კეხიჯვარში ბუნებრივი აირის 15-კილომეტრიანი მილსადენი გაიხსნება

დღეს ქარელის რაიონის სოფელ კეხიჯვარში ბუნებრივი აირის 15-კილომეტრიანი მილსადენი გაიხსნება. საზეიმო ცერემონიალს კეხიჯვრის საშუალო სკოლის ეზოში, "აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს" (USAID), "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის პროექტისა" და ადგილობრივი სათემო კავშირის წარმომადგენლები დაესწრებიან. როგორც "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის პროექტში" აცხადებენ, დღესდღეობით, ბუნებრივი გაზით უკვე 150-ზე მეტი ოჯახი სარგებლობს, რამაც ხელი შეუწყო თემის მოსახლეობას, გაეფართოებინა არსებული ბიზნესი და დაეწყოთ ახალი ბიზნესსაქმიანობა. უკვე შეიქმნა 21 ახალი სამუშაო ადგილიც. **ჯი-ეიჩ-ენი**




# მთავრობა ახალ დონორებს ეძებს

პირველი გვერდიდან

ეს ინფორმაცია შაბათს საღამოს რამდენიმე რუსულმა სააგენტომ გაავრცელა. მოგვიანებით მისი სიზუსტე საქართველოს ხელისუფლებაშიც დაადასტურეს. მართალია, აქ არ აკონკრეტებენ აშშ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილბის მიზეზებს, თუმცა, როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტი" იუწყება, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ფინანსური საკითხების კომიტეტმა ამერიკულ კომპანიებს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის პროექტის დაფინანსება აუკრძალა. **"ამ გადაწყვეტილებით კონგრესმენებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. მათი აზრით, ამერიკის ფინანსური მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან სომხეთის გავლით არსებული რკინიგზის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას დააზარალებს,"** - განუცხადეს "რია ნოვოსტის" ამერიკის სომხურ ნაციონალურ კომიტეტში.

ჩნდება ლოგიკური კითხვა - ხომ არ ემუქრება ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დაწყებას საფრთხე და რამდენად რთული იქნება სხვა სახელმწიფოების დარწმუნება ამ პროექტში მონაწილეობის მიღებაზე? საქართველოს ხელისუფლებაში პროექტის ჩავარდნის საშიშროებას ვერ ხედავენ და საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებებსაც აკეთებენ.

ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ამბობს, რომ შეერთებული შტატების უარი აღნიშნული პროექტის განხორციელებას ხელს ვერ შეუშლის და რომ, სხვა ქვეყნებთან ერთად, ადვილად მოძებნიან იმ საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას დააფინანსებენ.



ჩოგოვაძეს პროექტის წარმატებაში ეჭვი არ ეპარება

მინისტრის თქმით, ხსენებული პროექტი ამ ეტაპზე მხოლოდ საწყის სტადიაზეა და, ჯერჯერობით, დაფინანსების წყაროები ბოლომდე მოძიებული არ არის.

**"თუ ამერიკამ პროექტის დაფინანსებაზე უარი თქვა, ეს პრობლემა არ არის. არსებობს სხვა ქვეყნები და საფინანსო ინსტიტუტები, რომლებმაც შეიძლება პროექტში მონაწილეობა მიიღონ,"** - განაცხადა ჩოგოვაძემ.

ყაზახეთსა და ჩინეთს საქართველოს ხელისუფლებაში სავარაუდო და პოტენციურ დონორებად მოიაზრებენ. მინისტრ ჩოგოვაძის ინფორმაციით, ამჟამად დაწყებულია ამ სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან აქტიური მოლაპარაკებები სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძის გაზრდასთან დაკავშირებით.

რა დაინტერესება შეიძლება ჰქონდეთ ყაზახეთსა და ჩინეთს აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით და რა სარგებელი შეიძლება ნახონ მათ? ეკონომიკური განვითარების მინისტრი ამბობს, რომ აღნიშნულ პროექტში ჩართვა განსაკუთრებით ხელსაყრელია ჩინეთისთვის, რადგან ხსენებული მაგისტრალის მშენებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩინეთი ევროპას უმოკლესი გზით დაუკავშირდეს. **"ჩინეთი-ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სარკინიგზო მაგისტრალს, გარდა იმისა, რომ გრანდიოზული პროექტია, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს, ამით ჩვენ უფრო მეტ ტვირთებს მოვიზიდავთ. ამიტომ მოლაპარაკებებს ამ მიმართულებით აქტიურად ვაწარმოებთ,"** - განაცხადა ჩოგოვაძემ.

ჩოგოვაძისგან განსხვავებით, საკმაოდ პესიმისტურად უყურებს ამ პროექტის განხორციელებას სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე. ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დაწყებას სახელმწიფო მინისტრი შორეულ პერსპექტივად მიიჩნევს. თუმცა, როგორც ბენდუქიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო პროექტი საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, **"თუმცა მე არ მინახავს კარგი ეკონომიკური გათვლები, რომელიც ამ პროექტის სარგებლობაზე მიუთითებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს შორეული პერსპექტივაა,"** - განაცხადა კახა ბენდუქიძემ.

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, აშშ-ს აღნიშნული პროექტის დაფინანსებაზე ჯერ საბოლოო უარი არ უთქვამს. ბენდუქიძის თქმით, გადაწყვეტილება მხოლოდ კონგრესის ფინანსურმა კომიტეტმა მიიღო და არა თავად კონგრესმა.

შეგახსენებთ, რომ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დაწყება მიმდინარე წელს იგეგმება. 98-კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობა დაახლოებით 500 მილიონი დოლარი დაჯდება. პროექტში, საქართველოს გარდა, ორი მეზობელი სახელმწიფო - აზერბაიჯანი და თურქეთი მონაწილეობს.

# სემეკმა 3 ლიცენზიანტის ტარიფში ცვლილებები შეიტანა

საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) ცალკეული ლიცენზიანტების - შპს "ენგურჰესის," შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის", სს "ენერჯი ინვესტის" ტარიფებში ცვლილებები შეიტანა.

როგორც სემეკში აცხადებენ, ამის შედეგად სამომხმარებლო ტარიფი ცვლილებას არ განიცდის, რადგან ელექტროენერგიის ტარიფის კომპონენტების გადაანგარიშება ელექტროსისტემის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა. შპს "ენგურჰესისთვის" ახალი ტარიფის დამტკიცების აუცილებლობა, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ ჰესის მოქმედ ტარიფში გათვალისწინებული "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" სესხის მომსახურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა. რადგან შპს "ენგურჰესი" ამ ვალდებულებისგან გათავისუფლდა, შესაბამისი კომპონენტი მისი ტარიფიდან ამოიღეს. სემეკმა გაითვალისწინა ისიც, რომ მოხდა შპს "ენგურჰესისა" და შპს "თაღოვანი კაშხლის" კაპიტალების შერწყმა. შესაბამისად, სემეკმა შპს "ენგურჰესს" ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი განუსაზღვრა 1,187 თეთრი/კვტ.სთ-ის ოდენობით (დღგ-ს გარეშე), ნაცვლად 2,13 თეთრისა. შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" გადაცემის ტარიფები 25 პროცენტით შემცირდა, რაც, ძირითადად, ელექტროსისტემის აქტივების სოლიდური ნაწილის (ელექტროქსელების) "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" გადაცემითაა განპირობებული. სემეკმა "ელექტროსისტემას" განუსაზღვრა შემდეგი ტარიფები ძაბვების მიხედვით: 35-110-220 კვ-ზე 0,535 თეთრის, ხოლო 6-10 კვ-ზე 1,115 თეთრის ოდენობით.

სემეკმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა სს "ენერჯი ინვესტის" მოთხოვნა. კომპანია ითხოვდა წარმოების ტარიფის გაზრდას 8,436 თეთრიდან 11,5 თეთრამდე კვტ.სთ-ზე, ანუ 36 პროცენტით. ამის საფუძვლად კომპანიას მოჰყავდა რამდენიმე არგუმენტი, მათ შორის: სიმძლავრის შემცირება, კრედიტების საპროცენტო განაკვეთების გაზრდა ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ დონემდე, სათბობის ხვედრითი ხარჯვის ზრდა და სხვა ფაქტორები. სემეკმა საკმარისად არგუმენტირებულად მიიჩნია სიმძლავრის შემცირება 110-დან 102 მეგავატამდე, აგრეთვე, ზოგიერთი გარდაუვალი ხარჯების მატება, რისი აუცილებლობაც აირტურბინის ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლინდა. სემეკის გათვლებით, კომპანიის ტარიფის ზრდა უნდა მოხდეს 9,448 თეთრამდე კვტ.სთ-ზე, ანუ 12,5 პროცენტით. სემეკი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

სემეკის გადაწყვეტილებით, შემოდგომა-ზამთრის სეზონზე სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ტარიფში სარეზერვო სიმძლავრის კომპონენტი კვტ.სთ-ზე 0,393 თეთრის ოდენობით განისაზღვრა.**ინტერპრესნიუსი**

## მახინჯაურის რკინიგზის სადგურში ბათუმი-ერევნის ახალი მატარებელი შევიდა

გუშინ, ზუსტად 16.45 საათზე მახინჯაურის რკინიგზის სადგურში ბათუმი-ერევნის ახალი მატარებელი შემოვიდა. პირველ ოფიციალურ რეისს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, მისი მგზავრები მხოლოდ სომხეთის რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომლები იყვნენ.

ახალ მატარებელს სულ 180 მგზავრის გადაყვანა შეუძლია, ბილეთის ღირებულება 25 დოლარიდან იწყება, კუპირებული ნომერი კი 45 დოლარი ღირს. რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ზაფხულის სეზონზე მატარებელი დატვირთვით ივლის. იგი დღეგამოშვებით, ლუწ რიცხვებში გავა ერევნიდან, კენტ რიცხვებში - ბათუმიდან. ვარაუდობენ, რომ თუ რეისმა გაამართლა, ის არა მხოლოდ ზაფხულის სეზონზე, არამედ მთელი წლის განმავლობაში იმოქმედებს. რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომლებს სახელდახელოდ დახვედრა მოუწყვეს ბათუმის მერიის თანამშრომლებმა, მათ საგანგებო კონცერტით შეხვდნენ. **ინტერპრესნიუსი**

## ექსპერტები ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან საქართველოს მიერ ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მოთხოვნაზე იმსჯელებენ

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან საქართველოს მიერ ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მოთხოვნასთან დაკავშირებით 19-20 ივნისს, თბილისში ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა გაიმართება. როგორც "ინტერპრესნიუსს" გაზის საერთაშორისო კორპორაციიდან აცნობეს, ამ მიზნით, თბილისს თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან ექსპერტები და ოფიციალური პირები ეწვევიან.

საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებებში ენერგეტიკის სამინისტრო, გაზის საერთაშორისო კორპორაცია და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ჩაერთვებიან.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მიღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს საქართველოს მთავრობა "შაჰ-დენიზის" კონსორციუმთან და აზერბაიჯანის მთავრობასთან, უკვე ერთი წელია, აწარმოებს.

ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ გარკვეული შეთანხმება უკვე მიღწეულია და დეტალები 19-20 მაისს გახდება ცნობილი. ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის ტრანზიტიდან საქართველოს წილი 5 პროცენტია, კიდევ 5 პროცენტს საქართველო შეღავათიან ფასად (1000 კბმ 55 დოლარად) მიიღებს. 2007-2008 წლებში საქართველოს ამ მილსადენიდან წელიწადში სულ 200-250 მილიონი კუბური მეტრი აირის მიღება შეუძლია, 2011 წლიდან კი - 800 მილიონი კუბური მეტრის.

ბოლო მონაცემებით, საქართველოს გაზის მოხმარება წელიწადში 1,2 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, უახლოეს მომავალში კი მოხმარება 2-3 მილიარდამდე გაიზრდება. სწორედ ამიტომ, საქართველო ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან დამატებითი მოცულობის აირის მიღებას ითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

## იყიდება შს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ხის საამქრო

დღეიდან, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო შს სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ხის დამამუშავებელ საამქროსა და მიწის ფართობის შეძენის მსურველთა განაცხადების მიღებას იწყებს. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N116-ში მდებარე საამქრო, რომლის საერთო ფართი 583,3 კვ.მ-ია, ხოლო მიწის ფართობი - 1506 კვ. მ აუქციონის წესით გაიყიდება. საამქროსა და მიწის საწყისი გასაყიდი ფასი 20000.00 აშშ დოლარია. განცხადების მიღების ვადა 19 ივნისიდან 20 ივლისამდეა. ტენდერი კი 20 ივლისს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართება. თანხის გადახდის პირობების მიხედვით, მონაწილემ უნდა გადაიხადოს "ბე"- 2 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში და გააჩნდეს მონაწილის ბილეთი - 50 ლარი. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის საწყის გასაყიდ ფასზე "ბიჯის" (რომელიც შეადგენს - 1 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში) დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Shell-მა "ნავთობის ქვიშის" ლიდერი იყიდა

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიის, ინგლისურ-ნიდერლანდური Royal Duch Shell-ის კანადურმა განყოფილებამ კანადური ნავთობკომპანია BlackRock Ventures Inc-ის აქციების 92,8 პროცენტი 2,4 მილიარდ კანადურ დოლარად (2,15 მილიარდი ამერიკული დოლარი) შეიძინა. ამასთან, Shell Canada-მ დარჩენილი 7,2 პროცენტის შეძენის სურვილიც გამოთქვა. სავარაუდოდ, Royal Duch Shell საბოლოოდ 27 ივლისს შთანთქავს კომპანიას, რომელიც "ნავთობის ქვიშის" ლიდერად ითვლება.

"ნავთობის ქვიშა" მაზუთის და ქვიშის ნარევი გახლავთ და სინთეტიკური "შავი ოქროს" პერსპექტიულ წყაროდ ითვლება. მისი მარაგის მიხედვით კანადა მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია. ამგვარად ნავთობის მიღება ნაკლებად რენტაბელურია, მაგრამ, მსოფლიოში "შავ ოქროზე" არსებული მაღალი ფასების გამო, მაინც წარმატებული კაპიტალდაბანდებაა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 2020 წლისათვის აღნიშნულ სექტორში მოგება გასამმაგდება.

აღსანიშნავია, რომ BlackRock Ventures Inc-ის შეძენა ისეთ მსხვილ ნავთობკომპანიებს სურდათ, როგორებიცაა ამერიკული ConocoPhillips და Chevron და ჩინური სახელმწიფო კომპანია PetroChina, მაგრამ Royal Duch Shell-ის წინადადება კანადელთათვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა.

## ამერიკელები აზიურ ვალუტას ეხმარებიან

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ამერიკელი პოლიტიკოსები ერთიანი აზიური ვალუტის შემოღებას სიხარულით ხვდებიან. უდავოდ ნათელია, რომ ამერიკამ აზიის ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკური ინტეგრაციისადმი აგრესიული დამოკიდებულება შეიცვალა და დღეს უკვე ერთიანი აზიური ვალუტის შემოსვლას მხარსაც კი უჭერს. თეთრ სახლში იმედოვნებენ, რომ ახალი პოლიტიკით ამერიკის შეერთებულ შტატები აზიის ქვეყნებში სერიოზულ გავლენას მოიპოვებს და ამასთან ეკონომიკური კონსოლიდაციის პროცესს თავის კონტროლის ქვეშ აიყვანს.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, ამერიკის შეერთებული შტატები აზიის ფინანსურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას თავდაუზოგავად ეწინააღმდეგებოდა. ეს პროცესი თითქმის 10 წელი გრძელდებოდა. დღეს კი ამერიკელი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ აზიის ქვეყნების გაერთიანების აღარ ეშინიათ. მათი თქმით, ამერიკა სრულიად ახალი პოლიტიკური თამაშის გზას ირჩევს. "აზიურ კავშირს ახალი ვალიტის ფორმირების პროცესში კონსტრუქციული დახმარება ესაჭიროება. ახალი აზიური ვალუტა კი ამერიკული დოლარისთვის კონკურენტი არც ერთ შემთხვევაში არ იქნება", - განაცხადა ამერიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო საკითხებში ტიმ ადამსმა ტოკიოში მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის დახურულ სესიაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაპონიისთვის.

ოფიციალური ტოკიო დიდი ხანია ცდილობს ერთიანი აზიური ვალუტის შექმნას. იაპონელი ეკონომისტების ანაფიქრით, აზიურმა ვალუტამ იგივე გზა უნდა განვლოს, რაც მისმა წინამორბედმა- ევროპულმა ევრომ.

აზიის სხვა ქვეყნები ამ პროექტისადმი ჯერ სკეპტიკურად არიან განწყობილნი. ძირითად პრობლემად კვლავ სამომავლო და ეროვნული ვალუტის ურთიერთდამოკიდებულება რჩება. ამასთან ერთად, გადაუწრელ პრობლემად რჩება ერთიან აზიურ საფინანსო სისტემაში ტაივანის ვალუტის ჩართვის საკითხიც, სადაც პრეტენზიით ჩინეთი გამოდის.

ტიმ ადამსი ვარაუდობს, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება ამერიკის პოლიტიკას ძირეულად ვერ შეცვლის. "ეს არის ახსნა და არა ცვლილებები ამერკის პოლიტიკაში. ძირითად პრობლემა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ეჯახება, გახლავთ მოქმედებების არასწორად გაგება. რასაც ამერიკელი პოლიტიკოსები 1997 წლის აზიის ფინანსურ კრიზისთან აიგივებენ. აზიური ფულად-საკრედიტო ფონდის შეჩერების მიზნით ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ იაპონიისა და მალაიზიის შეთანხმება გააუქმა. ამერიკელი ჩინოვნიკების თქმით, ამის შემდეგ, ოფიციალური ვაშინგტონი აზიაში პოტენციურ მტერს ხედავს. "არის მოსაზრება, რომ ამერიკას ერთიანი აზიური ვალუტის ეშინია, უფრო კონკრეტულად კი ჩვენ ჩიანმაისის იმ ხელშეკრულება გვაფრთხობს, რომლის მიხედვითაც ფინანსური კრიზისის დროს, აზიის ქვეყნები ერთმანეთს სავალუტო მარაგს გაუცვლის. ეს შეფასება კი სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ არ გვეშინია ერთიანი აზიური ვალუტის, რადგან ის ამერიკული დოლარის კონკურენტი ვერასოდეს გახდება," - აცხადება ტიმ ადამსი.

ექსპერტების ვარაუდით, ამერიკის ადმინისტრაციის კურსისი ასეთი ცვლილება აზიაზე სერიოზულ პოლიტიკურ გავლენას იქონიებს. თუმცა ეს ოფიციალურ ტოკიოს სულაც არ აშინებს. აზიური ბანკის ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი მასაშირო კავაი აცხადებს, რომ ამერიკის პოლიტიკის ასეთმა უეცარმა შემობრუნებამ, ისინი სასიამოვნოდ გააოცა.

# "ღარიბების ნატო" და მიმავალი მილიარდერი

პირველი გვერდიდან

### ჰართლენდი და შანხაიური თამაშები

ამ ფრაზის დაწერიდან დაახლოებით ერთი საუკუნე გავიდა, მაგრამ მავანს იგი დღემდე არ აძლევს მოსვენებას. მავანისათვის მსოფლიო პოლიტიკის ყველა სერიოზული მოვლენა ჰართლენდისა და ევრაზიისათვის ბრძოლის ჭრილში განიხილება. მაგალითად, ასეთად მიიჩნევენ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას - ამ გზით დასავლეთი ჰართლენდსა და საერთოდ ევრაზიას იპყრობს. შესაბამისად, ნატოს გაფართოების მომხრეებიც მაკინდერის თაყვანისმცემლებად და მიმდევრებად ცხადდებიან.

მაგრამ მაკინდერს მხოლოდ დასავლეთში არ ჰყავს თაყვანისმცემლები. ჰართლენდის ფასი კარგად იციან აღმოსავლეთშიც და ზემოთაღნიშნულ მავანს ალბათ მაკინდერის თაყვანისმცემლებად მიაჩნია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შემქნელებიც, რომლებიც ევრაზიიდან აშშ-ს გაძევებას ცდილობენ.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ გასულ კვირას საიუბილეო მე-5 სამიტი გადაიხადა, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული: რუსეთი, ჩინეთი და შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები (ნეიტრალური თურქმენეთის გარდა), ასევე ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსის მქონე ზოგიერთი სახელმწიფო, რომელთაგან ერთ-ერთს ირანი წარმოადგენს და ეს უკანასკნელი პრეზიდენტის დონეზე იყო წარმოდგენილი. მოკლედ, შანხაიში შეკრებილი ლიდერები ლამის მთელ ევრაზიას წარმოადგენდნენ (ცხადია, დასავლეთ ევროპის გამოკლებით).

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას ბევრი რამ გააჩნია. ეს არის რუსული გაზი და ნავთობი თავისი მილსადენებით. ასევე ირანული ნავთობი და გაზის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად აუთვისებელი პოტენციალი. ორგანიზაციას გააჩნია ჩინური სამრეწველო პოტენციალი, რომლის პროდუქციასაც მსოფლიო ბაზარი მიაქვს. შანხაელებს ატომური იარაღიც გააჩნიათ. მოკლედ, მათ თითქმის ყველაფერი აქვთ. ერთ-ერთმა რუსმა მიმომხილველმა ორგანიზაციას "ღარიბების ნატოც" უწოდა. ეს გამოთქმა იმიტომაც იქნა მოშველიებული, რომ სამიტზე საუბარი წავიდა ორგანიზაციის შესაძლო გაფართოებაზე (ვინ შეიძლება მიიღონ ამ ევრაზიულ კლუბში, ამაზე ცოტა ქვემოთ ვიმსჯელოთ); მიღებულ დეკლარაციაში გაცხადდა, რომ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ერთიმეორეს უსაფრთხოების გარანტიას აძლევენ. ცხადია, შანხაელებმა გვერდი არ აუარეს რეგიონში დასავლეთის გავლენასაც - მართალია, დეკლარაციაში აშშ ნახსენები არ იყო, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ დეკლარაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პასაჟი - რომელშიც ნათქვამია, რომ რეგიონული უსაფრთხოების მექანიზმების გამოძებნა რეგიონის სახელმწიფოების პრეროგატივაა და რომ დაუშვებელია სხვა სახელმწიფოების საქმეებში ჩარევა პოლიტიკურ-სოციალურ სისტემებში განსხვავების გამო - სწორედ აშშ-ის მისამართით იყო გამიზნული. იქვე იქნა დაგმობილი შანხაის გავლენის სფეროში სხვა რეგიონული ორგანიზაციების შექმნის მცდელობაც. აქ იგულისხმებოდა ვაშინგტონის ინიციატივა სახელწოდებით "დიდი აზია," რომელშიც უნდა გაერთიანდეს პრაქტიკულად მთელი რეგიონი რუსეთისა და ჩინეთის გამოკლებით, და ასევე ტოკიოსეული პროექტი "იაპონია პლიუს შუა აზია." პრეზიდენტმა პუტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ იგი შანხაის ტერიტორიაზე სხვების (ანუ, აშშ-სა და იაპონიის) შემოსვლის წინააღმდეგია.

როგორც დიდი სახელმწიფოების ლიდერებს შეშვენით, პუტინმა და ჩინეთის პრეზიდენტმა ჰუ ძინტაომ აშშ-ს კრიტიკისაგან თავი შეიკავეს. ეს როლი უფრო პატარა უზბეკეთის ლიდერმა კარიმოვმა იკისრა, რომელსაც ანდიჟანის ცნობილი მოვლენების შემდეგ ვაშინგტონთან ურთიერთობები პრაქტიკულად აღარ გააჩნია (ამას უზბეკეთის ტერიტორიიდან ამერიკული ბაზის გაყვანაც მოჰყვა). თუმცა, აშშ-ს პირდაპირ ხსენებას ისიც ერიდებოდა და "საერთაშორისო ძალებს" ლანძღავდა ისეთი ცოდვების გამო, როგორიცაა "რეგიონის გახლეჩის მცდელობა" და "ავღანეთში ნარკოტრაფიკინგთან გამკლავების უუნარობა." შემდეგ კარიმოვმა "ზოგიერთი ქვეყანა" ახსენა, რომლის ტერიტორიასაც ტერორისტები იყენებენ. რომელია ეს "ზოგიერთი ქვეყანა," გაურკვეველი დარჩა, თუმცა ტაჯიკთა აზრით ეს ყირგიზეთი უნდა ყოფილიყო. ეს ეჭვი იმანაც გაამყარა, რომ კარიმოვმა შანხაის ფარგლებში შექმნილი რეგიონული ანტიტერორისტული სტრუქტურის ხელმძღვანელის პოსტზე ყირგიზის კანდიდატურა დაბლოკა.

მოკლედ, კარიმოვი აშშ-ს გარდა თავად შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრებსაც გადასწვდა, რითაც ალბათ დამსწრეებს უსიამოვნოდ შეახსენა, რომ ამ ორგანიზაციის შიგნით არც ისეთი ჰარმონია სუფევს. ეს გარემოება ალბათ გაფართოების პერსპექტივებსაც სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს.

შანხაის კარს დღესდღეობით ბელორუსი და ირანი ამტვრევენ. ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს ინდოეთი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გასული კვირის სამიტზე ორგანიზაციამ პრაქტიკულად ღია კარის პოლიტიკა გამოაცხადა, ინდოეთი გაწევრიანების დიდ სურვილს არ ამჟღავნებს და ალბათ ისიც საკითხავია რამდენად არის მზად მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული სახელმწიფოს მისაღებად არცთუ ისე დემოკრატიული სახელმწიფოების კლუბი. თუმცა, ჰართლენდისათვის ბრძოლისათვის ყველაფერზე შეიძლება წასვლა - შანხაის სამრეწველო პოტენციალი, გაზ-ნავთობი და ბირთვული იარაღი აშშ-ის გავლენის გასანეიტრალებლად მაინც არ კმარა, რადგან ამერიკას ე.წ. რბილი ძალაც გააჩნია. რბილ ძალაში იგულისხმება მიმზიდველი იდეოლოგია (დემოკრატიული ნორმები), მასობრივი კულტურა (ჰოლივუდის ფილმები, ემტივი), საგანმანათლებლო პოტენციალი (ჰარვარდი, იელი და სხვა უნივერსიტეტები, საითკენაც მთელი მსოფლიოს სტუდენტობა მიისწრაფის). არაა გამორიცხული, რომ შანხაის მესვეურთ სურდეთ მათ რბილ ძალად იგივე ინდური ფილმები იქცეს. შანხაელები რბილ ძალაზე რომ ფიქრობენ, იმანაც დაადასტურა, რომ რუსეთს განზრახული აქვს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლები დააფუძნოს. ცხადია, რუსეთმა ენერგეტიკასაც არ აუარა გვერდი და გაცხადდა იდეა ორგანიზაციის ფარგლებში ენერგეტიკული კლუბის შექმნის თაობაზე. თუ როგორ განვითარდება ეს იდეა, დრო გვიჩვენებს.

მაგრამ ენერგეტიკა ის სფეროა, სადაც ორგანიზაციის ორი წამყვანი წევრის - ჩინეთისა და რუსეთის - ინტერესები ერთიმეორეს არც ისე ემთხვევა. რუსეთს მილიარდები უგროვდება იმის წყალობით, რომ ნავთობი გაძვირებულია. ჩინეთის მზარდი ეკონომიკა კი ენერგეტიკულ შიმშილს განიცდის და საწვავზე მაღალი ფასები სულაც არ აწყობს. ფასების აწევაში ლომის წილი ახლო აღმოსავლეთში შექმნილ არასტაბილურ ვითარებაზე მოდის. ერთი ცნობილი ამერიკელი ავტორის თქმით, პუტინის ერთ-ერთი მრჩეველი საგარეო საკითხებში მას გამოუტყდა, რომ რუსეთს სინამდვილეში აწყობს ახლო აღმოსავლეთში ვითარების კიდევ უფრო დესტაბილიზაცია, რადგან ეს ნავთობს კიდევ უფრო გააძვირებს. დესტაბილიზაცია მნიშვნელოვანწილად ირანზეა დამოკიდებული - თუკი იგი დასავლეთთან კონფრონტაციას და ჯიჰადიზმის პოლიტიკას გააგრძელებს, რეგიონში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება და ჩინეთის მზარდ ეკონომიკას პრობლემები შეექმნება. ასე რომ ირანის გამომწვევი ჟესტები პეკინის ინტერესებში სულაც არ შედის.

აღსანიშნავია, რომ სამიტის დაწყებამდე ორიოდ დღით ადრე რუსულ პრესაში სკანდალი ატყდა ისტორიის ჩინური სახელმძღვანელოების გამო, სადაც ციმბირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩინეთის მიერ დროებით დაკარგულ მიწებადაა გამოცხადებული. ესეც რუსეთ-ჩინეთის "ინტერესთა ჰარმონიის" კიდევ ერთი მაგალითია.

როგორც უკვე ვახსენეთ, შანხაის კარს ბელორუსიც ამტვრევს, რომელსაც რუსეთმა ახლახან გაზი გაუძვირა. ეს საჯარიმო სანქცია ალბათ იმაზე მიგვანიშნებს, რომ პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ბელორუსის რუსეთთან გაერთიანებაზე უარი განაცხადა. ძნელი სავარაუდოა, რომ გაზის გაძვირებამ და შესაბამისად ეკონომიკური პირობების გაუარესებამ ლუკაშენკოს ხელისუფლება დაამხოს (ეს ალბათ არც მოსკოვში სურთ). "ევროპის უკანასკნელი დიქტატორი" ალბათ კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციებს თავის მხარდამჭერებში, რადგან მათ წინაშე პრინციპულ ლიდერად წარმოჩინდება, რომელიც დიდ რუსეთსაც კი არაფერს უთმობს. შანხაი ლუკაშენკოს ალბათ იმიტომ სჭირდება, რომ იქ რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტი შეიძინოს, მაგრამ საკითხავი ისაა შანხაის რამდენად სჭირდება ბელორუსი. მას ხომ არც ბირთვული იარაღი გააჩნია და არც თავისი ჰოლივუდი.

### გეიტსი მიდის, ვის გაუმარჯოს?

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი თავის კომპანიას ტოვებს. ბილ გეიტსმა ორწლიანი "გარდამავალი პერიოდის" შესახებ განაცხადა, რომლის გასრულებისას იგი "მაიკროსოფტს" ჩამოშორდება და თავისი საქველმოქმედო ფონდით დაკავდება. ორ წელიწადში 33 წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც გეიტსმა დააარსა "მაიკროსოფტი", რომელმაც ალბათ თანამედროვე ეპოქის განვითარებაზე ისეთი გავლენა მოახდინა, როგორიც არც ერთმა სხვა კომპანიამ. დღესდღეობით პერსონალური კომპიუტერების უდიდესი ნაწილი "უინდოუზის" საოპერაციო სისტემაზე მუშაობს და სხვანაირად პრაქტიკულად წარმოუდგენელია. თანამედროვე კომპიუტერებს "უინტელებს" უწოდებენ, რადგან თითქმის ყოველი მათგანი "უინდოუზის" საოპერაციო სისტემასა და "ინტელის" მიკროსქემაზე მუშაობს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ახლანდელ ეპოქას ინფორმაციულ ეპოქას უწოდებენ, გასაგებია რა დიდია ამ ეპოქაში "მაიკროსოფტის" გავლენა.



გეიტსის განცხადება წასვლის თაობაზე "მაიკროსოფტისათვის" საკმაოდ რთულ დროს გაკეთდა. კომპანია საგრძნობლად ჩამორჩა თავის კონკურენტებს - უპირველესად კი "გუგლს" - ისეთ სფეროში, როგორიც საინტერნეტო მომსახურებაა.

"მაიკროსოფტისგან" დიდი ხანია მიეჩვივნენ ლიდერობას ყველა სფეროში, რომელიც კი პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება. ინტერნეტის ბრაუზერებში "მაიკროსოფტის" "ექსპლორერი" ლიდერობს, რომელმაც საბოლოოდ განდევნა ბაზრიდან "ნეთსქეიფი." თუმცა, ეს გამარჯვება "მაიკროსოფტს" ლამის ნაწილ-ნაწილ დაშლად დაუჯდა. "ნეთსქეიფის" ბრაუზერი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა და "მაიკროსოფტმა" თავისი კონკურენტის დასაძირად ერთობ საინტერესო ხერხს მიმართა - იგი პერსონალური კომპიუტერების მწარმოებლებს "უინდოზის" მიწოდების სანაცვლოდ ("უინდოუზის" გარეშე კი ცხადია პერსონალურ კომპიუტერს არც ერთი მწარმოებელი არ გაყიდის) სთხოვდა, რომ მათ კომპიუტერში "ექსპლორერიც" ჩაეტვირთათ. როცა "მაიკროსოფტის" ეს ქმედება გამოაშკარავდა, "ნეთსქეიფი" პრაქტიკულად უკვე ჩაძირული იყო. გეიტსის კომპანიის წინააღმდეგ ანტიმონოპოლიური მუხლით გრანდიოზული სასამართლო პროცესი აღიძრა. ამგვარ პროცესს თავის დროზე როკფელერის სანავთობო იმპერია "სტანდარდ ოილი" შეეწირა, რომელიც ნაწილ-ნაწილ დაშალეს. მაგრამ "მაიკროსოფტი" გადარჩა. ინტერნეტის ბრაუზერი საოპერაციო სისტემის ნაწილია და ამიტომ "ექსპლორერი" "უინდოუზის" პაკეტში უნდა იყოს, - ამტკიცებდნენ "მაიკროსოფტის" წარმომადგენლები. იგივე არგუმენტი მოჰყავდათ მათ სხვა შემთხვევაშიც, როცა მაგალითად "მაიკროსოფტს" პრობლემა შეექმნა "უინდოუზ მედია პლეიერის" გამოც; ეს უკანასკნელი ინტერნეტის ბრაუზერის ანალოგად "უინდოიზში" იყო ჩადებული და მედია პლეიერების მწარმოებლებს ისეთივე პრობლემებს უქმნიდა, როგორიც შეუქმნა "ნეთსქეიფს."

მაგრამ არც ისე იოლი აღმოჩნდა ლიდერობის მოპოვება საინტერნეტო მომსახურებაში. აქ გეიტსის კომპანიას "უინდოუზის" მონოპოლია თითქმის ვერ ეხმარება; ინტერნეტი თავისუფალია განურჩევლად იმისა თუ რომელ ბრაუზერს იყენებ. "მაიკროსოფტისეული" "ემესენი" პოპულარობით "გუგლს" აშკარად ჩამორჩება. შეძლებს კი გეიტსი ორწლიან ვადაში ამ ვითარების გამოსწორებას? საქმიანი სამყარო ამ კაცისაგან სასწაულებს ელის და არაფერს გამორიცხავს. ამიტომაცაა, რომ მისმა განცხადებამ ნამდვილი შოკი გამოიწვია და თითქმის არავის გახსენებია, რომ წასვლისაკენ პირველი ნაბიჯი გეიტსმა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ გადადგა, როცა მთავარი აღმასრულებლის პოსტი სტივ ბალმერს გადააბარა (თავად კი თავმჯდომარედ დარჩა). ახლა ცნობილი გახდა იმ პიროვნების სახელი, რომელიც გეიტსს პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტორის როლში შეცვლის. ეს რეი ოზია, რომელიც "მაიკროსოფტს" სულ ერთი წლის წინ შეუერთდა (როცა "მაიკროსოფტმა" ოზის კომპანია "გრუვ ნეთუორქზი" შეისყიდა). თუმცა, ვინც არ უნდა იყოს ეს ხალხი, საქმიანი სამყაროსათვის გეიტსი მაინც შეუცვლელია.

მაგრამ გეიტსს კი კარგად ესმის, რომ შეუძლებელია ასეთი დიდი კომპანია ერთ პიროვნებაზე იყოს დამოკიდებული. ოდესღაც იგი უნდა წავიდეს და ჯობს ეს პროცესი თანდათანობითი იყოს, რათა საქმიანი სამყარო გადაეჩვიოს ამ ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის ერთ კონკრეტულ პიროვნებასთან გაიგივებას. კომპანიას გამართული სისტემა უნდა მართავდეს და არა ინდივიდი. გეიტსი მიდის, მაგრამ ტოვებს კარგ სისტემას და ერთ-ერთ უმდიდრეს კომპანიას, რომელიც თავის სფეროში ლიდერობს და რომელსაც კიდევ უამრავ სხვა ბიზნესში (როგორიცა მაგალითად კავშირგაბმულობა) აქვს ინტერესები და წილები. ამ ინტერესებზე გეიტსმა თავის დროზე იზრუნა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მის კომპანიას დაშლით ემუქრებოდნენ.

## აშშ-ს ბირჟაზე კვირა კლებით დასრულდა










გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მცირე კლება დაფიქსირდა. საბირჟო მოედნებზე არსებულ განწყობაზე უარყოფითი გავლენა ფედერალური სარეზერვო ფონდის წარმომადგენლის განცხადებამ მოახდინა, რომელმაც აღნიშნა, რომ საწვავის და კვების პროდუქტების ფასების გაუთვალისწინებლად ინფლაცია მაინც მაღალია. ამგვარად, ინვესტორთა შორის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის მოლოდინი გაჩნდა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გახლდათ ნავთობის ფასის მატება და მიჩიგანის უნივერსიტეტის ეკონომისტების მიერ მომხმარებელთა ნდობის ინდექსის შემცირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,01 პროცენტით, 10.014,55 პუნქტამდე შემცირდა. 0,66 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.129.95 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,37 პროცენტით, 1.251,54 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობი კვლავ გაძვირდა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 68,99 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 70,05 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ასე რომ, გასული კვირის ბოლო ორი დღის განმავლობაში დაფიქსირებული გაძვირების შედეგად, ნავთობის ფასმა 70 დოლარი/ბარელის ფსიქოლოგიურ ბარიერს მიაღწია. თუმცა, კვირის დასაწყისში დაფიქსირებულ ფასებამდე, როცა Brent-ის მარკის ნავთობი 71,2 დოლარი/ბარელი, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,32 დოლარი/ბარელი ღირდა, ვერ მიაღწია.

კვირის ბოლოს ნავთობის გაძვირების მიზეზი გახდა მოლოდინი, რომ ამერიკის ეკონომიკა ინფლაციურ პროცესებს გაუმკლავდება, რაც ნავთობზე მოთხოვნილების გაზრდას გამოიწვევს. ამასთან, მცირე შესვენების შემდეგ ბაზარზე კვლავ გაჩნდა ახლო აღმოსავლეთსა და ნიგერიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მოსალოდნელი დეფიციტის საშიშროება.

შედეგად, "ოპეკის კალათის" ფასმა კვირის განმავლობაში მეორედ მოიმატა და 63,1 დოლარი/ბარელი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

"ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები ორკვირიანი პაუზის შემდეგ გაძვირდა

პარასკევს ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე პირველად უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ძვირფას ლითონებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, ოქრო 0,7 პროცენტით გაძვირდა და 1 უნციის ფასმა 570,3 დოლარი შეადგინა, რაც სამი დღის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელი გახლდათ. ოქროს გაძვირების მიზეზი გაიაფების შემდეგ მოთხოვნილების მომატება და ნავთობის ფასის ზრდა გახლდათ. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა დოლარის კურსის შესუსტებამაც. მას შემდეგ, რაც 13 ივნისს ვერცხლის სარეკორდო, 13-პროცენტიანი გაიაფება დაფიქსირდა, მის შესაძენად მეტად ხელსაყრელი გარემო შეიქმნა, მოთხოვნილება გაიზარდა და პარასკევს 1 უნცია ვერცხლი 2,4 პროცენტით, 9,97 დოლარამდე გაძვირდა. ოქროსა და ვერცხლთან ერთად პარასკევს 1,9 პროცენტით გაძვირდა პლატინაც, რომლის ფასმა 1160,9 დოლარი/უნციას მიაღწია. 4,5 პროცენტით გაძვირებული პალადიუმი კი 305 დოლარი/უნცია ღირდა. შეგახსენებთ, რომ მაისის პირველ ნახევარში ძვირფასი ლითონების ფასებმა სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია. კერძოდ, 11 მაისს ვერცხლი 15,2 დოლარი/უნცია, 12 მაისს კი ოქრო 732 დოლარი/უნცია ღირდა, რაც 1980 წლის შემდეგ დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებლებია. 17 მაისს 1 უნცია პლატინის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს - 1347 დოლარს მიაღწია, 12 მაისს კი პალადიუმი 409 დოლარი/უნცია ღირდა, რაც 2002 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

## 2007 წელს სლოვენია ევროს ზონაში შევა

ბრიუსელში გამართულ სამიტზე ევროკავშირის ლიდერებმა 2007 წლის 1 იანვარს სლოვენიის ევროს ზონაში შესვლას მწვანე შუქი აუნთეს. ასე რომ, 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნებიდან ერთიან ვალუტას პირველი სლოვენია შემოიღებს. იანეც დრნოვსეკის ხელმძღვანელობით ამ პატარა ქვეყანამ სახელმწიფო ვალის და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების და ევროს ზონაში შესასვლელი სხვა კრიტერიუმების დაკმაყოფილების თვალსაზრისით ყველაფერი გააკეთა. 2005 წელს სლოვენიაში ინფლაციამ 2,4 პროცენტი შეადგინა, ევროკავშირის მოთხოვნით კი, როგორც ცნობილია, იგი 2,61 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ახლა სლოვენიერი ტოლარის და სტოტინის ევროთი და ევროცენტით შეცვლის შესახებ ევროკავშირის ფინანსთა მინისტრებმა უნდა იმსჯელონ. სლოვენიური და ევროპული ვალუტების გაცვლის კურსს ისინი 11 ივლისს დანიშნულ სხდომაზე დაადგენენ. ევროს ზონაში შესვლის მსურველი სხვა ქვეყნები ჯერჯერობით ინფლაციასთან დაკავშირებულ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ. სავარაუდოდ, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, კვიპროსი და მალტა ერთიან ევროპულ ვალუტაზე 2008, სლოვაკეთი 2009 და ჩეხეთი 2010 წლისათვის გადავლენ.







## ამინდი

| | 19/06 | 20/06 | 21/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 25 | 26 | 25 |
| რიგა | 29 | 30 | 31 |
| ვილნიუსი | 23 | 28 | 30 |
| მოსკოვი | 28 | 30 | 32 |
| მინსკი | 25 | 27 | 30 |
| პარიზი | 28 | 24 | 26 |
| რომი | 33 | 35 | 35 |
| ლონდონი | 27 | 22 | 22 |
| მადრიდი | 31 | 27 | 32 |
| ბონი | 29 | 27 | 25 |
| ვარშავა | 30 | 33 | 34 |
| ათენა | 33 | 37 | 36 |
| ბერნი | 27 | 25 | 27 |
| ამსტერდამი | 23 | 21 | 15 |
| ოსლო | 16 | 18 | 11 |
| ანკარა | 31 | 33 | 33 |
| ვარნა | 34 | 38 | 36 |
| დელი | 47 | 48 | 49 |
| ტოკიო | 32 | 30 | 28 |
| კოპენჰაგენი | 21 | 23 | 20 |
| ბაქო | 31 | 30 | 32 |
| ერევანი | 35 | 37 | 37 |
| ასტანა | 27 | 27 | 26 |
| ჰელსინკი | 27 | 28 | 27 |
| დუბლინი | 18 | 13 | 12 |
| ლისაბონი | 30 | 23 | 25 |
| პრაღა | 27 | 29 | 31 |
| სოფია | 28 | 31 | 28 |
| ბუდაპეშტი | 37 | 36 | 39 |
| ბუხარესტი | 40 | 41 | 40 |

# როგორ ვხვდებით ინვესტორს

პირველი გვერდიდან

გუმათჰესების კასკადი - დადგმული სიმძლავრე 66,5 მვტ, კასკადში 2 ელექტროსადგური შედის: I ჰესში 4 აგრეგატია, თითოეული - 11 მვტ. სიმძლავრით; II ჰესში 3 აგრეგატი, თითოეული 7,5 მვტ. სიმძლავრით; გუმათჰესების კასკადში ამჟამად მიმდინარეობს N3, N6 და N7 აგრეგატების რეაბილიტაცია, რომელთა დამთავრება ნავარაუდევია მიმდინარე წლის ბოლომდე.

რიონჰესი - დადგმული სიმძლავრე 48 მვტ, დამონტაჟებულია 4 აგრეგატი თითოეული 12 მვტ. სიმძლავრით. 2004-2005 წლებში ჩატარდა N3 აგრეგატის რეაბილიტაცია, ამჟამად მიმდინარეობს N1 ჰიდროაგრეგატის შეკეთება. დღეისათვის, სადერივაციო არხის დაზიანების გამო ელექტროსადგურის სიმძლავრე შეზღუდულია 36 მვტ-მდე. ამჟამად გამოცხადებულია ტენდერი სადაწნეო მილსადენის შეცვლაზე.

ლაჯანურჰესი - დადგმული სიმძლავრე 111 მვტ, დამონტაჟებულია 3 აგრეგატი, თითოეული 37 მვტ. გასულ წელს შესრულებულია აღდგენითი სამუშაოები N1 და N3 აგრეგატებზე. დღეისათვის მიმდინარეობს N2 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაცია, რომელიც დამთავრდება 2006 წლის სექტემბერში.

ბჟუჟაჰესი - დადგმული სიმძლავრე 12 მვტ, დამონტაჟებულია 3 აგრეგატი, თითოეული 4 მვტ. სიმძლავრის.

აწჰესი - დადგმული სიმძლავრე 16 მვტ, დამონტაჟებულია 2 აგრეგატი, თითოეული 8 მვტ. გასულ წელს აღდგენითი სამუშაოები შესრულებულია წყალმიმღებზე და N1 ჰიდროაგრეგატზე.

ჩითახევჰესი - დადგმული სიმძლავრე 15 მვტ, დამონტაჟებულია 3 აგრეგატი, თითოეული 5 მვტ. სიმძლავრით.

ზაჰესი - დადგმული სიმძლავრე 40 მვტ, დამონტაჟებულია 6 აგრეგატი.

ორთაჭალჰესი - დადგმული სიმძლავრე 18 მვტ, დამონტაჟებულია 3 აგრეგატი, თითოეული - 6 მვტ.

ხადორჰესი - დადგმული სიმძლავრე 26 მვტ, დამონტაჟებულია 2 აგრეგატი, თითოეული - 13 მვტ.

სამგორის კასკადის ჰესები - აერთიანებს: სიონჰესს, მარტყოფჰესს, საცხენჰესს და თეთრიხევჰესს. აღნიშნული კასკადი საშუალოდ სეზონზე 20-25 მვტ. სიმძლავრით ფუნქციონირებს.

თბოელექტროსადგურები:

თბილსრესი - დადგმული სიმძლავრე-1200 მვტ. ამჟამად ფუნქციონირებს N3 და N4 ენერგობლოკები, თითოეული 130-130 მვტ. სიმძლავრით.

მტკვარი ენერგეტიკა - დადგმული სიმძლავრე-600 მვტ. ამჟამად ფუნქციონირებს N9 ენერგობლოკი 270 მვტ. სიმძლავრით.

აირტურბინული ელექტროსადგური - დადგმული სიმძლავრე-110 მვტ. დამონტაჟებულია ორი აირტურბინა, თითოეული 55 მვტ. სიმძლავრით. ორივე აირტურბინა ფუნქციონირებს.

## პირდაპირი მომხმარებლები

ენერგოსისტემის პირდაპირ მომხმარებლებს წარმოადგენენ: ფეროშენადნობთა ქარხანა - 95-მვტ-ი; აზოტის ქარხანა - 33-მვტ-ი; რუსთავცემენტი - 9-მვტ-ი; კასპიცემენტი - 9-მვტ-ით; ჭიათურმანგანუმი - 7-მვტ-ი; ფოთის პორტი - 2-მვტ-ი; მეტალურგიული ქარხანა - 2-მვტ-ი; მადნეულის კომბინატი - 7-მვტ-ი.

## დანაკარგები და ამოღების მაჩვენებლები

კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ტექნიკური დანაკარგები ქსელში ძაბვების მიხედვით ასე გამოიყურება: 500-220 კვ-ის ქსელში არ აღემატება 1,5 პროცენტს. 110-35 კვ-ის ქსელში 1,7-1,8 პროცენტს. 110-35 კვ-ის ქსელში 1,7-1,8 პროცენტს. 10-6 კვ-ის ქსელში 3,7-4,1 პროცენტს. 0,4 კვ-ის ქსელში 5,3-5,6 პროცენტს.

ხოლო კომერციული დანაკარგები ელექტროგამანაწილებელ ქსელში შემდეგია:

2003 წელს - 30 პროცენტი; 2004 წელს - 30 პროცენტი; 2005 წელს - 26 პროცენტი. ამოღების მაჩვენებლები 2003 წელს 38 პროცენტს შეადგენდა, 2004 წელს - 45 პროცენტს, 2005 წელს კი - 66 პროცენტს.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სესბ) ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2005 წელს პირდაპირი მომხმარებლების მიერ გადახდილი თანხების ზრდის ტენდენცია აღინიშნებოდა. თუმცა ამის მიუხედავად, სესბის წევრთა ერთობლივ სპეციალურ ანგარიშზე აკუმულირებული თანხების ჯამურმა მაჩვენებელმა, სუბსიდიების გამოკლებით, 2004 წელთან შედარებით, 5.6 მილიონი ლარით ნაკლები შედგინა, რაც 7.3-პროცენტიან კლებას წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ გასულ წელს გამანაწილებელი კომპანიების მიერ მათი მომხმარებლიდან თანხების ამოღების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა მოსალოდნელზე მეტი მოცულობის იმპორტის განხორციელებამ და აღრიცხვიანობის მოწესრიგების სამუშაოების წარმოებამ, რასაც კანონმდებლობაში საგადასახადო ცვლილებები დაერთო, გამოიწვია ის, რომ გამანაწილებელი კომპანიების მიერ ქვეყნის შიდა რესურსებით გამომუშავებულ და სესბის მეშვეობით შესყიდულ ელექტროენერგიასა და მომსახურებაში გადახდილი თანხა, წინა წელთან შედარებით, შემცირდა.

**"აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადაუხდელობამ, ასევე გამანაწილებელი კომპანიების (თელასის გარდა) მიერ შესყიდული ელექტროენერგიის საფასურის არასრულმა გადახდამ, რასაც თან დაერთო თანხების დაბალი ამ-**



**ოღების მაჩვენებელი და ტარიფის ისეთი განაკვეთი, რომელიც გაწეული ხარჯების კომპენსირებას ვერ ახდენს, ვალის მოცულობის დაახლოებით 21-პროცენტიანი ზრდა გამოიწვია. ეს პრობლემა გადაუდებელ მოგვარებას საჭიროებს, რათა სექტორის განვითარება არ შეფერხდეს,"** - ვკითხულობთ სესბის გასული წლის ანგარიშში.

2005 წელს რამდენიმე მსხვილი ელექტროენერგიის მყიდველი ორგანიზაციების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნა. შედეგად, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ინფორმაციით, არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ სესბის გამყიდველების მიმართ არსებული ელექტროენერგიის დავალიანების სრულად დაფარვა ვერ მოხდება. გარდა ამისა, მათივე განცხადებით, გაკოტრების რეჟიმში არსებული საწარმოებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების გაგრძელება გარკვეულ რისკს უკავშირდება.

## რეაბილიტაცია ელექტროსადგურებსა და გამანაწილებელ ქსელში

**"საქართველოს ენერგოსისტემის საიმედო ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ელექტროსადგურებისა და გამანაწილებელი ქსელის საიმედო მუშაობაზე. 2003-2004 წლებში ენერგოსექტორის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი მცირე თანხები, მეზობელ ქვეყნებთან დაურეგულირებელი ურთიერთობები, დაზიანებული ელექტროსადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები და მოუწესრიგებელი ელექტროენერგიის მოხმარების აღრიცხვიანობა უდიდეს პრობლემებს ქმნიდა დედაქალაქისა თუ საქართველოს სხვა ქალაქებისა და სოფლების ელექტროენერგიით მომარაგებაში,"** - განუცხადეს "24 საათს" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში. აღნიშნული პრობლემების მოგვარება კი, მათივე თქმით, ენერგოსექტორში მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯების გარეშე შეუძლებელი იყო.

სამინისტროს ინფორმაციით, ამ მხრივ 2005-2006 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სარეაბილიტაციო სამუშაოთა შესასრულებლად, შესაბამისად, 44 და 42 მილიონი ლარი გამოიყო. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ქვეყნის მთავარი ენერგეტიკოსების მონაცემებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები, ენგურჰესის აგრეგატების გარდა, საშუალო და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებზეც მიმდინარეობს. კერძოდ, აღდგენილია და ფუნქციონირებს თბილსრესის N3 და N4 ენერგობლოკები, მტკვარი ენერგეტიკას N9 ენერგობლოკი, გარდაბანში, თბილსრესის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა ახალი, აირტურბინული თბოელექტროსადგური. **"აღნიშნული ღონისძიებებით აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, გარდაბნის რეგიონში 650 მვტ. ბაზისური სიმძლავრეა მობილიზებული,"** - დასძინეს ენერგეტიკის სამინისტროში.

სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგ ჰიდროელექტროსადგურებში მიმდინარეობს: ვარნილჰესში, გუმათჰესების კასკადში, შაორჰესში, რიონჰესში, ძევრულჰესში, აღდგენითი სამუშაოები უკვე შესრულდა ვარციხეჰესების კასკადში. **"სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით გაგრძელდა 2003 წელს შეჩერებული ლაჯანურჰესისა და ხრამჰესის რეაბილიტაცია, რომლის დამთავრების შემდეგ, მიმდინარე წელს აღვადგენთ 220 მვტ. სიმძლავრეს,"** - აცხადებენ სამინისტროში და იქვე აღნიშნავენ, რომ საერთო ჯამში, ბოლო ორი წლის განმავლობაში ჰიდროელექტროსადგურების აგრეგატების რეაბილიტაციის შედეგად 550 მვტ. სიმძლავრე იქნება აღდგენილი.

ამასთან, აღდგენითი სამუშაოები შესრულდა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის მიმართულებით. მათ შორის, "კავკასიონის" აღსადგენად. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აღნიშნეს, ზვავსაშიშ მონაკვეთზე, ანძის ნაცვლად, გადამცემი ხაზის დაკიდება კლდეებს შორის გაბმულ ბაგირებზე განხორციელდა, რაც თავისი ხასიათით უნიკალური სამუშაოა, ვინაიდან "კლდეებს შორის მანძილი ერთ კილომეტრს აღემატება და გაბმულ ბაგირებზე 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზია დაკიდებული."

## მდგომარეობა მცირე ჰესებზე

დღეისათვის საქართველოში 200-მდე სხვადასხვა სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურია, რომელთაგან ძალიან მცირე რაოდენობა თუ ფუნქციონირებს. ამასთან, ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ეს ელექტროსადგურები, ძირითადად, პრივატიზებულია და ისინი ქვეყნის ენერგობალანსის შექმნაში არ მონაწილეობენ.

აჭარაში, შუახევის რაიონში და სვანეთში, დალი-კოდორის ხეობაში დასასრულს უახლოვდება 2 მვტ. სიმძლავრის ჩირუხი-სანალია ჰესისა და 250 კვტ. სიმძლავრის ომარიშარა ჰესის მშენებლობა. აღნიშნული მცირე ელექტროსადგურები ელექტროსისტემასთან მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებით იქნება დაკავშირებული.

2004 წელს ყაზბეგიჰესის რეაბილიტაცია განხორციელდა, რის შედეგადაც 600მ კვტ-ი სიმძლავრის აღდგენა მოხერხდა.

## ახალი ობიექტების მშენებლობა

სამინისტროს იფორმაციით, მიმდინარე წელს გამოცხადებულია ინტერესთა გამოხატვა ახალი, მძლავრი და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

ტენდერები ჩატარდება მძლავრი ელექტროსადგურების მშენებლობაზე მდინარე რიონის ჰესების კასკადზე: ნამოხვანჰესის - 250 მვტ, ტვიშიჰესის - 100 მვტ, ჟონეთიჰესის - 100 მვტ, ჰესების კასკადზე მდინარე ხრამზე - 125 მვტ, ფარავანჰესის - 120 მვტ. ასევე, საშუალო სიმძლავრის, ბახვიჰესების კასკადის - 22,3 მვტ, ნენსკრაჰესების კასკადის - 50 მვტ, ჩელთიჰესების კასკადის - 13 მვტ, სხვა მცირე ჰესების მშენებლობაზე, თურქეთთან დამაკავშირებელი 500 კვ. ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობაზე და სხვა.

ამასთან, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნითა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანადგომით ხუდონჰესის წინასაპროექტო გამოკვლევა განხორციელდება, რომელსაც მსოფლიო ბანკი დააფინანსებს.

## რა ხდება ენგურჰესზე?

ენგურჰესის ექსპლუატაცია, მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით, გასული საუკუნის 90-იან წლებიდან დაიწყო. თუმცა აღდგენითი სამუშაოების არარსებობამ ენგურჰესის საიმედო ფუნქციონირებასა და მის უსაფრთხოებაზე უარყოფითად იმოქმედა. შედეგად, ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, მწყობრიდან გამოვიდა და აღარ ფუნქციონირებდა N3 ჰიდროაგრეგატი, ხოლო ტექნიკური გაუმართაობის გამო სხვა აგრეგატებიც ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან. **"არ ფუნქციონირებდა თაღოვანი კაშხლის სადრენაჟო სატუმბი სადგური, დისკური საკეტების მართვის სისტემა. ინტენსიურად მიმდინარეობდა კაშხლის საძირკვლის ზოგიერთი უბნების ეროზია და გამორეცხვა,"** - დასძენენ ენერგეტიკოსები.

სადაწნეო გვირაბის ინსპექტირების შედეგად, 1997 წელს გამოვლინდა უბნები, რომლებიც სასწრაფო გამაგრებასა და რეაბილიტაციის დაწყებას მოითხოვდნენ. ამისთვის პირველი საერთაშორისო ტენდერი 2000 წელს ჩატარდა, თუმცა შემსრულებლების მიერ წამოყენებული პირობებისა და მაღალი ფასის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ანალოგიური შედეგით დამთავრდა 2001-2003 წლებში ჩატარებული სხვა ტენდერებიც. საბოლოოდ, გამარჯვებული მხოლოდ 2004 წელს გამართული ტენდერის შედეგად გამოვლინდა - კონსორციუმი "საქჰიდრო", რომელიც ქართული და უცხოური კომპანიებისგან ს.ს. "საქჰიდროენერგომშენის", ს.ს. "ენერგომონტაჟრემონტისა" და "Boart-Longyear"-ისაგან შედგება.

ენგურჰესის ჰიდროკვანძის სადაწნეო მილსადენისა და თაღოვანი კაშხლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ, ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, 24 მილიონი ლარი და 5 მილიონი დოლარი შეადგინა, საიდანაც სამუშაოთა მიწოდებას 14 მილიონი დოლარით "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" დააფინანსებს.

გასული წლის 24 სექტემბერს ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე 250-ტონიანი ჩამკეტი ფარის ჩაშვება განხორციელდა. ამის საშუალებით, კაშხლის სიღრმისეული წყალსაშვის ხვრელების დაფარვა და ბრტყელი საკეტების შეკეთება გახდა შესაძლებელი, რის შედეგადაც, სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელს 250-300 მლნ. კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკვივალენტი წყლის რაოდენობა დაიზოგა.

მისაყრდენი ფარი დაამზადა და სამონტაჟო სამუშაოები გერმანულმა ფირმამ "DSD-Billinger"-მა შეასრულა, თავად პროექტი "ევროკომისიის" მიერ გამოყოფილი გრანტით (4,7 მილიონი ევრო) იქნა დაფინანსებული.

ენგურჰესის ჰიდროაგრეგატების რეაბილიტაციის პროგრამით, 2006 წლის მარტში დამთავრდა და ექსლოატაციაში შევიდა N3 ჰიდროაგრეგატი (260 მვტ. სიმძლავრით).

ენგურჰესის N3 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაციის გარდა, მომდევნო ორი წლის განმავლობაში N2 და N1 ჰიდროაგრეგატების აღდგენა მოხდება. ამჟამად მიმდინარეობს N2 ჰიდროაგრეგატის რეაბილიტაცია, რომლის დამთავრება მომავალი წლის აპრილშია გათვალისწინებული.

ენგურჰესზე მიმდინარე ყველა სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობას ევრობანკის ტენდერში გამარჯვებული ევროპული საინჟინრო ზედამხედველობის კონსორციუმი აწარმოებს, რომელიც ფრანგული "Electricite de France", შვეიცარული "Stucky"-ითა და "Electrowatt"-ითაა წარმოდგენილი.

## ქართული ენერგეტიკის პერსპექტიული მიმართულებები

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების პერსპექტიული მიმართულებები, ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი, მძლავრი და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების, მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე აირტურბინული ელექტროსადგურების მშენებლობა, ქარის, მზისა და სხვა ალტერნატიული განახლებადი ენერგიების გამოყენებაა.

## ენერგოპრივატიზაცია - გუშინ და დღეს

დღეისათვის პრივატიზებულია: თბოელექტროსადგური-მტკვარი-ენერგეტიკას N9 და N10 ენერგობლოკები (დადგმული სიმძლავრით 600 მვტ), ჰიდროელექტროსადგურები: ბჟუჟაჰესი - 12 მვტ, ჩითახევჰესი - 15 მვტ, სამგორის კასკადის ჰესები და ალაზანჰესი - 40 მვტ, რიცეულაჰესი - 6 მვტ. სიმძლავრით და სხვა მრავალი მცირე ჰესები, რომლებიც, ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, ენერგოსისტემისათვის რაიმე მნიშვნელოვან ნაწილს არ წარმოადგენენ.

მთლიანობაში ექსპერტების შეფასებით, დღემდე ამ კუთხით არსებული გამოცდილება არცთუ სახარბიელოა. ორიოდე სიტყვით ამ გამოცდილების შესახებ:

პრივატიზაცია ენერგოსექტორში პირველად დაახლოებით 11 წლის წინათ, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების გაყიდვებით დაიწყო. "სიონჰესი", "კაბალჰესი", "თეთრიხევჰესი", "ჩითახევჰესი", "რიცეულაჰესი", "მარტყოფჰესი", "საცხენჰესი" - ამ ელექტროსადგურების პრივატიზება 1993-1995 წლებში მოხდა. ჰესების ნაწილი სახელმწიფომ - კონკურსის, ნაწილი კი - პირდაპირი მიყიდვის ფორმით გაყიდა. ერთ შემთხვევაში, 1993 წელს "კაბალჰესზე" აუქციონი გამოცხადდა, რაშიც მყიდველმა 88 ათასი დოლარი გადაიხადა. საერთო თანხა, რაც მაშინ სახელმწიფომ ამ ქონების გაყიდვიდან მიიღო, ნახევარ მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი (!) იყო. ექსპერტების შეფასებით, შვიდივე ჰესი სახელმწიფომ "კაპიკებში გადააგდო", რადგან მაშინ თითოეული ობიექტის საბალანსო ღირებულება სამჯერ და ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე მყიდველის მიერ მათში გადახდილი თანხა. მაგალითად, "მარტყოფჰესი" 1994 წელს, სულ რაღაც, ნახევარ მილიონ კუპონად, მაშინდელი კურსით - 752 დოლარად გაიყიდა. ერთი წლის შემდეგ 22 მილიონ კუპონად (17.312 დოლარი) გაიყიდა "რიცეულჰესი", რომელიც ამბროლაურის რაიონის 12 სოფელს ამარაგებს. იმ პერიოდში ყველაზე ძვირად "ჩითახევჰესი" გაიყიდა - 110 მილიონ კუპონად (160.818 დოლარი).

საინტერესო დეტალი: როგორც "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" "24 საათს" აცნობა, საერთოდ, მთელ ენერგოსექტორში (არა მხოლოდ ელექტროენერგეტიკულში) დღემდე განხორციელებული პრივატიზაციიდან, თუ არ ჩავთვლით თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს, ბიუჯეტში დაახლოებით 10 მილიონი დოლარი შევიდა.

**"შეგახსენებთ - საუბარია, პრაქტიკულად, გარანტირებული მომხმარებლის მქონე ობიექტებზე. ცხადია, რომ მინიმალურ ფასებში ენერგოობიექტების "დათრევა", ძირითადად, "ენერგომამებმა" და მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პერსონებმა მოახერხეს. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი - მიუხედავად სადისტრიბუციო ქსელის მოუწესრიგებლობისა და ტრადიციული "არგადახდებისა", კერძო ჰესების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის საფასური გაცილებით უკეთესად "ანაზღაურებოდა" ხოლმე, ვიდრე სახელწიფოს საკუთრებაში დარჩენილი ჰესების მიერ წარმოებული ელექტროენერგია,"** - განაცხადეს ცენტრში.

ერთადერთი ინვესტიცია, რომელიც ჰიდროენერგეტიკაში ამ წლების მანძილზე ჩაიდო, პანკისის ხეობაში 24-მეგავატიანი "ხადორჰესის" მშენებლობა გახლდათ. თუმცა, იმავე ცენტრის განცხადებით, ჰესის ჩინელმა მშენებლებმა 28 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელების სანაცვლოდ შევარდნაძის ხელისუფლებისგან ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის საკმაოდ მაღალი ტარიფით შესყიდვის გარანტია მიიღეს. შემდეგ ეს გარანტია გახდა კიდეც იმის მიზეზი, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ჰესის ამუშავება რამდენიმე თვით გადაიდო, საბოლოოდ კი, ისევ "გარანტირებული შესყიდვის" შეპირებით, ოღონდ - შედარებით დაბალ ფასში, დასრულდა.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

"დინამო" ავსტრიისთვის იწყებს მზადებას



C2

ფინალი წავაგეთ!



C2

ძმურად გაყრილები



C4

## 360 ათასი გირვანქა რაგბის კავშირს

20 ივნისს 12.00სთ-ზე "სითისი-ს" ოფისში გაიმართება საქართველოს რაგბის კავშირისა და IRB-ის (საერთაშორისო რაგბის საბჭოს) შორის ურთიერთთანამშრომლობის ახალ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცერემონია.

ცერემონიაზე IRB-ის მხარეს წარმოადგენს ბრუს კუკი (IRB-ის განვითარების მენეჯერი). სრკ-ს მხრიდან იქნებიან: მ.ანთაძე (პრეზიდენტი), ი.ხუციშვილი (აღმასრულებელი დირექტორი), ი.გვენეტაძე (სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარე).

ცერემონიას დაესწრებიან: გოკა გაბაშვილი, დავით ნამგალაური;

აგრეთვე კალათბურთის, ძიუდოს, ფრენბურთის, ჩოგბურთის და ფარიკაობის ფედერაციების ხელმძღვანელობა.

ხელმოსაწერი დოკუმენტის შინაარსი შემდეგია: IRB სამი წლის განმავლობაში, სრკ-ს 360 ათას გირვანქას გამოუყოფს. ეს თანხა სანაკრებო რაგბის განვითარებასა და სარაგბო აკადემიის მოწყობას უნდა მოხმარდეს.

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის თებერვლის დასაწყისში საქართველოს რაგბის კავშირში IRB-ს სპეციალურმა კომისიამ (ბრუს კუკი, ელიტარული რაგბის კონსულტანტი დენიელ კოლინზი და ევროპული რაგბის განვითარების მენეჯერი პიერ ვილპრე) ფინანსური და ადმინისტრაციული რევიზია ჩაატარა. მათ დაწვრილებით შეისწავლეს საქართველოში რაგბის განვითარების პერსპექტივები და რაგბის კავშირის ხედვა და ამ მიმართულების სტრატეგიული გეგმები. განსაკუთრებული განხილვის საგანი "სითისი-ს" კონსულტაციებზე დაყრდნობით სრკ-ს მიერ შემუშავებული ოთხწლიანი სტრატეგიული გეგმა გახლდათ. ეს გეგმა და IRB-ს მიერ გამოგზავნილი 120 პუნქტიანი კითხვარი 2005 წლის დასაწყისში გადაიგზავნა IRB-ში. ამ დოკუმენტებზე და რევიზიის შედეგებზე IRB-ში იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ საქართველოს რაგბის კავშირის ანგარიშზე, სანაკრებო რაგბის განვითარებისთვის სამი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად 120000 გირვანქა გადმოერიცხათ.

ანალოგიური სახის შემოწმება IRB-მ სხვა რაგბის კავშირებშიც ჩაატარა, შედეგად პორტუგალიას ჩვენდენი დაფინანსება ერგო, ტუნისს წელიწადში 80 ათასი, ხოლო რუსებს ერთჯერადად 40 ათასი.

ცერემონიაზე დამსწრეებს ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეები გააცნობენ ხელშეკრულების შინაარსს, საქართველოში რაგბის განვითარების პერსპექტივებს და შემდგომში დაგეგმილ საქმიანობებს.

## მარადონა 120 დოლარით დაჯარიმდა

ლეგენდარული არგენტინელი დიეგო არმანდო მარადონა გერმანელმა პოლიციელებმა სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააჯარიმეს.

მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი კუთვნილი "ფოლქსვაგენით" 140 კმ/სთ სიჩქარით მიექანებოდა მაშინ, როდესაც გზაზე აღდგენითი სამუშაოები ტარდებოდა და მოძრაობა მხოლოდ 80 კმ/სთ სიჩქარით იყო დაშვებული.

წესების დამრღვევ მარადონას მხოლოდ და მხოლოდ 120 ამერიკული დოლარის გადახდა მოუწია.

ცნობისათვის: მსოფლიო ჩემპიონატზე მარადონა კომენტატორის რანგშიც იმყოფება. არგენტინელს ერთ-ერთი ესპანური არხისთვის მიჰყავს თამაშები.

## პირველი მსხვერპლი

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ მუნდიალის ორგკომიტეტის ხელმძღვანელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდ მოგებას ვარაუდობდა. ასეა თუ ისე, ეს ოდენ ტურნირის დასრულების შემდეგ გაირკვევა. მოგების დათვლას არცთუ ისე ცოტა დრო დასჭირდება, თუმცა მანამდე ცნობილი გახდა პირველი ეკონომიკური "მსხვერპლის" შესახებ. ეს ჩემპიონატის ოფიციალური თილისმა - ლომი გოლეო - გამოდგა, რომელმაც ვერც გერმანელთა და ვერც სხვა ქვეყნის გულშემატკივართა გულები ვერ დაიპყრო. ყველასთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ფეხბურთის ქომაგები მას ზედაც არ უყურებენ და იშვიათად ყიდულობენ.

გოლეოს მწარმოებელმა კომპანია "Nici AG"-იმ კი თავი უკვე გაკონტრებულად გამოაცხადა.

## ბრაზილიელ ფოტოგრაფებს შეძახილები ძვირად დაუჯდათ

კენინგშტაინში ბრაზილიელთა ვარჯიშის საყურებლად შეკრებილი ოთხასამდე ჟურნალისტი და ფოტორეპორტიოტი ფეხბურთელთა მხრიდან პრესასთან "არატრადიციული" მოპყრობის მოწმენი გახდნენ.

სელესაოს მოთამაშეების რობინიოს, რობერტო კარლოსისა და კიდევ რამდენიმე მათგანის უკმაყოფილება თანამემამულე ფოტოგრაფების შეძახილებმა გამოიწვია. რომლებიც სავარაუდოდ ფეხბურთელებს არცთუ სასიამოვნო სიტყვებით ამკობდნენ. კამათი ბრაზილიელებს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. ბევრი ითმინა თუ ცოტა, ველარ მოითმინა და რობინიომ... ერთ-ერთ ფოტოგრაფს თავში ბურთი სთხლიშა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელმა რეაგირება ველარ მოახერხა და ნოკდაუნის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

## ადრიანო მამა გახდა

მსოფლიო ჩემპიონატზე მოთამაშე ბრაზილიელ ადრიანოს გერმანიაში ყოფნისას აცნობეს, რომ რიო დე ჟანეიროში მყოფ მის მეუღლეს ბიჭი შეეძინა.

ახალშობილს ადრიანო-ჯუნიორი (უმცროსი) დაარქვეს. ბავშვის დედა, ბრაზილიელი დანიელა ფეხბურთელმა გასულ წელს რიო დე ჟანეიროში ყოფნისას გაიცნო.

ბრაზილიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, ბავშვის შეძენა ადრიანოს უფრო ძლიერად თამაშს შთააგონებს.

# როდის დაიწყებს თამაშს ბრაზილია?



ბრაზილია ჯგუფში პირველია.

გულშემატკივრებს, რომლებიც გერმანიაში ბრაზილიური სამბას ხილვას ელიან, მოცდა მოუწევთ. პენტაკამპიონებმა მეორე მატჩი გამართეს ტურნირზე და კვლავ ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი. გუნდი, რომელიც მუნდიალის დაწყების წინ ჩემპიონატის უპირობო ფავორიტად იყო შერაცხული, ცოტა არ იყოს, მასზე გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებს.

რა თქმა უნდა, არსებობს იმის შანსი, რომ ბრაზილიის ნაკრები ძალებს გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ზოგავს და პირველი ორი მატჩი ძალების მინიმალური ხარჯით მოიგო, თუმცა ორივე შემთხვევაში ბრაზილიის ნაკრებმა ბეწვის ხიდზე გაირა. ავსტრალიის ნაკრებს აშკარად ჰქონდა ანგარიშის გათანაბრებისა და თამაშის გადარჩენის შანსი.

ერთი რამ ცხადია, ანალოგიური თამაშით ბრაზილიას მერვედფინალში ძალიან გაუჭირდება. ჯერჯერობით პენტაკამპიონებს სერიოზული მეტოქე არ ჰყოლიათ და მატჩებს რის ვაივაგლახით იგებენ და თუ პარეირას გუნდმა თამაშს არ უმატა, ბრაზილიელთა უძლეველობის მითი მალევე დაიმსხვრევა.

თუმცა ბრაზილიელთა თამაშში გარკვეული პოზიტივიც შეიმჩნევა. მაგალითისთვის, რონალდო პირველ თამაშთან შედარებით გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და პირველი გოლიც სწორედ მისი წყალობით გავიდა. თამაშს ადრიანომაც უმატა. აი ბრაზილიელთა მთავარი იმედი რონალდინიო კი კვლავაც ჩრდილშია. ჯერჯერობით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ბევრს ვერაფერს აკეთებს და თუ ავსტრალიის ნაკრების დაცვამ შეძლო მისი ნეიტრალიზება, წარმოიდგინეთ რას იზამენ იტალიელები ან ინგლისელები.

ასეა თუ ისე, ბრაზილიამ მაინც მოიგო. ანგარიში საკმაოდ სოლიდურია, ბრაზილიელთა თამაში კი არა. კარლოს ალბერტო პარეირას გუნდმა უკვე გაინაღდა ჯგუფში პირველი ადგილი და ახლა ალბათ მხოლოდ მერვედფინალზე ფიქრობს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე ბრაზილიელები მესამე ტურში მარცხის შემთხვევაშიც კი ინარჩუნებენ ჯგუფში პირველ ადგილს. რაც შეეხება გუუს ჰიდინკის ავსტრალიელებს, ამ გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ბოლო ტურში მერვედფინალის საგზურისთვისაც იბრძოლებს.

### ბრაზილია - ავსტრალია 2:0

**გოლები: 1:0 ადრიანო (49), 2:0 ფრედი (89)**
**გაფრთხილება:** კაფუ, რონალდო, რობინიო - ემერტონი, კულინა
**ბრაზილია:** დიდა, კაფუ, ლუსიო, ჟუანი, რობერტო კარლოსი, ემერსონი (ჟილბერტო სილვა 72), ზე რობერტო, კაკა, რონალდო (რობინიო 72), ადრიანო (ფრედი 88)
**მწვრთნელი:** კარლოს ალებრტო პარეირა
**ავსტრალია:** შვარცერი, ნეილი, მური (ალოიზი 69), პოპოვიჩი (ბრეშიანო 41), ჩიპერფილდი, კულინა, ემერტონი, გრელა, სტეროვსკი, კეჰილი (კიუელი 56), ვიდუკა
**მწვრთნელი:** გუუს ჰიდინკი
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)
**6 კარში დარტყმა 4**
**16 კარისკენ დარტყმა 14**
**9 ჯარიმა 25**
**7 კუთხური 4**
**5 თამაშგარე 1**
**54% ბურთის ფლობა 46%**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ზე რობერტო (ბრაზილია)

## თემურ მახარაძე: "გერმანია კორეა-იაპონია არ არის"

მიხეილ აბაიშვილი

"24 საათთან" გაკეთებულ წინა კომენტარში აღვნიშნე, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მეორე ტურიდან დაიწყებოდა და არც შევმცდარვარ. გუნდები თანდათან ავლენენ საკუთარ რეალურ ძალას და შესაძლებლობებს.

დავიწყებ "ა" ჯგუფით. აქ უკვე პრაქტიკულად ყველაფერი გაირკვა. ერთგვარი სიურპრიზი იყო ეკვადორის ნაკრების ბრწყინვალე თამაში. ეკვადორელებს შესარჩევ ტურნირში თვით ბრაზილია და არგენტინა ჰყავდათ დამარცხებული. თუმცა, ერთია შესარჩევი ტურნირი და მეორე - მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. ამ გუნდმა ღირსეულად ითამაშა, პირველ რიგში, პოლონეთთან კონკურენციაში და ვადამდე, დამსახურებულად მოიპოვა მერვედფინალის საგზური. რაც შეეხებათ პოლონელებს, მათ მასპინძლებთან ბრწყინვალე მატჩი ჩაატარეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გერმანელთა დასაძლევად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გერმანია ადასტურებს ფავორიტის სტატუსს და ეს გუნდი შორს წავა.

ანალოგიურის თქმა მიჭირს ინგლისზე. ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლები ჯერ ვერ ამართლებენ იმ იმედებს, რასაც ამ გუნდზე ამყარებდნენ ფეხბურთის სპეციალისტები. პატარა, უსახელო ტრინიდადთან მხოლოდ მატჩის მიწურულს მოგება იმაზე მეტყველებს, რომ ინგლისს სერიოზული პრობლემები აქვს. ერთ მომენტს აღვნიშნავ - უეინ რუნის შემოსვლამ სულ სხვა ძალა შთაბერა ამ გუნდს, ინგლისი სხვა შემართებით, დამატებითი სისწრაფეებით ათამაშდა და გამარჯვების მოპოვებაც შეძლო. ძალზე საინტერესო იქნება, რას შესთავაზებს ინგლისი მესამე ტურში თავის ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქეს - შვედეთს. ამ გუნდთან ბრიტანელებს ტრადიციულად უჭირთ თამაში. ინგლისი უკვე მერვედფინალშია, შვედებს კი ეს პატივი ჯერ განაღდებული არ აქვთ. ამდენად, სერიოზული დაპირისპირების მომსწრენი გავხდებით. მით უმეტეს, რომ ჯგუფში ადგილების განაწილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე ადგილოსანი, სავარაუდოდ, გერმანიის ნაკრებს შეხვდება და ეს სასურველი არც ერთი გუნდისთვის არ არის.

ასევე ყველაფერია გადაწყვეტილი "სიკვდილის ჯგუფად" შერაცხულ "ც" ჯგუფში. არგენტინამ ფანტასტიური ფეიერვერკი მოაწყო და მართლაც საჩემპიონო თამაშის დემონსტრირება მოახდინა. ექვსი გოლი გაუტანო გუნდს, რომელმაც ევროპის ზონის შესარჩევ ტურნირში 14 თამაშში მხოლოდ ერთი გოლი მიიღო, ძალზე ბევრს ნიშნავს. არგენტინას ბრწყინვალე მწვრთნელი ჰყავს პეკერმანის სახით. ეს სპეციალისტი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ქვეყნის სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდულ ნაკრებებს და სამი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული აქვს მოგებული. ის გუნდები სწრაფ, შემტევ და ძალზე შედეგიან ფეხბურთს თამაშობდნენ და პეკერმანმა ეს ეროვნულ ნაკრებშიც "გადაიტანა". და მაინც, არგენტინის რეალურ ძალაზე მხოლოდ ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ შეგვეძლება საუბარი. თან, ეს მეტად პრინციპული თამაში იქნება. ჯერ ერთი ბოლო პერიოდში ეს გუნდები სულ გადამწყვეტ ეტაპზე ხვდებიან ერთმანეთს. ამას გარდა, მეორე ადგილის აცილება სჭირდება როგორც არგენტინას, ისევე ჰოლანდიას, რათა მერვედფინალში პორტუგალიას არ შეხვდნენ.

განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო აშშ-ს ნაკრები. ამ გუნდმა გააკეთა ის, რაც ასე ძალიან გვაკლია ქართველებს. მსაჯზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ 9 კაცით აშშ-მ ნამდვილი სასწაული მოახდინა და არა თუ თანაბრად ეთამაშა მსოფლიო ფეხბურთის გრანდს და აღიარებულ ფავორიტს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ჯაბნიდა კიდეც. ამერიკელებმა ნამდვილი ვაჟკაცური თვისებები გამოავლინეს, რაც ძალზე დასაფასებელია. თუ ქართველებმა ანალოგიური არ ვისწავლეთ, ვერც ტოპმიოლერი გვიშველის და ვერც სხვა ვერავინ.

ამ ჯგუფში კიდევ საინტერესო დაპირისპირებები გველის. დიდ სიურპრიზს ველი განას ნაკრებისგან. ჯერ არც ერთ გუნდს არ აქვს დაკარგული შანსი და ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება.

ასევე, ჯერ ვერ ამართლებს მოლოდინს ბრაზილიის ეროვნული გუნდი. პირველი თამაშის არ იყოს, ბრაზილიამ ვერც ამჯერად დატოვა ისეთი გუნდის შთაბეჭდილება, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას შეძლებს. სამხრეთამერიკელებმა ავსტრალიასთან არცთუ დამაჯერებლად ითამაშეს და ავსტრალიელებს რომ გამართლებოდათ, მატჩი სულ სხვა შედეგით დასრულდებოდა. ერთი რამ არის ანგარიშგასაწევი: ორივე თამაში ბრაზილიამ ცუდად, საკუთარ შესაძლებლობებზე გაცილებით დაბალ დონეზე ჩაატარა და ასპროცენტიან შედეგს მიაღწია. ეს გუნდი აუცილებლად მოუმატებს. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ჩემპიონატი არა კორეა-იაპონიაში, არამედ, გერმანიაში, ანუ ევროპაში მიმდინარეობს. ამ კონტინენტზე კი, ტიტულის მოსაპოვებლად, ბრაზილიას საკუთარ თავზე მაღლა ახტომა ესაჭიროება. ეს თუ არ გაითვალისწინეს, ახალი მსოფლიო ჩემპიონი გვეყოლება.

აუცილებლად შევეხები ესპანეთის ნაკრებს. ამ ქვეყანას ყოველთვის ჰყავდა მსოფლიო დონის ვარსკვლავები, მაგრამ ძლიერი ნაკრების გამოყვანას მსოფლიო ჩემპიონატზე ვერასდროს ახერხებდა. დღეს ესპანელთას მიმართ ბევრი სკეპტიკურად არის განწყობილი. თან, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ორგანიზებული და ანგარიშგასაწევი უკრაინა 4:0 დაამარცხეს. რატომღაც მგონია, რომ ესპანეთმა ამჯერად მაინც უნდა გატეხოს ნავსი და მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. აი უკრაინა კი, რომელიც შესარჩევში საქართველოსთან ერთად იყო, ალბათ ჯგუფიდან გასვლისთვის რეალურად იბრძოლებს. ეს გუნდი ჩვენს შესარჩევ ქვეჯგუფში ფავორიტთა შორის გამორჩეული ნამდვილად არ იყო. თუმცა, ქულების მაქსიმუმი დააგროვა და პირველ ადგილზე გავიდა. ვფიქრობ, უკრაინას საკმაოდ ხელეწიფება ტუნისის და საუდის არაბეთის წინააღმდეგ წარმატებული თამაში, რაც მერვედფინალის საგზურს მოუტანს."

## ფინალი წავაგეთ!

საქართველო - საფრანგეთი 26:19

გუშინ დასრულდა შვიდკაცა რაგბის სერიის მატჩები რაგბიში, რომელსაც საქართველო უკვე მეოთხედ მასპინძლობდა. საქართველოს ნაკრები ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. ბოლო წლების განმავლობაში გუნდი თბილისის სერიას მუდმივად იგებდა და ბუნებრივია, რომ ახლაც პირველობისთვის იბრძოდა.

ქართველმა მორაგბეებმა ტურნირი კარგად დაიწყეს. მათ ჯგუფში ზედიზედ დაამარცხეს უკრაინის - 19:0, აზერბაიჯანის - 40:0 და რუსეთის გუნდები - 5:0. რაც შეეხება ჯგუფში ჩვენი გუნდის კიდევ ერთ მეტოქე ბულგარეთს ის თბილისში არ ჩამოვიდა. ჩვენებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ტურნირის ფინალში გავიდნენ, სადაც მათ საფრანგეთის საკმაოდ სიმპათიური და ძლიერი გუნდი ელოდა.

თავის ჯგუფში ფრანგებმაც შთამბეჭდავ შედეგს მიაღწიეს. დაამარცხეს ყველა მეტოქე და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

აბუსერიძის ლელომ ოქროს მედლები ვერ მოგვიტანა.

ფინალური შეხვედრა უაღრესად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ჩვენი მორაგბეები ცდილობდნენ სწრაფად ეთამაშათ და უპირატესობა მოეპოვებინათ, მაგრამ სამწუხაროდ ამის გაკეთება ვერ მოახერხეს. პირიქით კი მოხდა. ფრანგებმა ისარგებლეს დაცვაში საქართველოს ნაკრების რამდენიმე მიუტევებელი შეცდომით და, საბოლოო ჯამში, გამარჯვებასაც მიაღწიეს - 26:19.

ამრიგად წელს მხოლოდ ვერცხლის მედლები გვერგო. თუმცა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოგვეპოვებინა, რომელიც მოსკოვში ერთ თვეში დაიწყება. თბილისის შვიდკაცაზე კი მესამე ადგილი რუსმა მორაგბეებმა დაიკავეს, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში შანსი არ დაუტოვეს გერმანელებს - 41:0.

## "დინამო" ავსტრიისთვის იწყებს მზადებას

კილიკია (სომხეთი) - დინამო (საქართველო) 1:5

მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება გერმანიის მინდვრებისკენაა მიპყრობილი ევროპულ საფეხბურთო პროვინციაში ინტერტოტოს თასის გათამაშება დაიწყო. სამწუხაროდ დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართული კლუბები სწორედ ევროპულ პროვინციას განეკუთვნებიან, როგორც გეოგრაფიულად ისე საკუთვარი მიღწევებითაც.

ევროტურნირებში პირველი თბილისის "დინამო" ჩაერთო და ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის პირველი მატჩი გამართა სომხეთში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი სომხურ "კილიკას" დაუპირისპირდა და როგორც მოსალოდნელი იყო მატჩი ჩვენებურების დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. სანამ თავად შეხვედრის პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, გეტყვით ერთს. "დინამოში" გასულ სეზონთან შედარებით, გარკვეული ცვლილებები მოხდა, კერძოდ მწვრთნელის პოსტზე დროებით კახა კაჭარავა მუშაობს. გუნდი კი კიდევ ერთი ლეგიონერით ტორნინით გაძლიერდა.

სომხეთში გამართული მატჩი მთლიანად ქართველი ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა. დინამოელებს ანგარიშის გახსნა მეხუთე წუთზე შეეძლოთ, როდესაც ტორნინის გადაცემის შემდეგ ჯაბა დვალმა სომეხთა კარის ძელის სიმტკიცე მოსინჯა. მასპინძლები მხოლოდ 36-ე წუთამდე გაუძალიანდნენ თბილისელ ფეხბურთელებს, 36-ე წუთზე კი ტორნინმა მეტოქის საჯარიმოში თავბრუ დაახვია სომეხ მცველებს და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. კიდევ ორ წუთში დვალმა ისარგებლა მასპინძელთა გუნდის მცველების დაუდევრობით და ანგარიში 2:0 გახადა, მართალია სომხებმა პირველივე ტაიმში გაქვითეს ერთი ბურთი, მაგრამ ეს უფრო შემთხვევითობა იყო.



"დინამომ" ნაყოფიერი შეკრება გაიარა.

მეორე ტაიმში თბილისური გუნდის უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. 58-ე წუთზე დვალმა თავური დარტყმით დუბლი შეასრულა. დინამოელები ამას არ დასჯერდნენ და 72-ე წუთზე ხუციშვილმა დვალის პასით ანგარიში 4:1 გახადა. მატჩს კი საბოლოო წერტილი ბობოხიძემ დაუსვა, რომელმაც ახლო მანძილიდან დალაშქრა კარი და მასპინძელთა განადგურება დააფიქსირა.

განმეორებითი მატჩი ერთ კვირაში თბილისში გაიმართება. ცხადია, საოცრებას არავინ ელის და "დინამომ" უპრობლემოდ უნდა მოიპოვოს მეორე ეტაპის საგზური, სადაც უკვე გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება. როგორც იცით, თბილისელებს ავსტრიული კლუბი უნდა დაუპირისპირდეს. სომხებთან მატჩი კი ავსტრიული დაპირისპირების რეპეტიციად უნდა მივიჩნიოთ.

**კილიკია:** კირაკოსიანი, ალექსანიანი, ბაღდასარიანი, მოსკანიანი, ბახოიანი (მოვსესიანი 64), ს.ერზრუმიანი, ნ.ერზრუმიანი (ჰაკობიანი 54), ვარდანიანი, ზაქარიანი, ნაზარიანი, ჰოვშიმიანი
**დინამო:** ლორია, შ.კაშია, ორბელაძე, გრიგალაშვილი (ჩირიკაშვილი 68), გიგაური, მერებაშვილი, კობახიძე, ამბროზიო, ტორნინი (ბობოხიძე 58), ხუციშვილი, დვალი (ჯანაშია 76)
**გოლები:** 0:1 ტორნინი (36), 0:2 დვალი (38), 1:2 ნ.ერზრუმიანი (42), 1:3 დვალი (58), 1:4 ხუციშვილი (72), 1:5 ბობოხიძე (90)
**გაფრთხილება:** ალექსანიანი - გიგაური, კაშია, ხუციშვილი, ტორნინი.

## აფრიკის დროც დადგა



ასე ზეიმობენ განელები.

**ჩეხეთი - განა 0:2**

**გოლები:** ასამოა გიანი (2), 0:2 მუნტარი (82)
**გაფრთხილება:** ლოკვენცი - ოტო ადო, ესიენი, ასამოა გიანი, ბოატენგი, მუნტარი, მუჰამედი
**გაძევება:** უიფალუში (65)
**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი, გალაშეკი (პოლაკი 46), პობორსკი (შტაინერი 55), როსიცკი, ნედვედი, პლაშილი (სიონკო 68)
**მწვრთნელი:** კარელ ბრუკნერი
**განა:** კინგსტონი, პანტცლი, მენზაჰი, მუჰამედი, ილიასუ, ოტო ადო (ბოატენგი 46), აპია, ესიენი, მუნტარი, მეტიუ ამოა (ერიკ ადო 80), ასამოა გიანი (პიმპონგი 85)
**მწვრთნელი:** რატომირ ჯუკიჩი
**მსაჯი:** ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)
**4 კარში დარტყმა 8**
**14 კარისკენ დარტყმა 20**
**16 ჯარიმა 22**
**6 კუთხური 7**
**4 თამაშგარე 10**
**50% ბურთის ფლობა 50%**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** მიკაელ ესიენი

ბოლო რამდენიმე მსოფლიოს ჩემპიონატმა უკვე შეგვაჩვია, რომ რომელიმე აფრიკული გუნდი აუცილებლად გადის მერვედფინალურ ეტაპზე. თუმცა გერმანული მუნდიალი ისე დაიწყო, რომ ბევრი შავი კონტინენტის გუნდებს სრულ ფიასკოს უწინასწარმეტყველებდა. აფრიკული ფეხბურთის პრესტიჟი განის ნაკრებმა დაიცვა.

ალბათ, ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ ჩეხეთის ნაკრები, რომელმაც ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრაში ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა, განელთა მსხვერპლად იქცეოდა, კარელ ბრუკნერი გუნდმა ყოვლად უსუსური და ულიმლამო ფეხბურთი ითამაშა და რომ არა მეკარე პეტრ ჩეხის ოსტატობა განელები მატჩს საკმაოდ დიდი ანგარიშითაც მოიგებდნენ.

ჩეხების უბედურება მატჩის დებიუტშივე დაიწყო, როდესაც მეორე წუთზე ასამოა გიანმა ანგარიში გახსნა, ზოგს ეს შემთხვევითობა მოეჩვენა, თუმცა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაგვანახა, რომ განს უკეთესი ნაკრები ჰყავს ვიდრე ჩეხეთს.

აფრიკელებმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე. მართალია, ჩეხებს ერთი გასამართლებელი საბუთი აქვთ, ბოლოს და ბოლოს, ბრუკნერის გუნდი მინდორზე ფაქტობრივად ფორვარდის გარეშე გავიდა, მაგრამ ასეთი უსუსური თამაში ალბათ მაინც დაუშვებელია.

განას ნაკრები კი ამ გამარჯვებასაც იმსახურებდა და შემდეგ ეტაპზე გასვლასაც. საერთოდ ამ ჯგუფში ვითარება იმდენად დაძაბულია, რომ ყველაფერი ბოლო ტურში უნდა გადაწყდეს, რაც გულშემატკივრისთვის ალბათ უკეთესიცაა, თორემ ზოგიერთ ჯგუფში ბოლო მესამე ტურის მატჩებს არანაირი სატურნირო მნიშვნელობა არ აქვს და შესაძლოა, ფეხბურთი უბრალოდ ბურთის გორაობად იქცეს.

განას ნაკრებს კი შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი აქვს, თუ ბოლო ტურში აფრიკელებმა აშშ-ს ნაკრებს სძლიეს, მათ მერვედფინალში ადგილი უკვე გარანტირებული ექნებათ.

რაც შეეხება ჩეხეთის ნაკრებს, ამ მარცხით ბრუკნერის გუნდმა საოცრად გაირთულა მდგომარეობა. ბოლო ტურში ჩეხები იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან და მერვედფინალში გასასვლელად ლიპის გუნდის დამარცხება იქნება საჭირო.

# იაპონია არ ნებდება




*იაპონელებმა ხორვატებს არაფერი დაუთმეს.*

**იაპონია - ხორვატია 0:0**

**გართხილება:** მიამოტო, კავაგუჩი, ალექსი - რობერტ კოვაჩი, სრნა
**იაპონია:** კავაგუჩი, კაჯი, მიამოტო, ნაკამურა, ოგასავარა, ნაკატა, ფუკუნიში (ინამოტო 46), ნაკამურა, ალექსი, იანაგისავა (ცობუ 62), ტაკაჰარა (ოგურო 85)
**მწვრთნელი:** ზიკო
**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, რობერტ კოვაჩი, შიმუნიჩი, სრნა (ბოსნიაკი 87), ტუდორი (ოლიჩი 70), კრანჩარი (მოდრიჩი 78), ნიკო კოვაჩი, ბაბიჩი, პრშო, კლასნიჩი
**მწვრთნელი:** ზლატკო კრანჩარი
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
**5 კარში დარტყმა 6**
**12 კარისკენ დარტყმა 16**
**19 ჯარიმა 18**
**5 კუთხური 11**
**1 თამაშგარე 6**
**56% ბურთის ფლობა 46%**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ჰიდეტოში ნაკატა

შაბათს დაწყებული სენსაციები კვირას გაგრძელდა. ხორვატიის ნაკრებმა ვერაფერი მოუხერხა იაპონიის ეროვნულ გუნდს და მეტად რთულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. ზლატკო კრანჩარის შეგირდებმა ვერცერთი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს მიუხედავად უდიდესი სათამაშო უპირატესობისა ხორვატებმა ვერ შეძლეს კავაგუჩის კარის დალაშქვრა. ის კი არა და, ევროპელებმა პენალტიც კი ვერ გამოიყენეს.

მატჩი ხორვატების სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა კრანჩარის დამოძღვრილ გუნდს თითქოს რაღაც აკლდა. ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელები აშკარად ოდნავ ნელა თამაშობდნენ და ცოტა არ იყოს გადაღლილებიც ჩანდნენ. ერთ დეტალზე გავამახვილებთ თქვენს ღურადღებას. მუნდიალის დაწყებამდე კრანჩარმა განაცხადა ბრაზილიასთან თამაშს ჩემი გუნდისთვის მნიშვნელობა არ აქვსო. ჩვენთვის მთავარი მომდევნო ორი შეხვედრის მოგება იქნებაო. ლოგიკურად, რა თქმა უნდა, კრანჩარის არჩეული სტრატეგია სწორია, მაგრამ რაც შეეხება ამ სტრატეგიის შესრულებას რა გითხრათ. დავიწყოთ იმით, რომ ხორვატიის ნაკრებმა ბრაზილიელების წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა და თუ იმ მატჩს კრანჩარის გუნდისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ალბათ უმჯობესი იქნებოდა ხორვატებს ბრაზილიის ნაკრებისთვის თავი არ შეეკლათ და ძალები მომდევნო მატჩებისთვის შემოენახათ. ფაქტობრივად, ზლატკო კრანჩარმა თავდაპირველად არჩეულ სტრატეგიას გადაუხვია და მისმა გუნდმა ბრაზილიასთან თამაშში უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ამას რა შედეგიც მოჰყვა თავადაც ნახეთ. ხორვატები ბრაზილიასთან მაინც დამარცხდნენ და ახლა ვერც იაპონიის დამარცხება შეძლეს. არადა ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს პირველ მატჩთან შედარებით არაფერი შეუცვლიათ. იაპონელები მთელი მატჩის განმავლობაში დარბოდნენ, ბოლოს ზიკოს გუნდი აშკარად დაიღალა, თუ გახსოვთ ამით მშვენივრად ისარგებლა თავის დროზე ავსტრალიის ნაკრებმა, მაგრამ ხორვატებმა ვერც ამ უპირატესობის გამოყენება შეძლეს. მეტი იყო მომენტები, როდესაც იაპონელებს შეეძლოთ გოლის გატანა და ხორვატიის იმედის დასამარება.

ახლა ხორვატიის ნაკრებს ბოლო ტურში აუცილებლად სჭირდება ავსტრალიის ნაკრების დამარცხება, თუ რა თქმა უნდა, ამ გუნდს მერვედფინალში თამაში აქვს დაგეგმილი.

# პორტუგალიამ ძალა გამოაჩინა




*იყო დრო, როცა ფიგუ დეკოს მტრობდა*

**პორტუგალია - ირანი 2:0**

**გოლები:** 1:0 დეკო (63), 2:0 კრისტიანო რონალდუ (79 პენ)
**გაფრთხილება:** პაულეტა, დეკო, კოშტინია - ნეკოუნამი, მადანში, ქაები, გოლმოჰამადი
**პორტუგალია:** რიკარდო, მიგელი, მეირა, რიკარდო კარვალიო, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, მანიშე (პეტი 67), ფიგუ (სიმაო 88), დეკო (ტაგაო 80), კრისტიანო რონალდუ, პაულეტა
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი
**ირანი:** მირზაპური, ქაები, რეზაი, გოლმოჰამადი (ბაჰტიარზადეჰი 88), ნეკოუნამი, ნოსტარი, მაჰდავიკია, თეიმოურანი, მადანში (ჰატაბი 67), ალი ქარიმი (ზანდი 65), ჰაშემიანი
**მწვრთნელი:** ბრანკო ივარნკოვიჩი
**მსაჯი:** ერიკ პულა (საფრანგეთი)
**10 კარში დარტყმა 1**
**18 კარისკენ დარტყმა 5**
**19 ჯარიმა 18**
**13 კუთხური 1**
**4 თამაშგარე 3**
**63% ბურთის ფლობა 37%**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე**: დეკო

ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში პორტუგალიის ნაკრებმა მთლად დამაჯერებელი თამაში ვერ აჩვენა და რის ვაივაგლახით მოუგო ანგოლის გუნდს. რაც შეეხება სკოლარის ბიჭების მეორე მატჩს პორტუგალია - ირანის შეხვედრა, შეიძლება ითქვას, რომ ცალკარა გამოდგა. პორტუგალიელთა მეკარე რიკარდო 90 წუთის განმავლობაში ერთხელ ჩაერთო სერიოზულად თამაშში, მის ირანელ კოლეგას კი სამუშაო ბლომად ჰქონდა.

მატჩის მიმდინარეობიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ ირანელები, ადრე თუ გვიან, უნდა გამტყდარიყვნენ. აზიელებმა თითქმის ერთი საათის განმავლობაში გაუძლეს პორტუგალიელთა გაუთავებელ შეტევებს, თუმცა დეკოს დარტყმის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილას დადგა. "ბარსელონას" ფეხბურთელმა ბრწყინვალედ ითამაშა და ტურნირის ერთ-ერთი ულამაზესი გოლის ავტორიც გახდა.

მთლიანობაში პორტუგალიის ნაკრებმა საკმაოდ გააზრებული და კარგი ფეხბურთი აჩვენა. სკოლარიმ კი მუნდიალის ფინალურ ეტაპებზე უკვე ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო და რთული წარმოსადგენია, რომ უახლოეს მომავალში, რომელიმე მწვრთნელმა ამ რეკორდის გაუმჯობესება შეძლოს.

პორტუგალიის ნაკრები უკვე მერვედფინალშია, ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში სკოლარის შეგირდები მექსიკის ნაკრებს ეთამაშებიან და იმისათვის, რომ პირველი ადგილი დაიკავონ ამ შეხვედრაში მათ მატჩის ფრედ დამთავრებაც ხელს მისცემთ. ირანის ნაკრები კი უკვე სახლში გასამგზავრებლად ემზადება, ამ გუნდისთვის ბოლო მატჩს მხოლოდ პრესტიჟის ხასიათი ექნება.

ამ შეხვედრიდან კიდევ ერთი დეტალის აღნიშვნა ღირს. თავის დროზე, როდესაც ბრაზილიელ დეკოს პორტუგალიის მოქალაქეობა და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაში შესთავაზეს ლუიშ ფიგუმ პროტესტი გამოაცხადა. პორტუგალიელთა ცოცხალ ლეგენდას არ სურდა, რომ დეკოს ნაკრებში ეთამაშა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნაკრებში საკმაოდ რთული პერიოდი იდგა. შაბათს კი გამოჩნდა, რომ დეკო და ფიგუ ამჟამად ერთმანეთს მშვენივრად უგებენ და სწორედ ამ ორი ფეხბურთელის დამსახურებაა პორტუგალიელთა ლამაზი გამარჯვება.

# სენსაციების ჟამი მუნდიალზე



*ამერიკელებმა ჭილარდინოს დაკრულზე არ იცეკვეს*

**იტალია - აშშ 1:1**

**გოლები:** 1:0 ჯილარდინო (22), 1:1 ძაკარდო (27 ს.კ.)
**გაფრთხილება:** ტოტი, ძამბროტა - ედი პოუპი
**გაძევება:** დე როსი (28), მასტროიენი (45), ედი პოუპი (47)
**იტალია:** ბუფონი, ძაკარდო (დელ პიერო 54), ნესტა, კანავარო, ძამბროტა, პეროტა, პირლო, დე როსი, ტოტი (გატუზო 35), ჯილარდინო, ტონი (იაკინტა 62)
**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი
**აშშ:** კელერი, ჩერუნდოლო, ედი პოუპი, ოგუჩი, ბოკანეგრა, მასტროიენი, რეინა, დონოვანი, დემპსი (ბისლი 62), კონვეი (კონარდი 52), მაკბრაიდი
**მწვრთნელი:** ბრიუს არენა
**მსაჯი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
**3 კარში დარტყმა 0**
**10 კარისკენ დარტყმა 8**
**13 ჯარიმა 24**
**7 კუთხური 3**
**11 თამაშგარე 1**
**54% ბურთის ფლობა 46**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** კეისი კელერი

მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის პირველი ტური ისე გაილია, რომ ერთი სერიოზული სენსაციაც არ დაფისქირდა თუ არ ჩავთვლით შვედეთისა და ტრინიდადის მატჩს, რომელიც ფრედ დასრულდა. დაიწყო მეორე ტური და სენსაციის მოყვარულებმაც გული მოიოხეს, მესქსიკამ ანგოლას ვერ მოუგო, ჩეხები განასთან დამარცხდნენ იტალიამ კი აშშ-ს ნაკრებს ვერ მოუხერხა ვერაფერი.

სკუადრა აძურას წარუმატებლობა მით უფრო გასაკვირია, რომ პირველ ტურში ლიპის გუნდმა მშვენიერი ფეხბურთი აჩვენა, ამერიკელებმა კი ყოვლად უსუსურად ითამაშეს ჩეხების წინააღმდეგ.

შაბათს კი ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. აშშ-ს ნაკრებს მატჩის მოგებაც შეეძლო, მსაჯმა ხომ ამერიკელთა მიერ გატანილი თითქმის ასპროცენტიანი გოლი არ ჩათვალა. საერთოდ ამ მატჩის მსაჯობა ცალკე თემაა. შესაძლოა, ურუგვაელმა არბიტრმა საფეხბურთო კანონები ზედმიწევნით ზუსტადაც კი დაიცვა, მაგრამ მისმა ნამეტანმა პეჟანტურობამ მატჩი აშკარად გააფუჭა, ნამდვილად არ ღირდა ამერიკელების დატოვება რიცხვობრივ უმცირესობაში.

მთლიანობაში კი შეხვედრა არც ისე საინტერესო გამოდგა. იტალიის ნაკრებმა სწრაფი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ასევე სწრაფად ძაკარდომ ავტოგოლით ანგარიში გაათანაბრა და ამერიკელებს გადარჩენის შანსი მისცა. ამის შემდეგ კი მატჩი უფრო ომს ჰგავდა ვიდრე ფეხბურთს. ფეხბურთელები უხეშობას არ ერიდებოდნენ, ურუგვაელი მსაჯი კი წითელ ყვითელ ბარათებს აფრიალებდა.

საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დასრულდა, რამაც ჯგუფში მდგომარეობა საოცრად დაძაბა, ბოლო ტურის წინ მენრვედფინალში გასვლის შანსი ოთხივე გუნდმა შეინარჩუნა.

## იბრაჰიმოვიჩი საეჭვოა

გავრცელებული ინფორმაციით, შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი შესაძლოა, ინგლისთან შეხვედრაში ვერ დაეხმაროს გუნდს. მიზეზი ამისა - ფეხბურთელის ტრავმა გახლავთ, რომელიც მან პარაგვაისთან მატჩში მიიღო. თუმცა, ბოლო სიტყვა მაინც ექიმებზეა.

"რა თქმა უნდა, ზლატანის ჯანმრთელობის მდგომარეობამ ზედმეტი თავსატეხი გაგვიჩინა. თუმცა, ჯერ საბოლოოდ სამედიცინო გამოკვლევა არ ჩაუტარებია და სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა ისიც, ითამაშებს თუ არა იგი ინგლისთან", - განაცხადა შვედთა თავკაცმა ლარს ლაგერბეკმა.

## კლინსიმ ბიჭები დაასვენა

პოლონეთის ნაკრებთან მოგებული შეხვედრის შემდეგ გერმანელთა თავკაცმა იურგენ კლინსმანმა თავის შეგირდებას დამატებითი დასასვენებლი დროის სახით კიდევ დღენახევარი გამოუყო.

"მერვედფინალში ადგილი უკვე დავიბევეთ და არანაირი პრობლემა არ იქნება, თუ ბიჭები ცოტას გაერთობიან, დისკოთეკაზე წავლენ ან მეგობრებთან ერთად დაისვენებენ", - განაცხადა იურგენ კლინსმანმა.

თავად კლინსმანმა დასვენებას ეკვადორთან გასამართი მომდევნო შეხვედრისთვის მზადება არჩია.

## ფიფას წევრი სპეკულაციაში ამხილეს

. ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ისმაელ ბხამჯი, რომელიც ბოტსვანას ოფიციალური წარმომადგენელია, მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთების სპეკულაციაში ამხილეს.

ინგლისი-ტრინიდადი და ტობაგოს მატჩზე დასასწრები 12 ბილეთი ბხამჯიმ საწყის ფასზე სამჯერ მეტად გაასაღა.

ფიფას საგანგებო სიტუაციათა კომიტეტმა, რომელსაც სათავეში ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი უდგას, მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ბატონი ბხამჯი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მეტიც, ბოტსვანას წარმომადგენელს სასწრაფოდ დაატოვებინეს გერმანიაც.

"რა შემიძლია ვთქვა, გარდა იმისა, რომ ძალიან გაწბილებული და შეურაცხყოფილიც კი ვარ, ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ასეთი საქციელით", - განაცხადა ზეპ ბლატერმა.

ისმაელ ბხამჯი ბოტსვანას ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი გახლავთ, რომელიც აგერ უკვე რვა წელია ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრია. ბილეთების ფარულად გაყიდვაში მხილების შემდეგ, დაკავებულმა აღიარა, რომ 100 ევროდ ღირებული მატჩზე დასასწრები ბილეთი, 300 ევროდ გაყიდა და მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო: "ძალიან ვწუხავარ იმის გამო, რაც ჩავიდინე და მინდა საჯაროდ მოვუბოდიშო ფიფას წესების დარღვევისთვის".

დაბოლოს, დავძენთ, რომ ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა წლიური ანაზღაურება 100 ათასი დოლარი გახლავთ, მივლინებების დროს კი მათ სხვადასხვა ხარჯებისთვის დღეში 500 დოლარს უხდიან.

## სერბები დაჯარიმდებიან

სერბეთის ნაკრების ფეხბურთელები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტურში არგენტინელებმა 6:0 გაანადგურეს, შესაძლოა, დაჯარიმდნენ კიდეც.

ნაკრების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით ის ფეხბურთელები, რომლებიც კოტ` დივუართან ბოლო შეხვედრაში ინერტულობით გამოირჩევიან, კონკრეტული თანხით დაჯარიმდებიან. თუმცა, თანხის ოდენობა ჯერჯერობით არ სახელდება.

შეგახსენებთ, რომ სერბეთის ნაკრებმა მერვედფინალში გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგა.

## ანრი მიშელი მიდის

კოტ`დივუარის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ფრანგი ანრი მიშელის განცხადებით, აფრიკულ გუნდს მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დატოვებს. 58 წლის სპეციალისტს "სპილოებთან" კონტრაქტი უმთავრდება.

"ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კონტრაქტის ჩემთან გახანგრძლივებას აღარ აპირებს. ამიტომ სერბეთთან გამართული შეხვედრა ჩემთვის ბოლო იქნება", - განაცხადა ანრი მიშელმა.

ფრანგი სპეციალისტი აფრიკულ გუნდს სათავეში 2004 წელს ჩაუდგა და პირველად ქვეყნის არსებობის ისტორიაში, კოტ დ`ივუარი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

## მეტცელდერი ფორმას აღიდგენს

გერმანული პრესის ცნობით, ბუნდესნაკრების მცველმა კრისტოფ მეტცელდერმა ტრავმის გამო გუნდთან ერთად ვერ ივარჯიშა. თუმცა, იგივე წყაროს ინფორმაციით, ფეხბურთელი ეკვადორთან მატჩისთვის მზად იქნება და სავარაუდოდ, მოედანზეც გამოვა.

კრისტოფ მეტცელდერმა მუხლი ვარჯიშისას დაიზიანა, თუმცა ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ტრავმა არცთუ ისე სერიოზულია.

## დე როსი გაამხნევეს

"სკუადრა აძურას" ფეხბურთელებმა ამერიკის ნაკრებთან შეხვედრაში მოედნიდან გაძევებული 22 წლის თანაგუნდელი დანიელე დე როსი საჯაროდ გაამხნევეს.

"ჩვენ ძლიერი და ერთიანი გუნდი ვართ, ამიტომ ეს არ ყოფილა მარტო დე როსის შეცდომა," - განაცხადა იტალიელთა კაპიტანმა ფაბიო კანავარომ.

ალესანდრო ნესტამ კი განაცხადა, რომ დანიელე დე როსი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და რთულ სიტუაციებს ყოველთვის ვერ გაუმკლავდება. "ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე 22 წლის ასაკში თამაში არც ისე იოლი საქმეა. ჩვენ ყველანაირად უნდა გავამხნევოთ იგი" - განაცხადა იტალიელმა მცველმა.

იტალია-ამერიკის შეხვედრის არბიტრმა დე როსი მოედნიდან ამერიკელთა თავდამსხმელის ბრაიან მაკბრაიდისთვის სახეში იდაყვის გარტყმისთვის გააძევა.

რაც შეეხება თავად დისკვალიფიცირებულ დე როსის, მან საჯაროდ მოუბოდიშა თანაგუნდელებსაც და დაზარალებულ მაკბრაიდსაც.

"გამიზნულად არ დამირტყამს, უბრალოდ ხელები გავშალე და სახეში ამიტომ მოხვდა. მისი დაშავება არ მინდოდა და მინდა პატივი ვთხოვო. ასევე ბოდიშს ვუხდი ჩემს ყველა თანაგუნდელს", - განაცხადა იტალიელმა ფეხბურთელმა.

## სუარესი რჩება

ეკვადორის ეროვნული ნაკრების თავკაც ფერნანდო სუარესს გუნდის ხელმძღვანელობამ პოსტზე დარჩენა 2010 წლამდე შესთავაზა. კოლუმბიელმა სპეციალისტმა წინადადება მაშინვე მიიღო, რაც გაირკვა, რომ ეკვადორი მერვედფინალში ითამაშებს.

ბოლო სიტყვა ახლა თავად სუარესზეა, რომლის თქმით, გადაწყვეტილებას მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიიღებს. მისივე განცხადებით, სიამოვნებით იმუშავებდა ევროპაში, თუმცა რაიმე კონკრეტული წინადადებით ჯერ არავის მიუმართავს.

## "არსენალმა" სავიოლას დაადგა თვალი

"ბი ბი სი"-ს ცნობით, ლონდონის "არსენალი" არგენტინის ნაკრების თავდამსხმელით ხავიერ სავიოლათი დაინტერესდა.

"მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა პრესასთან საუბრისას აღიარა, რომ სიამოვნებით იხილავს თავის გუნდში არგენტინელთა ერთ-ერთ ლიდერს. თუმცა, სავიოლას ხელში ჩაგდება არცთუ იოლი საქმე იქნება. "არსენალის" გარდა, მისი გადაბირების სურვილს პრემიერლიგის სხვა კლუბები - "ტოტენჰემი" და "ბოლტონიც" გამოთქვამენ.

## პეროტა დაშავდა

იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "სკუადრა აძურას" ნახევარმცველი სიმონე პეროტა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრაში ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩს გამოტოვებს.

იტალიელმა ნახევარმცველმა ტრავმა ამერიკელებთან შეხვედრაში კარლოს ბოკანეგროსთან შეჯახებისას მიიღო. თუმცა, მოედანი მატჩის ბოლო წუთამდე არ დაუტოვებია, რადგან იმ დროისთვის მარჩელო ლიპის სამივე ცვლილება განხორციელებული ჰქონდა.

## ბაროში ვარჯიშს განაახლებს

"როიტერის" ცნობით, ჩეხეთის ნაკრების ტრავმირებული ფორვარდი მილან ბაროში, რომელსაც ჩემპიონატზე ჯერ ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია, დღეს ნაკრებთან ერთად მსუბუქად ივარჯიშებს.

აქამდე ჩეხი თავდამსხმელი ტკივილგამაყუჩებლების საშუალებით ვარჯიშობდა.

## პაკეტას უკრაინელებზე სუსტი არავინ ეგულება

საუდის არაბეთის ნაკრების თავკაცის მარკუშ პაკეტას განცხადებით, უკრაინასთან მატჩში ფავორიტი მისი გუნდი იქნება.

"ტუნისთან ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ ჯერჯერობით, ერთი ქულა გვაქვს. უკრაინელებს კი ეს ერთიც არ აქვთ. გამოდის, რომ ჩვენს ჯგუფში ყველაზე სუსტი უკრაინაა", - განაცხადა პაკეტამ.

## ლეტიზი "რეინჯერსშია"

შოტლანდიურმა "გლაზგო რეინჯერმა" ფრანგული "პარი სენ-ჟერმენის" მეკარე ლიონელ ლეტიზი დაიმატა. 33 წლის გოლკიპერმა, რომელიც ფრანგულ კლუბში ბოლო ექვსი სეზონი თამაშობდა, გლაზგოურ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "რეინჯერსი" დიდი ტრადიციების მქონე სერიოზული კლუბია. ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველი. მინდა, რაც შეიძლება მალე ვითამაშო პოლ ლე გუენის გუნდში", - განაცხადა ფრანგმა მეკარემ.

"რეინჯერსში" ლეტიზი გუნდიდან ახლახან წასულ რონალდ ვატერეუსს შეცვლის.

## შუკერმა ბილეთები გააჩუქა

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ხორვატი დავორ შუკერი თავისი ქვეყნის პირველი გუნდის თამაშს ბრაზილიელებთან ფრანკფურტის ერთ-ერთ ბარში ადევნებდა თვალყურს, თუმცა...

"მატჩის შემდეგ ხორვატიის ნაკრების მომდევნო თამაშებზე დასასწრები ბილეთები ჩემს ხორვატ მეგობრებს ვაჩუქე, იმათ უფრო უნდოდათ", - განაცხადა გულდაწყვეტილმა შუკერმა.

## საფეხბურთო ხულიგნობა

ლაიფციგის სტადიონის დაცვის თანამშრომლებმა ესპანეთი-უკრაინის მატჩისას ცხრა გულშემატკივარი დააკავეს. ყველაფრის მიზეზი "საფეხბურთო ხულიგნობა" გახდა - ერთ-ერთმა დაკავებულმა მოედანზე შესვლის მიზნით სტუარდს მკერდიდან აკრედიტაცია ჩამოგლიჯა. დანარჩენმა რვამ კი სტადიონზე მოხვედრის მიზნით პოლიციის ყალბი მოწმობები წარმოადგინეს. თაღლითებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ახლა მათ კერძო საკუთრების საზღვრის დაცვისთვის საკმაოდ სერიოზული სასჯელი ელით.

## კანი კლინსმანის საჩუქარს ელის

გასულ კვირას ბუნდესნაკრების კარის დარაჯმა ოლივერ კანმა თავის დაბადების 37-ე წელი აღნიშნა. რა თქმა უნდა, გერმანელი მეკარე პოლონეთთან მოგებული მატჩის შემდეგ თანაგუნდელებმა სათანადოდ დაასაჩუქრეს, თუმცა კანს ჯერაც არ მიუღია საჩუქარი ნაკრების თავკაცისგან იურგენ კლინსმანისგან. კანის თქმით, მისთვის საუკეთესო საჩუქარი ნაკრების კარის დაცვა იქნებოდა, თუნდაც რამდენიმე წუთით.

## ქალური ლოგიკა

რაც უნდა ქალს, ის უნდა... საგაზეთო ბიზნესსაც. მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში უცხოელი ჟურნალისტები ყოველდღიურად აქვეყნებენ რეიტინგებს, რომლებიც ტურნირის ყველაზე მომხიბლავ მოთამაშეებს ავლენ.

ასე მაგალითად, გერმანული "Die Welt"-ის მკითხველები მუნდიალის ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად პარაგვაელ როკე სანტა კრუზს მიიჩნევენ. პარაგვაელს რამდენიმე საფეხურით ჩამორჩებიან ესპანელი რაული, პორტუგალიელები ლუიშ ფიგუ და კრიშტიანუ რონალდო.

იტალიელმა მანდილოსნებმა ყველაზე სიმპათიურის გვირგვინი თანამემამულე ალესანდრო ნესტას დაადგეს. "ნესტა ნამდვილი ქმნილებაა კლასიკური პროფილით, სახის გამოკვეთილი ნაკვთებითა და გამჭოლი მზერით", - ამბობენ აპენინელი ქალბატონები. სუსტი სქესის დანიელი წარმომადგენლებისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე მოთამაშეთაგან სიმპათიურის ტიტულს შვედი ფრედი ლიუნგბერგი იმსახურებს. რაც შეეხება ინგლისელთა ექსტრაორდინალურ კაპიტან დევიდ ბექჰემს, ამჯერად იგი მხოლოდ ათეულების მეორე ნახევარში მოხვდა.

# მესიმ ინგლისელებს აწყენინა

არგენტინის ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველმა ლიონელ მესიმ უკვე დაამტკიცა, რომ დიეგო მარადონას ღირსეული მემკვიდრეა. 19 წლის მესიმ თავისი თამაშით უკვე გამოიწვია მომავალი მეტოქეები პირველ რიგში კი ინგლისის ნაკრები.

ლიომ ბრწყინვალედ ითამაშა სერბების წინააღმდეგ, თუმცა ეს მთავარი არაა. არგენტინელმა თინეიჯერმა შეიძლება ითქვას, რომ გამოწვევა პირადად ინგლისის ნაკრებს გაუგზავნა. ფეხბურთელის ბუცებს საინტერესო წარწერა ამშვენებს "ღმერთის ხელი 86". ალბათ თავადაც ხვდებით რაზეა საუბარი. ვისაც არ ახსოვს, ვეტყვით. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დიეგო მარადონამ ინგლისის ნაკრების კარში ერთი გოლი ხელით გატანა და შემდეგ თავისი საქციელი "ღმერთის ხელად" მონათლა.

მესის ბუცებზე გამოსახულმა ლოგოტიპმა მთელი ბრიტანეთი აღაშფოთა, ინგლისელებს დღემდე ვერ მოუნელებიათ ის გოლი და ახლა ახალგაზრდა ფეხბურთელი მათ აშკარად აღიზიანებთ.

საინტერესოა, რომ იმ დროს,



მესი მარადონას ღირსეული მემკვიდრე

როცა დიეგო მარადონას ინგლისელთა კარში გოლი ხელით გაჰქონდა, ლიო მესი დაბადებულიც კი არ იყო.

"ბარსელონას" ფეხბურთელმა კი თავისი საქციელით კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ მისთვის ისევე როგორც ნებისმიერი არგენტინელისთვის მარადონა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ გენიალური ფეხბურთელი.

აღსანიშნავია, რომ ლიო მესის ბევრი მიიჩნევს დიეგო მარადონას მემკვიდრედ. გარკვეულწილად მესის კარიერა საკმაოდ ჰგავს ლეგენდარული არგენტინელის კარიერას. პირველად მარადონამ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაიბრწყინა, მესი საფეხბურთო სამყარომ სწორედ ახალგაზრდული მუნდიალიდან გაიცნო. მარადონას პირველი ევროპული კლუბი "ბარსელონა" იყო, ლიო მეიც ამ კატალონიური გრანდის ღირსებას იცავს.

ჯერჯერობით დამთხვევები საკმაოდ ბევრია, ვნახოთ რა იქნება მომავალში, ამჟამად კი მესი მუნდიალზე თამაშობს და თავისი ბუცებით მთელ ინგლისს უშლის ნერვებს.

# ფიგუს ბოლო გაელვება

მერე რა, რომ იგი 33 წლისაა. ლუიშ ფიგუ დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია და საკუთარი გუნდის წარმატებაშიც უდიდესი წვლილი შეაქვს. ირანის ნაკრების დამარცხების შემდეგ პორტუგალიის ნაკრების კაპიტანმა ჟურნალისტებისთვის მოიცალა და ჩვენი კოლეგების ცნობისმოყვარეობაც დააკმაყოფილა.

**- პორტუგალიამ მეტოქე მხოლოდ მეორე ტაიმში გატეხა, პირველ ტაიმში რა გაკლდათ?**

- პირველ ტაიმში ბურთს ხშირად ვკარგავდით და არაზუსტი გადაცემებითაც ვცოდავდით. თუმცა ანგარიშის გახსნა პირველივე ტაიმში შეგვეძლო.

**- ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დეკოს გოლი გარდამტეხი აღმოჩნდა?**

- ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, რომელშიც ნამდვილი მამაკაცები თამაშობენ და თითოეულ მათგანს შესწევს თამაშის ბედის გადაწყვეტის ძალა. მიხარია, რომ ირანთან შეხვედრაში ეს დეკომ გააკეთა. გოლი კი ბრწყინვალე გამოდგა.

**- რამდენად მნიშვნელოვანია მომდევნო მატჩი მექსიკასთან?**

- მექსიკასთან მატჩი ჩვენთვის ურთულესი გამოცდა იქნება.

**- მერვედფინალში ვისთან ისურვებდით თამაშს?**

- არ ვიცი. ძნელია იმის თქმა, ვისთან უფრო გაგვიჭირდება არგენტინასთან თუ ჰოლანდიასთან. თუ წარმატებაზე ვფიქრობთ, ორივე უნდა დავამარცხოთ.

**- რაოდენ დიდ წარმატებაზეა საუბარი?**

- მსოფლიოს ჩემპიონატის წინ თანაგუნდელებმა ეს საკითხი განვიხილეთ და მიგვაჩნია, რომ მეოთხედფინალში აუცილებლად უნდა გავიდეთ. უფრო ნაკლების უფლება არ გვაქვს.

**- როგორც ჩანს, ამჟამად უკეთეს ფორმაში ხართ, ვიდრე 2002 წლის მუნდიალზე, არადა კიდევ ოთხი წლით დაბერდით. რატომ ხდება ასე?**


ფიგუ, სკოლარი და ეუსებიო.

- გაცილებით კარგად მოვემზადეთ. ოთხი წლის წინ ნორმალურად ძალების აღდგენაც კი ვერ მოვასწარით.

**- მართალი გვითხარით, ალბათ ამჟამად ისიც გეხმარებათ, რომ გსურთ ყველას დაუმტკიცოთ - 33 წლის ფიგუ კვლავ ის ფიგუა, რომელიც ადრე თამაშობდა?**

- მისმინეთ. ფეხბურთს უკვე 20 წელია ვთამაშობ. 15 წელია უკვე პორტუგალიის ნაკრებში ვარ. ასე რომ არავისთვის არაფერი მაქვს დასამტკიცებელი, მით უმეტეს, რომ ჩემი საფეხბურთო კარიერის დასასრულიც ახლოვდება. მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემი ბოლო შანსი არაა - უბრალოდ მომეცა საშუალება კიდევ ერთხელ ვისიამოვნო ფეხბურთით.

**-კაპიტნის სამკლაური მოტივაციას არ გმატებთ?**

- ნაკრებში თამაში ისედაც დიდი პასუხისმგებლობაა. არ აქვს მნიშვნელობა კაპიტანი ხარ თუ რიგითი ფეხბურთელი. თითოეული ჩვენგანი პროფესიონალია და ცდილობს ნაკრებისთვის მაქსიმუმი გაიღოს. როდესაც ეროვნული ნაკრების მაისურს იცვამ, ზედმეტ მოტივაციაზე საუბარი აღარ უნდა იყოს.

**- პორტუგალიის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ასევე ფიქრობს? მაგალითად კრისტიანო რონალდომ პირველი მატჩი აშკარად ჩააგდო.**

- კრისტიანოს გამო ნუ იდარდებთ. მგონი ირანთან შეხვედრაში ყველას დაანახა, თუ რა დონის ფეხბურთელია. რაც შეეხება ანგოლასთან მატჩს, მოდით პირდაპირ ვთქვათ - პორტუგალიის ნაკრების არც ერთი ფეხბურთელი არ ბრწყინავდა.

**- კარიერის დასრულება ახსენეთ. როდის აპირებთ ამის გაკეთებას?**

- ამჟამად ამ საკითხზე არ ვფიქრობ. თავადაც ხვდებით, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს.

**- რა იქნება მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სამწვრთნელო სამუშაოზე არ გიფიქრიათ?**

- ამ ეტაპზე სამწვრთნელო სამუშაო არ მხიბლავს. თუმცა ფეხბურთი ისეთი რამაა, რომ დარწმუნებული ვერაფერში იქნები, ახლა მწვრთნელობა არ მინდა, რა იქნება ერთი წლის შემდეგ არ ვიცი.

**- თუ მაინც დაიწყეთ მწვრთნელობა, ალბათ სკოლარი თქვენთვის სამაგალითო პიროვნება უნდა იყოს?**

- სკოლარი ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, რომელთანაც ოდესმე მიმუშავია. მისი ყოფნა პორტუგალიის ნაკრებში ჩვენთვის უდიდესი პლუსია. შეიძლება მთავარიც. იცით ბევრ მწვრთნელს ვერ ნახავთ, რომელსაც ისევე მშვენივრად ესმოდეს ფეხბურთი, როგორც სკოლარის. მან იცის, თუ როგორ შექმნას კარგი ფეხბურთელებისგან გუნდი.

**- თქვენმა თანაგუნდელმა კოშტინიამ თქვა, რომ სკოლარის წასვლა პორტუგალიის ნაკრებიდან პორტუგალიურ ფეხბურთს უკან დახევს. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?**

- უკან დახევს და თანაც ძალიან. ეს არ იქნება უკან გადადგმული ერთი ნაბიჯი, ეს იქნება უკან გადადგმული ოცი ან ოცდაათი ნაბიჯი. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს სკოლარის შესანარჩუნებლად.

**- თუ სკოლარი გუნდის ერთ-ერთი პლუსია, ფიგუ ალბათ მეორე?**

- პლუსი ისაა, რომ ფიგუს ამ ნაკრებში საკუთარი თავი ისეთივე რიგით

# ძმურად გაყრილები

ბიბა ბურასაშვილი

*საშუალო წონის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის ორთაბრძოლა, საჩემპიონო ქამრების - WBC (საბჭოს), WBO (ორგანიზაციის), WBA (ასოციაციის) მფლობელ ჯერმენ ტეილორსა და მის პრეტენდენტ რონალდ "ვინკი" რაიტს შორის წარიმართა თანაბარი და გარდამავალი უპირატესობით. საშუალო წონის ჩემპიონმა ჯერმენ ტეილორმა სამივე სარტყელი შეინარჩუნა. ეგაა, სავალდებულო მეტოქესთან ცხვირ-პირის მტვრევას და ტიტულების შენარჩუნებას 12 რაუნდი მოანდომა, ორთაბრძოლის მასპინძელი კი მემფისის "Fedex Forum" გახლდათ. და კიდევ, წმინდა სპორტული თვალსაზრისით ჩხუბში არც ერთ მოკრივეს არ გაუმარჯვია. ტეილორი VS რაიტი მსაჯთა დათვლით საყაიმო გამოდგა.*

ორთაბრძოლის, რომელსაც 9,678 მოსეირე ჰყავდა, პირველ ნახევარში ტეილორი აქცენტს ორივე ხელით ძლიერ დარტყმებზე აკეთებდა, რომლითაც მოწინააღმდეგის დაცვის, ასე ვთქვათ, გარღვევას ცდილობდა. რაც შეეხება რაიტს, ის მეტწილად აუვნებელყოფდა ტეილორის შემოტევებსა თუ იერიშებს და შემდგომ თავად უტევდა. ასე ვთქვათ, ორივე მოკრივე შედეგიან კომბინაციებს ატარებდა, მთლიანობაში კი რაიტს მეტი დარტყმები გამოსდიოდა, თუმცაღა ტეილორის მუშტები უფრო მძიმედ გამოიყურებოდა.

ჩხუბის მეორე ნახევარში ორთაბრძოლის ტემპი უფრო შენელდა. თუმცა საერთო სურათი არც ამით შეცვლილა - რაიტი უფრო საშუალო და ახლო მანძილებზე მიიწევდა. ბუნებრივიცაა, რადგან ამ შემთხვევაში აშკარად უპირატესობას ფლობდა. აი, ტეილორი კი შორეული მანძილიდან მოქმედებას ცდილობდა. შესაბამისი ტაქტიკით ჩემპიონმა რამდენიმეჯერ შეძლო



ტეილორმა და რაიტმა თანაბრად იჩხუბეს.

კიდეც მოწინააღმდეგის დარეტიანება. დასკვნითი რაუნდებიც თანაბარძალოვანი გამოდგა, რასაც ის მოჰყვა, რომ ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ მსაჯებმა რინგზე თანაბარი ანგარიში გამოამზეურეს - 115-113 ტეილორის სასარგებლოდ, 115-113 - რაიტის სასარგებლოდ, ხოლო მესამე მსაჯმა ორივე თანაბარი ქულებით - 114-114 დაასაჩუქრა.

...ერთი რაუნდით ადრე (მე-11 რაუნდის დასრულების შემდეგ) რონალდ რაიტს ეგონა ტეილორი დავამარცხეო და გამარჯვების ნიშნად ხელებიც აღმართა. რაიტი იმდენად იყო საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული, რომ ბოლო რაუნდში მეტოქესთან ჩხუბის ნაცვლად სპარინგობას მიყო ხელი.

"რინგზე ისე დარბოდა, თითქოს ორთაბრძოლა მოეგოს, - აცხადებდა ტეილორი. - პირადად მე მის ადგილზე ბრძოლას გავაგრძელებდი".

მას შემდეგ, რაც მსაჯებმა საკუთარი ანგარიშები გამოაცხადეს, რონალდ რაიტს ცხვირ-პირი მოეღუშა, გაბრაზებული ბოლთას შეუდგა და შესაბამისი გადაწყვეტილება იმ ფაქტორს მიაწერა, რომ ტეილორი შინაურ კედლებში გამოდიოდა.

"აქ მის მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლით ყველას ვაჩვენე, რომ ჩემპიონი მე ვარ, - გაბრაზებული აცხადებდა რაიტი. - მასთან რემატჩი არ მსურს, რადგან ისედაც ყველამ დაინახა, თუ ვინაა ნამდვილი ჩემპიონი. რა აზრი აქვს აქ ჩამოსვლას და ჩხუბს, თუ შედეგი წინასწარვე იქნებოდა განსაზღვრული".

სხვათა შორის, მოვლენები მემფისურ დაპირისპირებამდეც საინტერესოდ წარიმართა. ასე მაგალითად, კრივის მსოფლიო ასოციაციას (WBA) გუშინ გამთენიისას შემდგარ ორთაბრძოლაზე სანქციის გაცემა არ სურდა.

საქმე ის არის, რომ რაიტი ასოციაციისთვის საჩემპიონო ორთაბრძოლის სანქცირებისთვის საჭირო 105 ათასი დოლარის გადახდაზე უარს აცხადებდა. მიუხედავად იმისა, რომ რაიტისგან განსხვავებით ტეილორი თავის მხრივ ყველა ვალდებულებას იღებდა საკუთარ თავზე, WBA-ს მამები მათ დაპირისპირებას საჩემპიონო სტატუსის გარეშე ტოვებდა - ორგანიზაციას ორთაბრძოლაზე სანქციის გაცემა არ შეუძლია, თუ ორივე მოკრივე ჩვენს ყველა მოთხოვნას არ შეასრულებსო.

სხვათა შორის, ადრე ასოციაცია ტეილორისთვის "სუპერჩემპიონის" ტიტულის ჩამორთმევის შესაძლებლობასაც განიხილავდა, მაგრამ ხანგრძლივი სჯაბაასის შემდეგ ჯერმენ ტეილორი საკუთარ რეიტინგში დააბრუნა.

საგულისხმოა ისიც, რომ ტიტულებშენარჩუნებულ ტეილორს საჩემპიონო ქამრების დაკარგვა ემუქრებოდა. ანუ, როგორც ასოციაციის წესდება ქადაგებს, ჩემპიონი კარგავს ტიტულებს, თუ ორგანიზაციის მიერ არასანქცირებულ ორთაბრძოლაში იასპარეზებს.

"თუ მათ (WBA) ორთაბრძოლისთვის მწვანე შუქის ანთება არ სურთ, მაშინ მათი თანხმობა არცაა საჭირო კრივის გულშემატკივართათვის იმისთვის, რომ ზუსტად გაიგო ვინაა ჩემპიონი", - რამდენიმე დღის წინათ აცხადებდა ტეილორის პრომოუტერი ლუ დი ბილა. ისიც აღვნიშნოთ, რომ ჩემპიონთან შეხვედრამდე რონალდ რაიტმა ორგანიზაციის (WBO) ტიტულის პრეტენდენტობაზეც განაცხადა უარი, რომელიც ასევე ტეილორს ეკუთვნის და რომელსაც მოქმედი ჩემპიონი თანაბრად განაწილებული ქულების შემთხვევაშიც შეინარჩუნებდა. აი, ტეილორის წაგების შემთხვევაში კი WBO-ს საჩემპიონო ქამარი ვაკანტურად გამოცხადდებოდა.

ერთი სიტყვით, პატივცემული საკრივო საიტების თანახმად, სანქციებს ადგილი არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტეილორის სახელის გასწვრივ საბჭოს, ორგანიზაციისა და ასოციაციის ტიტულები არ იქნებოდა მითითებული.

როგორც არ უნდა იყოს, ორივე მოკრივე მაინც კმაყოფილი უნდა იყოს. კმაყოფილი ჰონორარებით, რომლის მიხედვითაც სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანმა ჯერმენ ტეილორმა (25 გამარჯვება, აქედან 17 ნოკაუტით და ერთიც ფრე) 3,75 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ხოლო რაიტმა (50 გამარჯვება, აქედან 25 ნოკაუტით, 3 წაგება და ერთიც ფრე) 3,5 მილიონი.